პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

წელიწადი მეცხრე

კომუნისტი

საქ. კომუნისტური პარტიის
ცენტრალური და თბილისის
კომიტეტების
— და —
სრულიად საქართველოს
მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა
და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების
ცაკის ორგანო

რედაქცია
თბილისი, კამოს (ყოფ. დიდი მთავრის) ქ. № 68, მეორე სართული
რედაქციაში საქმეზე მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე
გარდა კვირა-უქმეებისა დილის 10 საათიდან და მის 12 საათამდე.
ტელეფ.) რედაქტორის 14—76
) მდივნის 10—58

მთავარი კანტორა
თბილისი რუსთაველის პროსპექ., № 84, ტელეფონი № 8—81.

ხელისმოწერის ფასი
მუშა - მოსამსახურეთათვის, გლეხების წითელარმიელების, მოწაფეების და მასწავლებლებისათვის — 1 მან., დანარჩენებისათვის—1 მან., 30 კ.

საქართველოს ფარგლებში: ნონპარელის სტრიქონი ტექსტის ბოლოში—80 კაპ., ტექსტის შიგნით—1 მ. 60 კაპ.; საქართველოს გარეთ: ტექსტის ბოლოს ნონპარელის სტრიქ.—1 მ. 50 კაპ., ტექსტში—3 მან.; განცხადებელი, გარდა განცხადების ფასისა, იხდის 10 % საქალაქო გადასახადს. თუ განცხადება იბეჭდება ხუთჯერ ტექსტის შეუცვლელად—შეღავათი შეთანხმებით. მთავარ კანტორაში განცხადებები მიიღება 9-დან 3½ საათამდე. შემდეგ განცხადება ეღირება 20%-ით მეტი. სამგლოვიარო განცხადებები—15, 20 და 25 მან. „კომუნისტი"-ს ექსპედიცია მოთავსებულია კამოს ქ. № 68, ტელ. 5—43

დ ღ ი უ რ ი

— ჯარების დიდი აჯანყება ნანკინის წინააღმდეგ.
— ინგლისის ელჩი ლონდონიდან 7 დეკემბერს გაემგზავრება მოსკოვში.
— გაიხსნა შეერთ.-შტატების კონგრესის სესია.
— ამერიკა 6 წელიწადში 2.400.000.000 ოქროს მანეთს ხარჯავს საზღვაო შეიარაღებაზე.
— მელითონეთა გაფიცვა გიზუში (საფრანგეთი) გრძელდება.
— განხეთქილება გერმანიის ნაციონალისტთა პარტიაში.
— „ლ'იუმანიტე"-ს სასარგებლოდ მუშებმა შეაგროვეს 1.200.000 ფრანკი.

პარასკევი, 6 დეკემბერი 1929 წ. ყოველდღიური გაზეთი ფასი 5 კაპ. № 281 (2627)

გლეხკომების არჩევნები და მიმდინარე ამოცანები

პირველ დეკემბრიდან ჩვენში მიმდინარეობს გლეხთა ურთიერთ დამხმარე კომიტეტების (გლეხკომების) გადარჩევის კამპანია. ამ კამპანიის ჩატარებას ადგილობრივ პარტიულმა, საბჭოთა და სოფელთან დაკავშირებულ პროფკავშირების ორგანიზაციებმა უდიდესი ყურადღება უნდა მიაქციონ, რომ მის შედეგად ჩვენ მივიღოთ გლეხკომების სოციალური შემადგენლობის გაჯანსაღება და მათ მუშაობაში ძირფესვიანი გარდატეხის მოხდენა სასოფლო მეურნეობის სოციალისტურ გარდაქმნის ამოცანებთან შეფარდებით.

გლეხკომები თავიანთი რაოდენობით და წევრების სიმრავლით მასიური საზოგადოებრივ ორგანიზაციებს წარმოადგენენ, და მათ დიდი როლის შესრულება შეუძლიათ აღნიშნულ ამოცანების გადაჭრაში, თუ ისინი თავიანთ დანიშნულების სიმაღლეზე იდგომებიან. მაგრამ ჩვენ ამას დღემდე ვერ ვხედავთ, თუ მხედველობაში ზოგიერთ გამონაკლისს არ მივიღებთ. საერთოდ ისინი ბოლო დრომდე განაგრძობენ ძველი გზით სიარულს. მათი საქმიანობა ვიწროდაა შემოფარგლული და უმეტეს შემთხვევებში არ სცილდება ცალკე ღარიბ - საშუალო გლეხთა მეურნეობებისათვის ერთგვარ დახმარების მიწოდებას მათი სამომხმარებლო მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად, გლეხკომებისათვის გადაცემულ მიწების და საწარმოების ექსპლოატაციას კომერციული მიზნებისათვის და სხვა.

გლეხკომების უდიდესი ნაწილის ყურადღებისა და მუშაობის ცენტრში ჯერ კიდევ არ არიან მოქცეული ის ამოცანები, რომლებიც გლეხკომებს საქართველოს კომპარტიის (ბ) ცაკმ ერთ-ერთ თავის დადგენილებაში დაუსახა: „ყოველნაირად ხელი შეუწყოს ღარიბი გლეხობის მეურნეობათა კოლექტივიზაციას და კოოპერაციაში გაერთიანებას, პირველ რიგში — თავიანთ წევრთა გაერთიანებას, გადამწყვეტი ბრძოლა ღარიბი გლეხობის განთავისუფლებლად კულაკური ექსპლოატაციისაგან, საწარმოო დახმარების გაძლიერება ღარიბ გლეხთა ინდივიდუალურ მეურნეობებისათვის. ამ მიზნით უნდა მოწესრიგდეს ხარკამეჩითა და ურმით დახმარების საქმე, სათესლე მასალის მიწოდება, ხელის შეწყობა და მონაწილეობის მიღება სასოფლო - სამეურნეო მანქანების და იარაღების გამქირავებელ პუნქტების ორგანიზაციაში და სხ.".

გლეხკომებმა ვერ შესძლეს მათ განკარგულებაში არსებულ საწარმოთა და მიწის ნაკვეთების გამოყენება ღარიბ-საშუალო გლეხთა დასარაზმავად, მათი შრომის კოლექტიურ საფუძველზე მოსაწყობად. აგრეთვე მცირეა იმ ღარიბ გლეხთა რიცხვი, რომელნიც მათ კოოპერაციაში გააერთიანეს თავიანთი თანხებიდან საჭირო გამოსაღების შეტანით.

გლეხკომები სუსტ მონაწილეობას ღებულობენ სხვადასხვა სამეურნეო და პოლიტიკურ კამპანიებში, როგორიცაა თესვის, პურის დამზადების, ინდუსტრიალიზაციის სესხის გავრცელების კამპანიები. თესვის დროს მათ მიერ ღარიბ გლეხობისათვის აღმოჩენილი საწარმოო და შრომითი დახმარება უმნიშვნელოა. გლეხკომების საშუალებით სახელმწიფოსათვის ჩაბარებული პურის რაოდენობაც მეტად მცირეა. ინდუსტრიალიზაციის სესხის ობლიგაციების გასაღებაზე ბევრ მათგანს თითიც არ გაუნძრევია.

ამავე დროს თვით მათ განკარგულებაში მყოფ ფონდების მოვლა-პატრონობა არ არის ჯეროვანად დაყენებული. თავიანთ მიწებზე მოსავლიანობის გასადიდებლად და იქ გაუმჯობესებული ტეხნიკის შესატანად მათ ბევრი არაფერი გაუკეთებიათ, და მათი მიწები ამ მხრივ ბევრად არ განირჩევიან ინდივიდუალურ მეურნეობებისაგან. გლეხკომების საწარმოების მუშაობაც მრავალ ადგილას რაციონალურად არაა მოწყობილი. გარდა ამისა არის გლეხკომების ქონების მითვისების და გაფლანგვის შემთხვევებიც.

გლეხკომების სოციალური შემადგენლობა ვერ ჩაითვლება დამაკმაყოფილებლად. ბევრგან მათში არა მარტო წევრებად, არამედ ხელმძღვანელ ორგანოებში გამძვრალი არიან კულაკური და ანტისაბჭოთა ელემენტები, რომელნიც ამახინჯებენ ჩვენს კლასობრივ ხაზს. ჩვენ გვაქვს ფაქტები, როცა გლეხკომები სესხს კულაკებს აძლევდნენ. ამასთან, ეს უცხო ელემენტები გლეხკომების შიგნით ეწევიან დამრღვეველ მუშაობას და მათ სახელს უტეხენ მოსახლეობის თვალში.

მაგრამ ამ ნაკლოვანებებთან ერთად, როგორც ვსთქვით, არის ზოგიერთი მიღწევებიც. მაგალითად, გლეხკომებს საქართველოში 25-მდე კოლექტიური მეურნეობა ჩამოუყალიბებიათ და აღსანიშნავია, რომ იქ, სადაც გლეხკომები მუშაობის უნარს იჩენენ სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციის, ღარიბ გლეხობის კოოპერატიულ შეკავშირების და კულაკებთან ბრძოლის საქმეში, — უკანასკნელნი ყოველნაირად ცდილობენ მათ დაშლას. კულაკების თავხედობა იქამდე მივიდა, რომ ზოგან მათ გლეხკომების ქონებას ცეცხლიც წაუკიდეს.

გლეხკომების მოღვაწეობის სისუსტის მთავარი მიზეზი მათდამი უყურადღებობაა ადგილობრივ პარტიულ და საბჭოთა ორგანიზაციების მხრით. გლეხკომების მეტი ნაწილი მოკლებულია სათანადო ხელმძღვანელობას. ამითვე აიხსნება, რომ ისინი უზრუნველყოფილი არ არიან გამოცდილი და კლასობრივად მტკიცე მუშაკებით.

გლეხკომების ახლანდელ გადარჩევის დროს ყოველივე ეს უნდა იქნას მხედველობაში მიღებული. მათი ხელახალი არჩევნები უნდა გაიშალოს ფართე საზოგადოებრივ კამპანიად — მასში მოჯამაგირე, ღარიბ და საშუალო გლეხობის მთელი მასის აქტიურ ჩაბმით. შეუბრალებლად უნდა იქნას გამოაშკარავებული გლეხკომების განვლილი მუშაობის ნაკლოვანებანი. თვითკრიტიკა სავსებით უნდა იქნას უზრუნველყოფილი.

გლეხკომების წარსულ მუშაობის ყოველმხრივ შეფასებასთან ერთად, უნდა დავისახოთ ის ამოცანები, რომელიც მათ წინაშე დგანან. გლეხკომების გადარჩევა უნდა გამოვიყენოთ გლეხობის დასარაზმავად კოლექტივიზაციის, ღარიბთა სრული კოოპერატიული შეკავშირების, კულაკებთან შეუბრალებელი ბრძოლის ლოზუნგების გარშემო.

ამასთან განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ხელმძღვანელ ორგანოების არჩევას. აშკარაა, რომ კულაკები მოინდომებენ იქ შეპარვას, ან თავიანთ კაცების გაყვანას. მათ ცდებს და ოინებს უნდა დაუპირდაპიროთ მოჯამაგირეთა და ღარიბ - საშუალო გლეხთა მთლიანი ფრონტი. გლეხკომებში ასარჩევი კანდიდატები წინასწარ უნდა იქნან შეფასებული ღარიბთა ჯგუფებსა და კრებებზე საშუალო გლეხობის აქტივის მონაწილეობით. გლეხკომებში უნდა მოხვდნენ მხოლოდ ისეთი პირები, რომელნიც მართლა დაიცავენ ღარიბთა ინტერესებს და მტკიცედ გაატარებენ სოფლის მეურნეობის სოციალისტურ რეკონსტრუქციაზე აღებულ კურსს. გლეხკომებიდან ჩვენ რკინის ცოცხით უნდა გამოვგავოთ ყველა უვარგისი და საეჭვო ელემენტები.

ამნაირად, გლეხკომების ახლანდელ გადარჩევას მეტად დიდი მნიშვნელობა აქვს. ეს კარგად უნდა შეიგნონ ადგილობრივმა პარტორგანიზაციებმა და ყოველი ზომა მიიღონ არჩევნების წარმატებით ჩატარებისათვის.

საბჭოთა კავშირის საგარეო პოლიტიკა

გუშინ ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის სესიამ ამხ. ლიტვინოვის მოხსენება მოისმინა. ეს მოხსენება, რომელსაც დღეს ვბეჭდავთ, წარმოადგენს საბჭოთა კავშირის უკანასკნელი დროის საგარეო პოლიტიკის ანგარიშს. საბჭოთა კავშირისა და მისი კონტრაგენტების ურთიერთობის კონკრეტიული ცნობები იმდენად ნათლადაა გადმოცემული, რომ კომენტარიები არ სჭირდებათ. ჩვენ გვინდა შევჩერდეთ როგორც საბჭოთა კავშირის საგარეო პოლიტიკის ზოგიერთ ზოგად დებულებაზე კაპიტალისტური გარემოცვის მიმართ, ისე კაპიტალისტური გარემოცვის პოლიტიკის დებულებებზე საბჭოთა კავშირის მიმართ.

როგორც ცაკის ტრიბუნიდან, ისე სხვადასხვა დიპლომატიური დოკუმენტებით საბჭოთა კავშირის მთავრობა არა ერთხელ უმტკიცებდა მთელ მსოფლიოს თავისი საგარეო პოლიტიკის [illegible]. ჩვენ არა ერთხელ დაგვისახელებია როგორც პრინციპიალური ხასიათის დოკუმენტები, ისე კონკრეტული ფაქტები, რომლებიც ადასტურებდნენ საბჭოთა კავშირის ერთგულებას იმ ძირითადი ლოზუნგისადმი, რომელიც წარმოიშვა საბჭოთა ხელისუფლებასთან ერთად. სამწუხაროდ, ჩვენს კაპიტალისტურ კონტრაგენტებზე ვერ იმოქმედა იმ ფაქტმა, რომ თავისი 12 წლის არსებობის განმავლობაში საბჭოთა სახელმწიფო არც არავის თავს ესხმოდა, არც არავის ტერიტორიას იჭერდა, არც საოკუპაციო რაზმებს გზავნიდა კოლონიებში, არამედ გულწრფელად, საქმით ცდილობდა და ცდილობს საყოველთაო სრული განიარაღების განხორციელებას ან თუნდაც შეიარაღების არსებითად შემცირებას. პირიქით, ზღაპრები „წითელი იმპერიალიზმის", „მოსკოვის დაპყრობითი გეგმების" და სხვა ამისთანა ბოდვის შესახებ შეიძლება ყოველთვის წაიკითხოთ ბურჟუაზიული და სოციალ - დემოკრატიული პრესის ფურცლებზე.

გუშინდელს მოხსენებაში ამხ. ლიტვინოვმა მოიყვანა ერთი არგუმენტი კიდევ, რომელსაც თავისი თვალსაჩინოებით და სიცხადით შეუძლია თითქმის პირველი ადგილი დაიჭიროს საბჭოთა მთავრობის სამშვიდობო მისწრაფებათა დასამტკიცებელ საბუთებს შორის. იმ აზრს, რომ მთავრობას, რომელსაც ამოცანად დაუსახავს სოციალიზმის შექმნა თავის სახელმწიფოს ტერიტორიაზე, სჭირდება მშვიდობიანობის შენარჩუნება ამ გუმბერაზული ისტორიული ამოცანის განსახორციელებლად, ბურჟუაზიული და სოციალ - დემოკრატიული შემეცნება გადამწყვეტ საბუთად არ სთვლიდა. ამხ. ლიტვინოვი გუშინ ხუთწლედს დაეყრდნო, როგორც ჩვენი სამშვიდობო ტენდენციების საბუთს. ყოველი პოლიტიკოსისათვის, რომელსაც წინასწარ აკვიატებული აზრი არა აქვს და რომელიც საბჭოთა კავშირისადმი კლასობრივი მძულვარებით არ არის დაბრმავებული, სრულიად ცხადი უნდა იყოს, რომ ჩვენი სახალხო მეურნეობის ხუთწლიანი გეგმის განხორციელების ამოცანა, საბჭოთა კავშირის მშრომელთა შემოქმედებითი ენერგიის გუმბერაზული დაჭიმვის გამომწვევი ამოცანა შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ იმ პირობით, თუ დაცული იქნება მშვიდობიანობა. ვინც იმას ფიქრობს, რომ ასეთი ამოცანის დამსახველი მთავრობა ამავე დროს ყოველგვარ ძალ - ღონეს არ გამოიყენებს ხუთწლედის წარმატებით შესრულებისათვის საჭირო პირობების განსახორციელებლად, მას ლოღიკური აზროვნების ყოველნაირი უნარი აქვს დაკარგული.

თუ საბჭოთა კავშირი თორმეტი წლის არსებობის განმავლობაში, მარტო სიტყვით კი არა, საქმითაც შეურყევლად და გადაჭრით ახორციელებს სამშვიდობო პოლიტიკას, ამას სრულებითაც ვერ ვიტყვით კაპიტალისტური გარემოცვის პოლიტიკაზე საბჭოთა კავშირის მიმართ.

ამ დებულების დასამტკიცებლად ახლა საჭირო არ არის გავიხსენოთ საბჭოთა სახელმწიფოს არსებობის პირველი წლები, როდესაც მის მიმართ პოლიტიკის ერთად-ერთ ფორმას წარმოადგენდა: შეიარაღებული ინტერვენცია, ბლოკადა და აშკარად მხარის დაჭერა თეთრგვარდიელთა მოძრაობისათვის.

ლიტვინოვმა მოიყვანა იმის დასამტკიცებლად საბუთები, რომ ინტერვენციის პოლიტიკა, რომელიც მხოლოდ თავის გარეგან ფორმებსა და მეთოდებს იცვლის, დღემდე გრძელდება. ამ პოლიტიკის მუდმივი მკვებავი წყარო არის არა მეგობრობა, არამედ მტრობა საბჭოთა კავშირის მიმართ. საბჭოთა სახელმწიფოსადმი მტრობის ატმოსფერა მარტო ბურჟუაზიული და სოციალ - დემოკრატიული პრესის ფურცლებზე არ არის გამეფებული, იმ პრესის ფურცლებზე, რომელიც საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ სისტემატიურად ავრცელებს სიცრუეს და ცილისწამებას. ინტერვენციის პოლიტიკა, თუნდაც ფარული და ნიღაბ აფარებული ფორმით, მრავალნაირი საშუალებით ტარდება ცხოვრებაში.

მთელ რიგ კაპიტალისტურ სახელმწიფოთა მიერ საბჭოთა კავშირის ცნობაზე და მასთან ნორმალური პოლიტიკური და ეკონომიური ურთიერთობის აღდგენაზე დაჟინებითი უარის თქმა, უკვე აღდგენილი ურთიერთობის გაწყვეტა, ცნობის სანაზღაუროდ რაღაც კომპენსაციების და ფულის გადახდის მოთხოვნა, საბჭოთა კავშირზე სისტემატიური ეკონომიური ზეგავლენის მოხდენის პოლიტიკა იმ მიზნით, რომ აიძულონ იგი ულაპარაკოდ, მარტო ერთი მხრის ინტერესების სასარგებლოდ, გადაიხადოს მეფის ვალები, საგარეო ვაჭრობის მონოპოლიის, ჩვენი სახალხო მეურნეობის ამ უმნიშვნელოვანესი ინსტიტუტის, ჩაშლის რეგულიარული ცდები, პროვოკაციული თავდასხმები ჩვენს საზღვარგარეთულ დაწესებულებებზე, ჩვენი წარმომადგენლების მოკვლა ან მოკვლის განზრახვა — ყველა ეს ფაქტები წარმოადგენენ იმ აგრესიის მთლიანი ჯაჭვის რგოლებს, რომელსაც კაპიტალისტური გარემოცვა საბჭოთა კავშირის მიმართ იჩენს.

ეს აგრესიული ტენდენციები ამხ. ლიტვინოვმა განსაკუთრებით ნათლად და გარკვეულად დაახასიათა იმ ურთიერთობათა ისტორიის განხილვით, რომელიც ჩვენ, ერთის მხრით, ჩინეთთან, ხოლო მეორეს მხრით, ინგლისთან გვაქვს.

ჩინეთ - საბჭოთა კონფლიქტმა, რომელიც აღმოსავლეთ - ჩინეთის რკინის გზის უხეში დაპყრობით დაიწყო, დასაბამი მისცა პროვოკაციებისა და საბჭოთა კავშირზე პირდაპირი თავდასხმების მთელ სერიას. ეს აქტები გამომდინარეობდნენ არა მარტო ნანკინ-მუკდენის გენერალთა ხროვისაგან, არამედ მათი იმპერიალისტ მფარველებისაგანაც. ამ უკანასკნელთა ჯერ მარტო გუშინ მოგვეცა იმ ინტერვენციის ერთი ფორმათაგანის თვალსაჩინო მაგალითი, რომელსაც განაგრძობენ საბჭოთა კავშირის მიმართ. ინტერვენციის ეს ფორმა თუმცა პაციფისტური ფრაზეოლოგიის ნიღაბ ქვეშ არის ამოფარებული, მაგრამ თავისი არსებით და განზრახვით აგრესიულია.

ცნობილია, როგორი პატივით სარგებლობს ანტისაბჭოთა პოლიტიკის არსენალში საბჭოთა მთავრობის ბრალდება იმაში, რომ იგი „პროპაგანდას" ეწევა. გუშინ ამხ. ლიტვინოვის მოხსენებიდან ჩვენმა კონტრაგენტებმა, რომლებმაც 12 წლის განმავლობაში ვერც ერთი საბუთი, გარდა „ზინოვიევის წერილის" სხვადასხვა გამოცემის, ვერ შესძლეს მოეყვანათ თავიანთი ბრალდების დასამტკიცებლად, მიიღეს იმ ფაქტების უტყუარი აღნუსხვა, რომლებიც მოწმობენ კაპიტალისტური გარემოცვის მიერ ანტი-საბჭოთა პროპაგანდის წარმოებას საბჭოთა სახელმწიფოს წარმოშობიდან დღემდე.

უკანასკნელი დროის ფაქტები ამტკიცებენ, რომ ის შიში, რომელმაც, საბჭოთა მეურნეობის სოციალისტური რეკონსტრუქციის ხუთწლიანი გეგმის პირველი წლის ტემპისა და შედეგების გამო, კაპიტალისტები მოიცვა, თანდათან აშკარა აგრესიის და საბჭოთა კავშირთან სამხედრო შეტაკების უშუალო მზადების ტენდენციას ღებულობს.

ამ ტენდენციებს ჩვენ წინანდებურად ჩვენს სამშვიდობო პოლიტიკას დაუპირისპირებთ იმ დრომდე, სანამ ეს შესაძლებელი იქნება, და დაუპირისპირებთ საბჭოთა კავშირის დაცვის სხვა მეთოდებს, თუ, მიუხედავად ჩვენი მშვიდობიანი მისწრაფებისა, ვინმე მოისურვებს გაიგოს ის, თუ რამდენად შესწევს ჩვენს სახელმწიფოს წინააღმდეგობის გაწევის უნარი.

„იზვესტია".
5 დეკემბერი.

იმპერიალისტების დეკლარაციის გამოძახილი

იაპონიაში დიდის კმაყოფილებით შეხვდნენ საბჭ. მთავრობის პასუხს

მსოფლიო პრესის უმეტესი ნაწილი მიზანშეუწონლად სთვლის სახელმწიფოთა ჩარევას

იაპონიის მთავრობა არ ერევა კონფლიქტში

ტოკიო, 4 დეკემბერი. ინგლისის საქმეთა რწმუნებულმა ტოკიოში დორმერმა ინახულა საგარეო საქმეთა მინისტრი სიდეხარა.

„ჯაპან ტაიმს"-ის ცნობით, სიდეხარამ აღნიშნა, რომ სახელმწიფოების არამკითხე ჩარევა მხოლოდ შეაფერხებს ჩინეთ-საბჭოთა კავშირის უშუალო მოლაპარაკებას კონფლიქტის ლიკვიდაციის შესახებ. მეტიც: მესამე მხარის მოქმედებას ობიექტიურად შეიძლება მოჰყვეს ერთი მხარის დახმარება მეორის წინააღმდეგ, ამის გამო იაპონიის მთავრობა დაიცავს თავის წინანდელ პოზიციას— კონფლიქტში არ ჩარევის პოზიციას. (ადს)

იაპონიაში კმაყოფილი არიან საბჭოთა ნოტით

ტოკიო, 4 დეკემბერი. მთელი საღამოს პრესა, რომელიც აქვეყნებს საბჭოთა მთავრობის პასუხს შეერთებული შტატების დეკლარაციაზე, კმაყოფილებას გამოსთქვამს იმ ენერგიული წინააღმდეგობის გამო, რომელსაც უწევს საბჭოთა მთავრობა ამერიკის ცდას ჩარიოს ჩინეთ-საბჭოთა კონფლიქტში.

გაზეთი „ძი-ძი" ხაზს უსვამს, რომ ამერიკის გამოსვლა წარმოადგენს კელოგის პაქტის ბოროტად გამოყენების ნიმუშს. (ადს)

იაპონიას სურს შეინარჩუნოს სიმშვიდე

ტოკიო, 4 დეკემბერი. პრესის ცნობებით, იაპონიის მთავრობის სხდომაზე საგარეო საქმეთა მინისტრმა სიდეხარამ განაცხადა, რომ იაპონიის მთავრობა კონფლიქტის წარმოშობის პირველ დღეიდანვე ცდილობდა, სხვა სახელმწიფოებისაგან დამოუკიდებლად, აეძულებინა ჩინეთი და საბჭოთა კავშირი მშვიდობიანი გზით მოეგვარებინათ კონფლიქტი. ამიტომაც, როდესაც უშუალო მოლაპარაკებაა, იაპონიამ სიმშვიდე უნდა დაიცვას, რომ ხელი არ შეუშალოს უშუალო მოლაპარაკების განვითარებას. (ადს)

გერმანიის პრესის გამოძახილი

ბერლინი, 4 დეკემბერი. გერმანიის პრესა გაცხოველებულ კომენტარიებს უკეთებს შეერთებული შტატების, ინგლისის და საფრანგეთის ჩარევას ჩინეთ-საბჭოთა კონფლიქტში. პრესის ნაწილი ამ ჩარევას კრიტიკული თვალით უყურებს.

„ფოსიშე ცეიტუნგ"-ი სწერს:

„შეიძლება საეჭვოდ ჩაითვალოს— ხელსაყრელია თუ არა შეერთებული შტატების მიერ შერჩეული მომენტი, როდესაც ორივე მხარემ განაცხადა, რომ მზად არიან დაიწყონ უშუალო მოლაპარაკება. უმჯობესი იქნებოდა დაეცადათ ამ მოლაპარაკების წარმატებით დამთავრებისათვის. ამით თავიდან აცილებული იქნებოდა საბჭოთა მთავრობის ეჭვი იმაში, რომ ჩინეთის მიერ საბჭოთა კავშირთან უშუალო მოლაპარაკებაზე დათანხმებას შეერთებული შტატების რესპუბლიკა სთვლის საფრთხედ თავის საქმიანი ინტერესებისათვის და რომ სახელმწიფოების ჩარევას საფუძვლად უდევს ჩინეთის ბაზრის უზრუნველყოფა. ეჭვი არ არის, რომ სახელმწიფოების ჩარევა ვერ გაადვილებს ჩინეთ-საბჭოთა უშუალო მოლაპარაკებას".

მხოლოდ „ფორვერტს"-ი და „ბერლინერ ტაგებლატ"-ი უშენიშვნოდ იწონებენ სახელმწიფოების გამოსვლას. (ადს)

ბერლინი, 4 დეკემბერი. მემარცხენე გაზეთი „ბერლინ ამ მორგენ" აცხადებს, რომ შეერთებულ შტატებისა და სხვა სახელმწიფოთა ნაბიჯები მოასწავებს ახალ იმპერიალისტურ ჩარევას ჩინეთის სასარგებლოდ, საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ.

მიუთითებს რა იმაზე, რომ გერმანია შეუერთდა იმპერიალისტების მთლიან ფრონტს, გაზეთი აღნიშნავს, რომ ეს შედეგია გერმანიის დასავლეთის ორიენტაციის, რომელიც იუნგის გეგმასთან არის დაკავშირებული. (ადს)

„ჟურნალ დე-დებას" ირონია

პარიზი, 4 დეკემბერი. „ჟურნალ დე-დება" ირონიულ წერილს ათავსებს სახელმწიფოთა ჩარევის გამო:

„კელოგის პაქტზე ხელის მომწერ სახელმწიფოებიდან არცერთს ხელი არ გაუნძრევია, მაშინ, როცა ეს საჭირო იყო. როცა ყველაფერი გათავდა, ისინი დიდის ამბით გზავნიან კომიზმით აღსავსე ნოტებს. ამის შემდეგ ჩვენ ვიცით, თუ რა ფასი აქვს კელოგის პაქტს"

„მანჩესტერ გარდიენ"-ის წერილი

ლონდონი, 4 დეკემბერი. ლიბერალური გაზეთი „მანჩესტერ გარდიენ" მიუთითებს, რომ შეერთ. შტატების კონგრესის სესია, შესაძლოა, განიხილავს საბჭოთა კავშირის ცნობის საკითხს.

„ამერიკა-საბჭოთა მოლაპარაკების პირველი ფაზა,— სწერს გაზეთი,— ეჭვს გარეშეა გაივლის კონგრესის კედლებს გარეთ, ალბათ ამერიკის ფარგლებს გარეთ".

გაზეთი მიუთითებს, რომ ამერიკის ყოფილი ელჩი მექსიკაში მორროუ და სენატორი ბორა, როგორც დელეგატები, მონაწილეობას მიიღებენ ლონდონის კონფერენციაზე და ფიქრობს, რომ ისინი ლონდონში ყოფნას გამოიყენებენ სოკოლნიკოვთან მოსალაპარაკებლად.

დაგვიანებული ცნობები

ტოკიო, 5 დეკემბერი. ხარბინის პრესამ 4 დეკემბერს პირველად გამოაქვეყნა ცნობები ჩინეთ-საბჭოთა მოლაპარაკების შესახებ.

ცნობაში აღნიშნულია, რომ მუკდენის მთავრობის მოქმედებას სრული თავისუფლება ეძლევა საბჭოთა კავშირთან მოლაპარაკების დროსო. (ადს)

ცაის გამგზავრება

ტოკიო, 5 დეკემბერი. ხარბინიდან მიღებული ცნობით, დიპლომატიური კომისარი ცაი იუნ-ჯენი გაემგზავრა მუკდენში ჩან-სუე-ლიანთან, რომ მოახსენოს მას მოლაპარაკების შედეგები საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატის აგენტ სიმანოვსკისთან. (ადს)

უკომენტარიოთ აქვეყნებენ

ლონდონი, 4 დეკემბერი. ინგლისის გაზეთების უმრავლესობა მოკლედ და უკომენტარიოთ აქვეყნებს ცნობას ნიკოლსკ-უსურისკში ჩინეთ-საბჭოთა ოქმის ხელისმოწერის შესახებ, აგრეთვე საბჭოთა მთავრობის პასუხს ამერიკის მთავრობის დეკლარაციაზე.

სტიმსონი პასუხს მოელის 50 სახელმწიფოსაგან

ვაშინგტონი, 4 დეკემბერი. შეერთ. შტატების საგარეო საქმეთა მინისტრი სტიმსონი პასუხს მოელის 50 სახელმწიფოსაგან, რომლებმაც ხელი მოაწერეს კელოგის პაქტს. (ადს)

იტალიის მთავრობა უერთდება ამერიკის დეკლარაციას

მოსკოვი, 5 დეკემბერი. 4 დეკემბერს, საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატმა მიიღო იტალიის საელჩოს ნოტა, რომელშიაც ნათქვამია, რომ იტალიის მთავრობა უერთდება შეერთებული შტატების დეკლარაციას. (ადს)

ფინანსიური კრიზისი მუკდენში

ტოკიო, 4 დეკემბერი. დემპო-ცუსინის სააგენტოს ცნობით, ფინანსიური კრიზისის გამო მუკდენმა ნოემბერში გასცა ხელფასის მხოლოდ 30 პროც., რამაც დიდი უკმაყოფილება გამოიწვია.

გაფიცვის საფრთხის გამო მუკდენის არსენალში გაგზავნეს 500 ჯარისკაცი. (ადს)

ნანკინი განაგრძობს მანევრებს

ტოკიო, 4 დეკემბერი. „ტოკიო ასახი" სწერს:

„ნანკინს უჭირავს მოლაპარაკებაში მონაწილეობის არ მიღების პოზიცია და განაგრძობს თავის მანევრებს, რომელთა მიზანია შექმნას შეთანხმების უარყოფის შესაძლებლობა იმ შემთხვევაში, თუ იგი მას არადამაკმაყოფილებლად მოეჩვენება".

ინგლისი და საბჭოთა კავშირი

ამხ. სოკოლნიკოვის გამგზავრება ლონდონში

მოსკოვი, 5 დეკემბერი. ამხ. სოკოლნიკოვი გაემგზავრა ლონდონში. (ადს)

ოვიი გამოემგზავრება 7 დეკემბერს

ლონდონი, 5 დეკემბერი. ინგლისის ელჩი საბჭოთა კავშირში ოვიი და საელჩოს თანამშრომლები გაემგზავრებიან მოსკოვში 7 დეკემბერს. (ადს)

ბირკენხედის რეზოლუცია

ლონდონი, 5 დეკემბერი. ლორდთა პალატაში ინდოეთის ყოფ. მინისტრმა ბოლდუინის მთავრობაში ბირკენხედმა შეიტანა რეზოლუცია, რომელშიც ეყრდნობა რა „საბჭოთა რევოლუციონერ პროპაგანდას" წინადადებას აძლევს პალატას აცნობოს, რომ ურთიერთობის განახლება საბჭოთა კავშირთან ამჟამად არ არის სასურველი.

წინადადების წინააღმდეგ მთავრობის მხრიდან გამოვიდა ლორდი ტომსონი, ხოლო ლიბერალების მხრიდან— ლორდი რიდინგი. პალატამ 43 ხმის უმრავლესობით 21 წინააღმდეგ მიიღო ბირკენხედის რეზოლუცია.

შენიშვნა: ლორდთა პალატის რეზოლუციას არ აქვს გადამწყვეტი მნიშვნელობა ინგლისის მთავრობისათვის. (ადს)

ინგლისის კომპარტიის ამოცანები

ლონდონი, 4 დეკემბერი. გამოქვეყნდა ინგლისის კომპარტიის (ბ) ყრილობის რეზოლუცია ქვანახშირის მრეწველობაში არსებული მდგომარეობის შესახებ.

რეზოლუციაში აღნიშნულია, რომ მაკდონალდის მთავრობა ცდილობს განახორციელოს კაპიტალისტური რაციონალიზაცია ქვანახშირის მრეწველობაში და მოახდინოს სამთამადნო მუშათა ფედერაციის ფაშიზაცია.

კომპარტიის ამოცანაა— მოაწყოს მოქმედების კომიტეტები, სამთამადნო მუშათა მასების დასარაზმავად მრეწველთა, სამრეწველო მშვიდობიანობის მომხრეთა და სამთამადნო მუშათა რეფორმისტული ფედერაციის მოთხოვნების წინააღმდეგ ბრძოლისათვის. მოქმედების კომიტეტებმა ხელი უნდა შეუწყონ აგრეთვე კომპარტიის პროგრამისა და უმცირესობის მოძრაობის მოთხოვნების პოპულიარიზაციას.

ჯარების აჯანყება ნანკინის წინააღმდეგ

აჯანყება პუკოუში

ტოკიო, 4 დეკემბერი. იაპონიის პრესა იუწყება 42 დივიზიის აჯანყების შესახებ პუკოუში (რკინისგზის სადგური ნანკინის ახლო). აჯანყებულებმა გასწყვიტეს კავშირი ტიანძინსა და ნანკინს შორის, ხელთ ჩაიგდეს სატრანსპორტო საშუალებანი, სამხედრო მასალის დიდი მარაგი, სურსათი და სამხედრო ტანსაცმელი, რომელიც კანტონში გასაგზავნად იყო დანიშნული.

შანხაის პრესა მიუთითებს, რომ კარგად მოწყობილი აჯანყება, რომელიც ფაქტიურად ჩინეთის დედაქალაქის მიდამოებში მოხდა, დასცემს ნანკინის ავტორიტეტს უცხოეთში და შეაფერხებს მომავალ მოლაპარაკებას სახელმწიფოებთან ექსტერიტორიალობის გაუქმების შესახებ. გარდა ამისა, იგი ხელს შეუშლის ნანკინის ბრძოლას სამხრეთში. (ადს)

ამბოხება პოლკში

შანხაი, 4 დეკემბერი. როგორც სიმბუ რენგოს სააგენტო პუკოუდან (მდებარეობს ნანკინის პირდაპირ, იანძიძიანის მეორე ნაპირზე) იტყობინება, ჯარისკაცთა პოლკმა, რომელიც უკმაყოფილო იყო იმით, რომ ჯამაგირი არ მიუღია, უარი განაცხადა კანტონში წასვლაზე.

პოლკი აჯანყდა. ჯარისკაცები ძარცვავენ დუქნებს და ებრძვიან არმიის სხვა ნაწილებს.

მუშების მასიური დათხოვნა

ნიუ-იორკი, 5 დეკემბერი. საავტომობილო მრეწველობაში უკანასკნელი კვირის განმავლობაში დაითხოვეს 80 ათასი მუშა. ჩრდილოეთ- ამერიკის შეერთებულ შტატების მთელი რიგი საავტომობილო მრეწველობა დაიხურა.

განიარაღების კომედია

ლონდონი, 5 დეკემბერი. თემთა პალატამ მიიღო ლიბერალურ პარტიის დეპუტატის გერჯინის წინადადება, რომ მთავრობამ ყოველივე ზომა მიიღოს, რათა მოაწყოს განიარაღების საკითხის შესწავლა.

კამათში გამოვიდა ლოიდ ჯორჯი, რომელმაც განაცხადა, რომ ჟენევის მოსამზადებელმა კონფერენციამ არ გააკეთა აბსოლიუტურად არაფერი განიარაღებისათვის. ის იყო მხოლოდ კომედია. (ადს)

ინგლის-იაპონიის მოლაპარაკება

ტოკიო, 4 დეკემბერი. სიმბუ რენგოს სააგენტოს ცნობით, იაპონიის ლონდონელი ელჩის მაცუდაირას უკანასკნელი მოხსენებიდან ნათქვამია, რომ ინგლის-იაპონიის მოლაპარაკება იაპონიის საზღვაო მოთხოვნების შესახებ სრულებით არ წაწეულა წინ. (ადს)

ს ხ ვ ა დ ა ს ხ ვ ა

● გერმანიის კომპარტიაში უკანასკნელი დღეების განმავლობაში შევიდა 4.000 კაცი.

● გერმანიის ნაციონალისტთა პარტიაში განხეთქილება მოხდა. რეიხსტაგის ნაციონალისტთა ფრაქციიდან გავიდა 12 დეპუტატი. მოელიან მთელ რიგ გამოჩენილ მოღვაწეთა გასვლას და ახალი პარტიის დაარსებას.

● ტიანძინში (ჩინეთი) გაიფიცნენ იაპონელთა ქაღალდის ფაბრიკის მუშები.

● სამხრეთ-აფრიკის პოლიციისათვის ლონდონიდან იგზავნება ცრემლმდენი გაზის დიდი რაოდენობა და აგრეთვე სპეციალურად გაწვრთნილ პოლიციელთა რაზმი ფერადკანიანების მღელვარებასთან საბრძოლველად.

(დეპეშების გაგრძელება იხ. მე-3 გვ.)

საბჭოთა კავშირის საერთაშორისო მდგომარეობა

ამხ. ლიტვინოვის მოხსენება საკავშირო ცაკის სესიაზე

ჩვენი საგარეო პოლიტიკის მთავარი ღერძი

მოსკოვი, 5 დეკემბერი. საბჭოთა მთავრობის პოლიტიკის მთავარი მამოძრავებელი ამჟამად, როგორც 12 წლის წინადაც, არის ოქტომბრის რევოლუციის მონაპოვართა დაცვა გარეშე თავდასხმისაგან, მისწრაფება — უზრუნველყოფილ იქნეს მშვიდობიანი პირობები სოციალიზმის მშენებლობისათვის ჩვენს ქვეყანაში და მთელი მსოფლიოს მშრომელთა შეძლებისდაგვარი დაცვა ომის საშინელებისა და სიმძიმისაგან.

ის ფაქტი, რომ დედა-მიწის ერთ მეექვსედ ნაწილზე არსებობს მტკიცე სახელმწიფო — საბჭოთა კავშირი, რომელიც მთლიანად გამსჭვალულია მშვიდობიანობის იდეით, რომლისთვისაც უცხოა რაიმე აგრესიული ზრახვები, უკვე თავისთავად მშვიდობიანობის დიდი ფაქტორია.

ჩვენი მშვიდობისმოყვარულ ტენდენციების ახალ დამამტკიცებელ, სრულიად ობიექტიურ საბუთს წარმოადგენს ჩვენი ხუთწლიანი გეგმა, რომლის განსახორციელებლადაც ჩვენ არ შეგვიძლია არ ვისწრაფოდეთ დაურღვეველ მშვიდობიანობის პირობებისკენ. ყველასათვის აშკარა უნდა იყოს, რომ სისულელე იქნებოდა ამ გეგმის დაწყება, რომელიც ჩვენი რესურსების დაჭიმვას მოითხოვს, რომ ჩვენ ამავე დროს მტკიცედ გადაწყვეტილი არ გვქონდეს ყოველგვარი ზომა ვიხმაროთ, რომ არ დაუშვათ მშვიდობიანობის დარღვევა. **ხუთწლიანი გეგმის განხორციელება კი არ არის ჩვენი საბოლოო მიზანი, ის არის მხოლოდ სოციალიზმის იმ დიდი შენობის საძირკველი, რომელსაც ჩვენ ვაშენებთ და ავაშენებთ კიდეც.** პირველ ხუთწლედს მოჰყვება ახალი ხუთწლედები, რომელთა განსახორციელებლად საჭირო იქნება აგრეთვე მშვიდობიანი პირობები.

შემდეგ ამხ. ლიტვინოვი ჩერდება საბჭოთა მთავრობის ყველა ცდებზე უზრუნველჰყოს განიარაღება. **განიარაღების კონფერენციის მოსამზადებელმა კომისიამ**, რომელმაც უარყო სრული და ნაწილობრივი განიარაღების საბჭოთა პროექტები, **დაამტკიცა თავისი უძლურება** და ის, რომ **მას არ სურს სერიოზულად მიუდგეს განიარაღების პრობლემას**. მაგრამ კაპიტალისტური სახელმწიფოები სიმტკიცეს იჩენენ არა მარტო განიარაღებისადმი საბოტაჟის გაწევაში, მე მხედველობაში მაქვს, ამბობს ამხ. ლიტვინოვი, ის სიმტკიცე, რომელსაც იჩენენ კაპიტალისტური სახელმწიფოები არამეგობრულ და მტრულ გამოსვლებში საბჭოთა კავშირის მიმართ. მე ვლაპარაკობ, რასაკვირველია, არა აბსოლუტურად ყველა ქვეყნებზე, არამედ სახელმწიფოების დიდ უმრავლესობაზე. საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ ბრძოლაში არა მარტო პრესა, არამედ მრავალი მთავრობაც კი არ თაკილობს ყალბი დოკუმენტების დამმზადებლების, თეთრგვარდიულ ემიგრაციის ნაძირალების აშკარად უვარგისი პროდუქციით სარგებლობას.

ჩემ მიერ აღნიშნული არამეგობრული დამოკიდებულება და მტრობა, სხვათა შორის, ეყრდნობა საბჭოთა კავშირის არ ცნობის პოლიტიკას, რომელსაც განაგრძობენ ზოგიერთი სახელმწიფოები.

ჩინეთ - საბჭოთა კონფლიქტი

გადადის რა შემდეგ ჩინეთ - საბჭოთა ურთიერთობაზე, ამხ. ლიტვინოვი ამბობს, რომ ნანკინი ვერ გაბედავდა წასულიყო თავის აზარტულ ავანტიურაზე, რომელიც მას ძვირად დაუჯდა, რომ არ გაეთვალისწინებია საერთო მტრული ანტი-საბჭოთა ატმოსფერა. რომ ამის გამო იმედი არ ჰქონოდა თანაგრძნობის და პირდაპირ დახმარებისაც კი კაპიტალისტურ სახელმწიფოების მხრიდან. აქედან ჩინელების და თეთრგვარდიელების არაერთი თავდასხმა ჩვენს ტერიტორიაზე, ჩინეთში მცხოვრებ საბჭოთა მოქალაქეების დაპატიმრებანი და მკვლელობანი. ეს პოლიტიკა დიდ ზიანს აყენებს თვით ჩინეთს, რადგან იგი აძნელებს ჩინეთის ხალხის ბრძოლას თავის განთავისუფლებისათვის არათანასწორ ხელშეკრულებებისაგან. ჯერ კიდევ ამას წინად ერთი უცხოელი დიპლომატი მოსკოვში ლვარძლიანად მეკითხებოდა მე, ხომ არ მიგაჩნია ჩვენ შემცდარათ ჩინეთში ექსტერიტორიალობაზე უარის თქმის პოლიტიკა. „ხედავთ, — ამბობდა ის, — რას ბედავენ ჩინელები თქვენი მოქალაქეების მიმართ". მე მას ვუპასუხე, რომ „**მიუხედავად ყველა მომხდარ ამბებისა. ჩვენ არ ვნანობთ, რომ მეგობრულ პოლიტიკას ვაწარმოებთ ჩინეთის ხალხის მიმართ**; შემცდარია არა ჩვენ მიერ უარის თქმა ექსტერიტორიალობაზე, არამედ შემცდარია და უგუნური ნანკინელებისა და მუკდენელების პოლიტიკა, რომლებიც თავისი მოქმედებით საბაბს გაძლევენ თქვენ სწორად მიიჩნიოთ ჩინეთისათვის ექსტერიტორიალობის თავზე მოხვევის თქვენი პოლიტიკა და თქვენი სურვილი არ იცნოთ ჩინეთის ხალხის სუვერენობა თავის საკუთარ მიწაზე".

ნანკინი უარს ამბობდა და უარს ამბობს მშვიდობიანი გზით, მოლაპარაკების საშუალებით მოაგვაროს კონფლიქტი საბჭოთა კავშირთან. უკანასკნელ დღეებში, მას შემდეგ რაც შორეულ აღმოსავლეთის არმიამ განსაკუთრებით საგრძნობი კონტრ-შეტევა მოახდინა ჩინელ და თეთრგვარდიელ თავდამსხმელებზე, **ჩჟან-სიუე-ლიანმა** შეგვატყობინა ოფიციალურად, რომ **მიიღო ჩვენი პირობები, რაც კიდევ უფრო სისწორით ჩამოყალიბებულ იქნა გამოქვეყნებულ ოქმით**, რომელსაც ხელს აწერს მისი დიპლომატიური კომისარი ცაი.

ამასთან დაკავშირებით, მე მინდა მოგაგონოთ, რომ კონფლიქტამდე აღმოსავლეთ-ჩინეთის რკინის გზაზე არსებული მდგომარეობა ეყრდნობოდა არა მარტო პეკინის შეთანხმებას, არამედ მუკდენის შეთანხმებასაც, რომ **ნანკინის მთავრობას ჩვენ ფორმალურად არ ვცნობთ და რომ ჩვენსა და მის შორის არსებული ფაქტიური ურთიერთობა შეწყვეტილი იყო მისივე მიზეზით.**

ეხლა როდესაც ჩვენ მუკდენთან ერთად ვამზადებთ კონფლიქტის მშვიდობიანად მოგვარებას, ნანკინის მთავრობა ისევ ცდილობს მოიპოვოს იმპერიალისტურ სახელმწიფოების და ერთა ლიგის დახმარება და ზოგიერთები დაფაცურდნენ, იგონებენ საშუალებებს, რომლებითაც შესაძლებელი იქნება წააქეზონ ჩინეთი, რომ გააჭიანუროს კონფლიქტი და ეს კეთდება მშვიდობიანობის გულისათვის, კელოგის პაქტის სახელით! პაქტს ხელი მოაწერა 55 სახელმწიფომ და მხოლოდ სამმა მათგანმა აღიარა თავისი თავი პაქტის დამცველად, როდესაც ეს მათთვის არავის არ დაუვალებია. რა შედეგი შეიძლება მოჰყვეს სახელმწიფოების გამოსვლას?

მე ვფიქრობ, რომ არავითარი. უარეს შემთხვევაში, მუკდენთან დაწყებულ მოლაპარაკების ერთგვარი გაჭიანურება ანდა გართულება. მაგრამ მე ვფიქრობ, რომ **მუკდენი, და შეიძლება ნანკინიც, მიხვდება, რომ ჩვენ არავის უფლებას არ მივსცემთ გადაგვახვევინოს იმ პოზიციიდან, რომელიც ჩვენ მტკიცედ დავიკავეთ კონფლიქტის დაწყების დღიდან; კონფლიქტის მოგვარების გაჭიანურებას შეუძლია ზიანი მიაყენოს თვით ჩინეთს. ჩვენ** ვფიქრობთ, **რომ ვდგევართ აღმოსავლეთ - ჩინეთის რკინის გზაზე ჩამოვარდნილ კონფლიქტის მტკიცედ მოგვარების გზაზე, ჩვენ მივაღწიეთ იმას, რომ მიიღონ ჩვენი სამართლიანი პირობები და აღადგინონ ჩვენი მუშათა და გლეხთა სახელმწიფოს დარღვეული უფლებები.**

ურთიერთობა ინგლისთან

შემდეგ ამხ. ლიტვინოვი დაწვრილებით შეჩერდა ინგლის - საბჭოთა ურთიერთობაზე. კონსერვატიული მთავრობა, რომლის წყალობითაც შეწყვეტილ იქნა ურთიერთობა, ულტიმატიურად მოითხოვდა, რომ წინასწარ განხილულიყო და მისი სურვილისამებრ გადაწყვეტილიყო ყველა სადაო საკითხები. მაგრამ **კონსერვატიული მთავრობა აქაც მოსტყუვდა; მას არ გაუმართლდა იმედი, რომ სხვა სახელმწიფოებიც მიჰბაძავენ ინგლისის მაგალითს და გასწყვეტავენ ჩვენთან ურთიერთობას. ჩვენ ქედი არ მოგვიხრია**, არავითარი წინადადებით არ მივმართავს ინგლისის მთავრობისათვის. ხელისუფლების სათავეში ჩამდგარი მაკდონალდის მთავრობაც შეეცადა ასეთსავე გზას დასდგომოდა: მან დოვგალევსკის პირველ ჩასვლის დროს ლონდონში წინადადება მოგვცა—ნორმალური ურთიერთობის აღდგენამდე დაგვეწყო მოლაპარაკება ინგლისის ბურჟუაზიის პრეტენზიების დაკმაყოფილების შესახებ. ამაზე ჩვენ უარი განვაცხადეთ. დოვგალევსკისა და ჰენდერსონის მეორე შეხვედრა დამთავრდა იმ ცნობილი ოქმის ხელის მოწერით, რომელიც შეეხება მომავალი მოლაპარაკების დღის წესრიგს. **დღეს კმაყოფილებით უნდა ავღნიშნო, რომ ინგლისთან აღდგენილია ნორმალური ურთიერთობა, რომელიც სავსებით აკმაყოფილებს აგრეთვე ინგლისის ხალხის ინტერესებს.**

შემდეგ ამხ. ლიტვინოვი შეეხო იმ მოთხოვნებს, რომლებსაც ზოგიერთი სახელმწიფოები აყენებენ, როგორც პირობას საბჭოთა კავშირის ცნობისათვის და ამბობს:

ზღაპრები მოსკოვის „ემისრების" შესახებ

„უარს ჩვენ კავშირთან ნორმალური ურთიერთობის აღდგენაზე ან ამ ურთიერთობის დარღვევას ყოველთვის აშკარად არ ამართლებენ იმ კერძო პირებისა და ჯგუფების პროზაული ინტერესებით, რომელნიც რევოლუციის შედეგად „დაზარალდნენ". ხშირად ამოატივტივებენ ხოლმე სხვა „მაღალფარდოვან" განმარტებასაც— იმ საფრთხობელას, რომელიც პროპაგანდის სახელით არის ცნობილი. ნება-უნებურად გებადება ის აზრი, თითქოს იმ ქვეყნებში, სადაც არ არის საბჭოთა სრულუფლებიანი წარმომადგენლობა და საბჭოთა სავაჭრო წარმომადგენლობა, არ არსებობს კლასობრივი ბრძოლა, არ ხდება გაფიცვები, გლეხობა უკმაყოფილებას არ აცხადებს, არ მოიპოვებიან ჩაგრული ერები და სხვა. მაგრამ დავა და კამათი ამ ნიადაგზე უსარგებლოა, ვინაიდან თვითონ იმ ხალხს, ვინც საკუთარ მოქალაქეთა დასაშინებლად მიმართავს ეგრეთწოდებულ პროპაგანდას და „მოსკოვის ყველგან მყოფ ემისრებს", სერიოზულად არა სჯერა ეს"..

ამხ. ლიტვინოვი ჩამოსთვლის ისეთ გამოსვლებს საბჭოთა კავშირის სუვერენობის ინტერესთა წინააღმდეგ, როგორიც არის ინტერვენცია, ბესარაბიის ხელში ჩაგდების ფაქტის ცნობა სახელმწიფოთა მიერ, ხელის შეწყობა თეთრგვარდიელთათვის, გამოსვლა საგარეო ვაჭრობის მონოპოლიის წინააღმდეგ, საბჭოთა სასამართლოების განაჩენების წინააღმდეგ და სხვა, და ამბობს— ყველა ამის შემდეგ ვინ არღვევს პროპაგანდის არ გაწევის პირობას და საერთაშორისო ცხოვრების პრინციპს— ჩაურევლობას, ჩვენ თუ ისინი? მრავალი ათასი გაზეთი თითქმის ყველა ქვეყანაში, 12 წლის განმავლობაში, დღითი-დღე ლანძღავენ ჩვენ კავშირს, ილაშქრებენ საბჭოთა რეჟიმის წინააღმდეგ, დაურიდებლად, უმსგავსო სიტყვებით შეურაცყოფას აყენებენ და ცილს სწამებენ საბჭოთა მთავრობას მთლიანად და მის წევრებს—ცალ-ცალკე. საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ მიმართული ქადაგება გაისმის პარლამენტის ტრიბუნიდან, ამასთან გაისმის ისეთი სიტყვებით, რომლებიც სრულებით არ შეეფერებიან საპარლამენტო ტრიბუნას. განა ყველაფერი ეს პროპაგანდა არ არის, პროპაგანდა, მიმართული საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ? მაგრამ როდესაც „იზვესტია" ან „პრავდა" ნებას აძლევენ თავს და საკმაო პატივისცემით არ იხსენიებენ კაპიტალისტურ რეჟიმს ან რომელსამე უცხოელ სახელმწიფო მოღვაწეს,—უცხოეთის მთელ პრესაში იწყება ყვირილი და განგაში, შეაქვთ ინტერპელიაციები პარლამენტებში, გზავნიან დიპლომატიურ ნოტებს და პროტესტებს და ჰქმნიან ზღაპრებს ეგრეთწოდებულ საბჭოთა პროპაგანდის შესახებ, რომლის წინააღმდეგაც მიღებულ უნდა იქნას განსაკუთრებული ზომები, რომელიც, ასე გასინჯეთ, ხელსაც კი უშლის ჩვენ კავშირთან ნორმალურ ურთიერთობის აღდგენას ან შენარჩუნებას. **ჩაურევლობას ჩვენ თვითონ მოვითხოვთ იმ სახელმწიფოებისაგან, რომელთაც მოსკოვში წარმომადგენელი ჰყავთ, ჩვენ თვითონ ლოიალურად ვიცავთ მას და განზრახული გვაქვს სხვა ქვეყნების მიმართ შემდეგშიაც დავიცვათ იგი.** მაგრამ ამასთან, უნდა განვაცხადო, რომ დაუსაბუთებელი ბრალდებები ეგრეთწოდებულ პროპაგანდაში ან ცდები, რომ საბჭოთა მთავრობა გახადონ პასუხისმგებელი იმ პირებისა და ორგანიზაციების მოქმედებისთვის, რომელთაც ეს მთავრობა არც ფორმალურად და არც ფაქტიურად არავითარ კონტროლს არ უწევს,— ეს ბრალდებანი უნდა მივიჩნიოთ ისეთ რამედ, რასაც განგებ იგონებენ, რათა გაამართლონ ნორმალური ურთიერთობის არ დამყარება ან უკვე არსებული ურთიერთობის შეწყვეტა, ან ჩავთვალოთ საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ მიმართული უფრო სერიოზულ მახინაციებად.

ამხ. ლიტვინოვი უბრუნდება ინგლისთან დიპლომატიური ურთიერთობის აღდგენის მნიშვნელობას, ეხება მის ეკონომიურ მნიშვნელობასაც და ამბობს:

„ჩვენ ვიმედოვნებთ, რომ გამოვძებნით გზას სადაო საკითხების დამაკმაყოფილებლად გადაჭრისთვის, თუ მეორე მხარე უნაყოფოდ არ შეეცდება მოგვახვიოს თავზე ჩვენთვის უცხო პრინციპები, თუ იგი, ამის ნაცვლად, ჩვენთან ერთად შეეცდება პრობლემის ისეთნაირად გადაჭრას, რომელიც ორივე მხრისათვის ხელსაყრელი იქნება".

დამოკიდებულება დასავლეთის სახელმწიფოებთან

შემდეგ ამხ. ლიტვინოვი ამბობს:

„ჩვენ წინანდებურად დიდად მეგობრული ურთიერთობა გვაქვს გერმანიასთან. წინანდებურად დიდის სიმპატიით ვადევნებთ თვალს იმას, თუ როგორ ცდილობს გერმანია დაალწიოს თავი იმ ხუნდებს, რომლებითაც შებორკა იგი ვერსალის ხელშეკრულებამ და რომლებისაგანაც ყველაზე მეტად იტანჯებიან მშრომელი კლასები. მაგრამ უკანასკნელმა წელმა კვლავ დაგვიმტკიცა, რომ გერმანიაში არიან ისეთი პირები, ჯგუფები და პარტიებიც კი, რომელნიც მიზნად ისახავენ გერმანიის მთელი პოლიტიკის რადიკალურად შეცვლას და ისეთი პოლიტიკის დამყარებას, რომელიც, მოჩვენებითი სარფის მისაღებად, მიმართული იქნება საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ. საჭიროა გულდასმით ვადევნოთ თვალყური ასეთ ცდებს, მაგრამ აქედან არ უნდა გამოვიყვანოთ დასკვნა გერმანია-საბჭოთა ურთიერთობის ძირითადი ხაზის შეცვლის შესახებ. **ჩვენი კავშირი დასავლეთის ქვეყნებთან, რასაკვირველია, გაფართოვდა** და უფრო მეტადაც გაფართოვდება, რის გამოც, რა თქმა უნდა, გაძლიერდება უცხო სახელმწიფოთა კონკურენცია ჩვენს ბაზარზე; მაგრამ, მეორეს მხრით, იმ ტემპების წყალობით, რომლებითაც ჩვენ ინდუსტრიას და სოფლის მეურნეობას ვანვითარებთ, უდიდესად გაიზარდა ჩვენი მოთხოვნილებანი. მნიშვნელოვნად თვით გერმანიაზე იქნება დამოკიდებული ის, თუ რანაირ მონაწილეობას მიიღებს იგი ამ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებაში.

ჩვენ მწუხარებით უნდა აღვნიშნოთ თუმცა ნორმალური, მაგრამ რამდენადმე შენელებული ურთიერთობა საფრანგეთთან. საფრანგეთის როლი სახელმწიფოების იმ გამოსვლაში, რომელიც ჩინეთ-საბჭოთა კონფლიქტს ეხება, ამტკიცებს, რომ საფრანგეთი სრულებითაც არ ფიქრობს უკანასკნელი ადგილი დაიჭიროს იმ გამოსვლებში, რომლებიც საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ არის მიმართული. როცა ჩვენ ხელი მოვაწერეთ მოსკოვის იმ ოქმს, რომელიც კელოგის პაქტის ვადამდე შემოღებას შეეხება, ჩვენ ხელახლა ნათელვყავით ჩვენი აქტიური მისწრაფება მშვიდობიანობის გამტკიცებისაკენ, კერძოდ, ჩვენ ვიმედოვნებდით, რომ ოქმი შემაკავებელ გავლენას მოახდენდა პოლონელთა იმ წრეებზე, რომელნიც ყოველთვის სცდილობდნენ ორ სახელმწიფოს შორის კონფლიქტების შექმნას და განმტკიცებას. სამწუხაროდ, ჩვენი იმედი არ გამართლდა.

ჩვენს ურთიერთობაში ბალტიის მხრის სახელმწიფოებთან უკანასკნელი წლის განმავლობაში თვალსაჩინო ცვლილება არ მომხდარა. ნორმალურად ვითარდება ჩვენი ურთიერთობა სკანდინავიის ყველა სახელმწიფოებთან

დასავლეთის ქვეყნებთან ჩვენი ურთიერთობის მიმოხილვის დროს, არ შეგვიძლია არ გავიხსენოთ, რომ ჩვენ სამხრეთ-დასავლეთ საზღვარზე ერთი პროვინცია, რომელიც ფორმალურად არ ჩამოშორებულა ჩვენ კავშირს, ჯერ კიდევ ოკუპაციაში იმყოფება, რასაც ვერ ამჩნევენ ისინი, რომელთაც თვითონ აირჩიეს თავიანთი თავი კელოგის პაქტის დამცველებად,—**ვგულისხმობ ბესარაბიას, რომელიც ყოველთვის მიისწრაფოდა და მიისწრაფის საბჭოთა კავშირთან შეერთებისაკენ**".

ამხ. ლიტვინოვი.

ურთიერთობა აღმოსავლეთის ქვეყნებთან

შემდეგ ამხ. ლიტვინოვი შეჩერდა საბჭოთა კავშირის და თურქეთის მეგობრულ ურთიერთობაზე და ამბობს:

„**ახლო მომავალში ამხ. კარახანი გაემგზავრება თურქეთის დედაქალაქში, რათა თურქეთს პირადად დაუდასტუროს ჩვენი ურყევი მეგობრული დამოკიდებულება. ჩვენ მოხარულნი ვართ აღვნიშნოთ აგრეთვე იაპონიასთან ჩვენი ურთიერთობის თვალსაჩინო სტაბილიზაცია და ურთიერთისადმი ლოიალობა**, რომელსაც ორივე სახელმწიფო იცავს. **უცვლელია ჩვენი მეგობრული ურთიერთობა სპარსეთთან. ორივე სახელმწიფო ღებულობს ყველა ზომას იმისთვის, რომ დაუბრკოლებლად განვითარდეს ის ეკონომიური ურთიერთობა, რომელსაც ორივე მხრისთვის დიდი მნიშვნელობა აქვს**".

ჩვენ და ამერიკა

ამხ. ლიტვინოვი შემდეგ აღნიშნავს **ჩვენი ურთიერთობის განმტკიცებას შეერთებული შტატების საქმიან წრეებთან** და ამბობს, **რომ სათანადო პირობებში შეიძლებოდა შემდგომი მნიშვნელოვანი ნაბიჯების გადადგმა ორივე ქვეყნის ეკონომიური დაახლოვებისათვის**. ჩვენ დამშვიდებულნი მოველით იმ დროს, როდესაც ამის საჭიროებას შეიგნებენ აგრეთვე ისინი, ვისზედაც დამოკიდებულია ამ ნაბიჯების გადადგმა.

შემდეგ ამხ. ლიტვინოვი ამბობს, რომ დღეს მოულოდნელად გაახსენდა ჩვენი კავშირის არსებობა პანამის დამოუკიდებელ რესპუბლიკას. ისიც თურმე კელოგის პაქტის დაცვისათვის ზრუნავს. ჩვენ დაგვრჩენია ერთი რამ: ვისურვოთ, რომ პაქტმა დაიცვას თვითონ ის და განამტკიცოს მისი დამოუკიდებლობა.

დასკვნა

მოხსენების დასასრულ ამხ. ლიტვინოვი ამბობს:

„**აღნიშნულ პერიოდში ჩვენ სავსებით დავიცავით ჩვენი პოზიციები** თუ არ ჩავთვლით აღმოსავლეთ-ჩინეთის რკინისგზაზე მოყენებულ ზიანს, რასაც დარწმუნებული ვართ, ახლო მომავალში ავანაზღაურებთ. **უეჭველ წარმატებად უნდა ჩაითვალოს დიპლომატიური ურთიერთობის აღდგენა ინგლისთან.** მაგრამ გულუბრყვილობას და სიმსუბუქეს გამოვიჩენთ, თუ დავჯერდებით მიღწეულ სტაბილიზაციას, ჩვენი საერთაშორისო მდგომარეობის ერთგვარი გაუმჯობესების შემთხვევაშიაც კი. საჭირო არ არის დანამდვილებით მივუთითოთ იმაზე, თუ რომელ თვეში, სად და როგორ მზადდება სამხედრო მოქმედება ჩვენ წინააღმდეგ. საკმაოა აღვნიშნოთ არსებული მტრული განწყობილება და ის, რომ კაპიტალისტური ქვეყნები დღემდე ვერ ურიგდებიან საბჭოთა ქვეყნის არსებობას, რაც არ შეიძლება არ წარმოადგენდეს მუდმივ საფრთხეს საბჭოთა კავშირისთვის. ამ საფრთხის ნეიტრალიზაცია და გაქარწყლება ჩვენ არ შეგვიძლია მარტო დიპლომატიური ღონისძიებებით. **ნამდვილი წონასწორობის მიღწევა შეიძლება მხოლოდ ჩვენი შინაგანი სიძლიერის შემდგომი განმტკიცებით, ჩვენი სამეურნეო გეგმების წარმატებული განხორციელებით, მუშათა კლასის და საშუალო და ღარიბი გლეხობის ალფრთოვანების გაძლიერებით და მისთვის ხელის შეწყობით, ჩვენი პარტიის მთლიანობის შემდგომი შემჭიდროებით, აგრეთვე მუდმივი მუშაობით ჩვენი ქვეყნის თავდაცვის უნარიანობის გასაძლიერებლად.** (ადს)

საკავშირო ცაკის სესიამ

მოიწონა მთავრობის პოლიტიკა

მოსკოვი, 5 დეკემბერი. საკავშირო ცაკის სესიამ, მოისმინა რა საგარეო საქმეთა სახალხო კომისარის მოადგილის ამხ. ლიტვინოვის მოხსენება საბჭოთა კავშირის საერთაშორისო მდგომარეობის შესახებ, დაადგინა: **მთლიანად და სავსებით მოიწონოს საკავშირო მთავრობის საგარეო პოლიტიკა.** (ადს)

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქ. კომპარტიის (ბ) ცკას ნოემბრის პლენუმის შედეგები

ამხ. ა. კრინიცკის მოხსენება

საქ. კ. პ. (ბ) ა.-კ. საოლქო კომიტეტისა და საქ. კ. პ. (ბ) თბ. ორგ. აქტივის გაერთიანებულ კრებაზე 1929 წ. 28 ნოემბერს*)

დიადი გარდატეხის წელი

ამხანაგებო! ჩვენი პარტიის ც. კ-ის ნოემბრის პლენუმის შედეგებზე ლაპარაკის დროს, მე ამიერ-კავკასიის ორგანიზაციის ამოცანებთან უნდა დამეკავშირებინა ის ამოცანები, რომლებიც საკავშირო კომპარტიის (ბ) ც. კ.-მა დაუსახა მთელ პარტიას. მაგრამ ამხანად დავჯერდები იმ ზოგადი პარტიული ამოცანების დახასიათებას, რომლებიც, რასაკვირველია, ჩვენც მთლიანად შეგვეხება.

საკავშირო კომპარტიის (ბ) ც. კ-ის უკანასკნელი პლენუმი თავის გადაწყვეტილებებში ეყრდნობოდა „დიადი გარდატეხის წლის“ (როგორც ამხ. სტალინმა 7 ნოემბრის წერილში განსაზღვრა განვლილი წელი) შედეგების ანალიზს. მართლაც, უკანასკნელი წლის, ხუთწლედის პირველი წლის გამოცდილებამ დაგვანახვა, რომ ჩვენ ხუთწლედის მეორე წლიდან ვაფართოებთ ძლევამოსილ სოციალისტურ მშენებლობას მუშათა კლასის დიდ ახალ მიღწევათა საფუძველზე.

ჩვენ ვხედავთ თვალსაჩინო სოციალ-ეკონომიურ გარდატეხას საბჭოთა კავშირში. უკანასკნელი წლის განმავლობაში განხორციელდა ინდუსტრიალიზაციის ისეთი ტემპი, რომელიც არსად ყოფილა და არავის უნახავს. მსხვილი კოლექტიური მიწათმოქმედების, მეტადრე გლეხის მეურნეობის კოლექტივიზაციის ტემპმა ყოველგვარ პროექტებს გადააჭარბა. პროლეტარიატის და მისი კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით საშუალო გლეხობა ფართო მასად გადადის სოფლის განვითარების სოციალისტურ გზაზე. ამ სოციალურ-ეკონომიურ გარდატეხათა საუკეთესო მაჩვენებელია—განსაზოგადოებული სექტორის ხვედრითი წონის ზრდა ჩვენი ქვეყნის ეკონომიკაში. გარდატეხათა 1927—28, 1928—29 და 1929—30 წლების განმავლობაში (საკონტროლო ციფრები) განსაზოგადოებული სექტორი სახალხო მეურნეობის ძირითადი ფონდების მიხედვით შეადგენს 51,7 პროცენტს, 54,1 პროც., 59 პროც.; სახალხო მეურნეობის საერთო შემოსავლის მიხედვით—41,3 პროცენტს, 48,5 პროც., 51,2 პროც., სახალხო მეურნეობის საბაზრო პროდუქციის მიხედვით 1928—29 და 1929—30 წლების განმავლობაში (საკონტრ. ციფრები) —69,9 პროც. და 75,4 პროც.; სავაჭრო-საშემოსავლო ბრუნვის მიხედვით—93,4 პროცენტი და 96,7 პროც.; სოფლის მეურნეობის განსაზოგადოებული სექტორის პროდუქციის მიხედვით 1927—28, 1928—29 და 1929—30 წლების განმავლობაში (საკონტრ. ციფრები) სათანადო წლების მიხედვით შეადგენს—12,2 პროც., 21 პროც. და 50 პროცენტს. 1929—30 წ. ბიუჯეტი იზრდება 11,8 მილიარდ მანეთამდე.

ამასთან დაკავშირებულია ჩვენს ქვეყანაში კლასობრივ ძალთა საგრძნობი გადაჯგუფება პროლეტარიატის პოზიციების გაძლიერებისა და განმტკიცების მიმართულებით. პროლეტარიატის რიცხვი წელს 7,8 პროცენტით გადიდდა, ხოლო 1929—30 წელს 10 პროც. და მეტითაც გადიდდება. ძალიან გაიზარდა პროლეტარიატის მასების პოლიტიკური აქტიობა, კლასობრივი შეგნება და შემოქმედებითი ენერგია; მუშათა მასებში უფრო და უფრო მწიფდება ნამდვილი სოციალისტური დამოკიდებულება შრომისადმი, როგორც „საკუთარი თავისათვის მუშაობისადმი“ და არა „სხვის სასარგებლოდ შრომისადმი“, რაც სოციალისტური მშენებლობის მძლავრ ბერკეტს წარმოადგენს. ეს ახალი გარდატეხა საუცხოოდ გამოიხატა სოციალისტურ შეჯიბრებაში, „ინდუსტრიალიზაციის დღის“ დიდ წარმატებაში. მუშათა კლასის და გლეხობის მიმართ პირველად იშლება ნათლად და უფრო და უფრო შედის ცხოვრებაში საწარმოო დაკავშირება. ჩვენ თვალწინ უფრო და უფრო მაგრდება პროლეტარიატის და გლეხობის ღრმა კავშირი, რაც მოწმობს მუშათა კლასის ხელმძღვანელობის განმტკიცებას და ამ კლასისადმი გლეხობის ნდობის ზრდას.

მუშათა კლასის და გლეხობის კავშირის ეს განმტკიცება ხდება ისეთ პირობებში, როდესაც ჩვენი ქვეყნის კაპიტალისტური ელემენტები გაცოფებულნი იბრძვიან პროლეტარიატის სოციალისტური შეტევის წინააღმდეგ, როდესაც ისინი ცდილობენ კონტრშეტევაზე გადასვლას, წინააღმდეგობის გაწევას.

ჩვენი ქვეყნის სოციალისტური განვითარების სწორედ ამ საერთო აღტყინებამ და პროლეტარიატის დიქტატურის განმტკიცებამ, პარტიის და მისი ც. კ-ის სწორი ლენინური პოლიტიკის საფუძველზე, გამოიწვია ასეთი სწრაფი და სრული გაკოტრება **იმ ბრძოლის ყველა ცდებისა, რომლებიც მიმართული იყო პარტიისა და მისი ც. კ-ის პოლიტიკის წინააღმდეგ.** სწორედ ამიტომ მემარჯვენე ოპოზიციამ, რომელსაც მეთაურობდა პოლიტბიუროს სამი წევრი, პარტიის სამი ძველი, წარსულში მეტად ცნობილი და დიდად ავტორიტეტული მუშაკი, დაამთავრა თავისი არსებობა, და გაკოტრდა ისე სწრაფად, რომ მან ვერავითარი საგრძნობი დახმარება ვერ ჰპოვა რომელსამე ორგანიზაციაში; იგი თავისი სამი ლიდერის სახით, კაპიტულიაციამდე მივიდა. სრული კრახით გათავდა ოპოზიციის ცდა—დაეპირისპირებინა თავისი ხაზი პარტიული პოლიტიკისათვის. ასევე დაემართათ „მემარცხენე განხრის“ წარმომადგენელთ.

ყველა ეს „დიადი გარდატეხის“ დამადასტურებელი ზოგადი შედეგები უკავშირდება იმ საერთო პერსპექტივას, რომელიც ლენინმა მოგვცა 8 წლის წინათ ახალ ეკონომიურ პოლიტიკაზე გადასვლის დროს. „იმ პერიოდის მნიშვნელობა, რომელიც ახლა რუსეთში იწყება, საერთაშორისო თვალსაზრისით,—თუ საერთაშორისო რევოლუციას განვიხილავთ, როგორც მთლიან პროცესს,—ამბობდა ლენინი, არსებითად იმით გამოიხატება, რომ ჩვენ პრაქტიკულად უნდა გადავწყვიტოთ საკითხი პროლეტარიატის დამოკიდებულებისა რუსეთის უკანასკნელი კაპიტალისტური კლასისადმი. თეორეტიულად ყველა მარქსისტები კარგად და ადვილად სწყვეტდენ ამ საკითხს, მაგრამ თეორია სხვაა და პრაქტიკა სხვა და ამ საკითხის გადაჭრა პრაქტიკულად ან თეორეტიულად—ერთი და იგივე არ არის. ჩვენ კარგად ვიცით, რომ დიდ შეცდომებს ვსჩადიოდით. საერთაშორისო თვალსაზრისით უდიდეს პროგრესს წარმოადგენს, რომ ჩვენ ვცდილობთ განვსაზღვროთ სახელმწიფო ხელისუფლების პატრონის—პროლეტარიატის დამოკიდებულება უკანასკნელი კაპიტალისტური კლასისადმი, კაპიტალიზმის ულრმესი საფუძვლისადმი, წვრილ საკუთრებისადმი, წვრილ მწარმოებლისადმი. ეს საკითხი ამჟამად პრაქტიკულად დადგა ჩვენს წინაშე“ (ლენინი: მე-18 ტ. 1 ნაწ., 301 გვ.).

სწორედ ხუთწლედის პირველი წლის გამოცდილება გვაიძულებს კიდევ ერთხელ გავიხსენოთ ლენინის ეს პერსპექტივა. ჩვენმა ქვეყანამ საქმით, პირისპირ შესდგა ფეხი იმ პერიოდში, რომლის დასაწყისის შესახებ ლენინი ლაპარაკობდა. ჩვენ უკვე ვიპოვეთ პრაქტიკული გზა და ფართო მასშტაბით დავიწყეთ იმ საკითხის გადაჭრა, რომელიც ეხება პროლეტარიატის დამოკიდებულებას „კაპიტალიზმის ულრმესი საფუძვლისადმი... „წვრილ მწარმოებლებისადმი, მაშინ, როცა ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიალიზაციაზე დაყრდნობილი კოლექტივიზაციის სწრაფ ტემპთან ერთად ჩვენ ძალიან დავაჩქარეთ ჩვენი წინსვლა სოციალიზმის მშენებლობისაკენ, კლასების სრულ მოსპობისაკენ.

ცენტრალური კ.-ის პლენუმზე შეჯამებული შედეგები უკვე სრულიად კონკრეტულ, უდავო პასუხს გვაძლევენ იმ საკითხზე, რომელსაც ხშირად აყენებდა ლენინი ახალი ეკონომიური პოლიტიკის პირველ წლებში, „ვის გაჰყვება გლეხობა—პროლეტარიატს, რომელიც ცდილობს სოციალისტური საზოგადოების შექმნას, თუ კაპიტალისტს, რომელიც ამბობს: „უკან გავბრუნდეთ, ეს უფრო ნაკლებ სახიფათოა, თორემ რაღაც სოციალიზმი გამოიგონესო“ (ლენინი: ტ. მე-18, ნაწ. 1 გვ. 344).

ამ საკითხზე ხუთწლედის პირველი წლის გამოცდილება სრული სიცხადით გვაძლევს დადებით პასუხს.

ღარიბი და საშუალო გლეხობის მასები განვითარების სოციალისტურ გზაზე დგებიან, ისინი წინ მიდიან მუშათა კლასის ხელმძღვანელობით, „იცავენ მასთან კავშირის ერთგულებას“, „საშუალებას არ აძლევენ „ნეპმანებს“, ე. ი. ახალ ბურჟუაზიას, რომ მუშებს დააშორონ“ (ლენინი). უდიდესი საერთაშორისო მნიშვნელობის უდიდესი ამოცანა ჩვენს სასარგებლოდ სწყდება.

ასეა დაკავშირებული პროლეტარიატის დიქტატურის ძირითად ამოცანებთან ც. კ.-ის პლენუმის ძირითადი საკითხები ქვეყნის ინდუსტრიალიზაციისა, სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციისა და სახალხო მეურნეობის კადრების შესახებ.

ინდუსტრიალიზაციის ტემპი ჩვენში

შევეხები საბჭოთა კავშირის ინდუსტრიალიზაციას. უმნიშვნელოვანეს საკითხს აქ შეადგენს ინდუსტრიალიზაციის **ტემპი**. ტემპის საკითხი აქტუალურია, უპირველეს ყოვლისა, იმიტომ, რომ ინდუსტრიალიზაციის სრაფი ტემპი ნიშნავს ნამდვილად განხორციელებას ჩვენი ამოცანისას—დავეწიოთ და გავუსწროთ მოწინავე კაპიტალისტურ ქვეყნებს, ნიშნავს საბჭოთა ქვეყნის, როგორც საერთაშორისო პროლეტარული რევოლიუციის ციხე-სიმაგრის, სიმძლავრის სწრაფ განმტკიცებას, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მსოფლიო რევოლიუციონური მოძრაობის საერთო აზვირთებასთან დაკავშირებით, კერძოთ კი — უფრო და უფრო გაზრდილ ომის საფრთხესთან დაკავშირებით. ინდუსტრიალიზაციის სწრაფი ტემპის რეალურად მიღწევა ნიშნავს იმას, რომ წლითი-წლობით უფრო და უფრო მტკიცედ უზრუნველვყოთ ჩვენი ძირითადი ამოცანის ძლევამოსილი შესრულება; ეს ამოცანა კი არის—სოციალიზმის აშენება ჩვენს ქვეყანაში კაპიტალისტური გარემოცვის პირობებში და პროლეტარული ძალების დაგროვება იმ დროისთვის, როცა ომის საფრთხე რეალურ საქმედ გადაიქცევა.

ინდუსტრიალიზაციის ტემპის საკითხთანვე მჭიდროთ არის დაკავშირებული საბჭოთა კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების საკითხი. მაშინ, როდესაც მრეწველობა და სოფლის მეურნეობის განსაზოგადოებული სექტორი სწრაფად იზრდებიან, მთლიანად აღებული სოფლის მეურნეობა იზრდება ნელის ნაბიჯით—1929—30 წლისთვის მისი პროდუქციის ზრდა გათვალისწინებულია მხოლოდ 13 პროცენტით. განსაკუთრებით ცუდათ არის საქმე მესაქონლეობაში—საკონტროლო ციფრებით 1929—30 წლისათვის ზრდა გათვალისწინებულია უმნიშვნელო პროცენტით—3,5—4,5-ით. ტემპების ეს უდიდესი ჩამორჩენა ჩვენი ქვეყნის სოფლის მეურნეობის განვითარებაში დაძლეული იქნება სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციის გზით, მისი სრული რეკონსტრუქციით, რის მიღწევაც შეიძლება მხოლოდ „ინდუსტრიის განვითარების დაჩქარებით, იმ ინდუსტრიის დაჩქარებით, რომელიც წარმოადგენს „სოფლის მეურნეობის სოციალისტური რეკონსტრუქციის **მთავარ იარაღს**“.

გასული წლის მანძილზე ჩვენ მრეწველობისა და სახალხო მეურნეობის განვითარების მეტად მაღალ ტემპებს მივაღწიეთ. მოვიყვან რამდენსამე ციფრს. მსხვილი მრეწველობის პროდუქცია 1928—29 წელს გადიდდა 23,2 პროცენტით; ხოლო 1929—30 წლისათვის ნავარაუდევია ზრდა 32,1 პროცენტით. საწარმოო საშუალებათა წარმოება გაიზარდა თითქმის 30 პროცენტით, ხოლო 1929—30 წლისათვის ნავარაუდევია 45 პროცენტზე მეტი. კაპიტალური დაბანდებანი 1929—30 წლისათვის ნავარაუდევია 13 მილიარდი მანეთის რაოდენობით (1928—29 წელს 8.5 მილიარდი მანეთი იყო). სახალხო შემოსავლის ზრდა ნავარაუდევია 1929—30 წელს—20.4 პროცენტით. ამავე დროს ხდება მუშათა მასებისა და გლეხების კულტურული და მატერიალური დონის აწევა.

უნდა შევეკითხოთ ჩვენს თავს—ჩვენ მივაღწევთ ასეთ ტემპებს, მაგრამ შემდეგში შევსძლებთ თუ არა ამგვარი ტემპების ატანას? ამ კითხვაზე პასუხს მოგვცემს საბჭოთა კავშირისა და კაპიტალისტური ქვეყნების, მაგალითად ჩრდილოეთ-ამერიკის შეერთებული შტატების, სამეურნეო განვითარების ხასიათისა და ტემპების შედარება.

ამჟამად ამ საკითხზე მოიპოვება მთელი რიგი საინტერესო შრომები, რომლებიც ანალიზს უკეთებენ ჩვენი განვითარების ტემპებს. აქედან შეიძლება დავასახელოთ ამხ. ხაბსოვიჩის, მოტილიოვის და სხვ. შრომები (შემდეგში ტემპების საკითხზე მე მომყავს მასალები ამხ. მოტილიოვის წიგნაკიდან). *)

ამერიკა იძლევა სამეურნეო განვითარების ყველაზე მაღალ ტემპებს. ამერიკაში სახალხო მეურნეობის ზრდის კოეფიციენტი მეორმოცდაათე წლებიდან მე-20 საუკუნის მეორე ათწლეულამდე ირყეოდა საშუალოდ 2,9 პროცენტიდან 5,8 პროცენტამდე, ამასთან უკანასკნელ პერიოდში ამერიკაში ისევე, როგორც სხვა კაპიტალისტურ ქვეყნებში, თავი იჩინა სახალხო შემოსავლის ზრდის ტემპის შენელების აშკარა ტენდენციამ. მაგალითად, 1890—1900 წლებში ჩრდილოეთ-ამერიკის შეერთებულ შტატებში სახალხო შემოსავლის წლიური ზრდა შემცირდა 5,8 პროცენტიდან 3,0 პროცენტამდე. 1889—1914 წლებში ამერიკის სამრეწველო პროდუქციის წლიური ზრდა ირყეოდა 4,8 პროცენტიდან 3,1 პროცენტამდე. სოფლის მეურნეობაში მეორმოცდაათე წლებიდან 1910 წლამდე ეს ზრდა შემდეგნაირად ირყეოდა: 3,6—5,2—3,4 პროც. სამეურნეო ზრდის ამ მაჩვენებლებით თვალსაჩინოდ სჩანს საშუალო წლიური ზრდის ტემპის შენელება უძლიერეს კაპიტალისტურ ქვეყანაში.

რა არის ამ მოვლენის მიზეზი? პასუხს ამ კითხვაზე ჩვენთვის უაღრესად არსებითი მნიშვნელობა აქვს, იმიტომ, რომ ეს ხელს გვიწყობს იმის გაგებაში—შესძლებს თუ არა საბჭოთა კავშირი შემდეგშიაც განვითარდეს თავისი სწრაფი ტემპით. და ნამდვილად გაუსწროს კაპიტალისტურ ქვეყნებს, ხოლო პირველ ყოვლისა ამერიკას, რომელიც ამჟამად ყველა კაპიტალისტურ ქვეყანაზე სწრაფად ვითარდება.

პირველ ყოვლისა, უნდა აღვნიშნოთ კაპიტალისტური სამეურნეო სისტემის არანაყოფიერ ხარჯების ზრდა.

უკანასკნელი დროის ბურჟუაზიულ ეკონომისტთა შრომებში ყველაზე მნიშვნელოვანია ჩეზის შრომა „Трагедия расточительства“. ამ ამერიკელმა ეკონომისტმა გამოიანგარიშა, რომ საქონლის ფასში 1850 წლიდან 1920 წლამდე წარმოების ხარჯები შემცირდა 80-დან 50 პროცენტამდე, ხოლო ბრუნვის ხარჯები გაიზარდა 20-დან 50 პროცენტამდე. რას ნიშნავს ეს? ეს ნიშნავს იმას, რომ კაპიტალისტურ სამეურნეო სისტემაში წარმოების რაციონალიზაციისა და პროდუქციის თვითღირებულების სფეროში მიღწეული უდიდესი წარმატებებიც კი სუსტდება მთელი კაპიტალისტური მეურნეობის ანარქიული ხასიათისა და ბრუნვის უდიდესი ხარჯების გამო. საკმაოა ითქვას, რომ მარტო რეკლამა ჩეზის გამოანგარიშებით, ერთ მილიარდ დოლარზე მეტს ნთქავს წლიურად.

იმ მიზეზთა რიცხვს, რომლებიც განსაზღვრავენ კაპიტალისტური ქვეყნების სამეურნეო განვითარების ტემპის დაცემას, მიეკუთვნება დიდი შერყევანი და დაბრკოლებანი, გამოწვეული სამეურნეო კრიზისებით და დეპრესიის პერიოდები (კონიუნქტურის ძლიერი დაცემა) გაფიცვები და ლოკაუტები; ექსპლოატატორული კლასების მოხმარების მფლანგველური ხასიათი (ჩეზის გამოანგარიშებით, მხოლოდ ის ხარჯები, რომლებიც ზედმეტ ფუფუნებაზე მოდის, ნთქავს სახალხო შემოსავლის 15 პროცენტს); მათ რიცხვს ეკუთვნის აგრეთვე ქვეყნის ბუნებრივ სიმდიდრეთა მატერიალური ექსპლოატაცია; აბსოლუტური რენტის და მიწის ფასის სწრაფი ზრდა; უდიდეს უარყოფითი გავლენას ახდენს შინაური ბაზრის ტევადობის შემცირება მასების მატერიალური დონის დაცემის ხარჯზე; მილიტარიზმი და სამხედრო ხარჯების ძლიერი ზრდა და სხვ.

ამ მოწინავე კაპიტალისტურ ქვეყანასთან შედარებით ჩვენ უდავო უპირატესობანი გვაქვს. რასაკვირველია, ფხიზლად უნდა ვხედავდეთ უდიდეს სიძნელეებს, რომლებიც ჩვენს წინაშე დგანან. ჩვენი ტექნიკური და საერთო კულტ. ჩამორჩენილობა დიდია, ჩვენი შრომის ნაყოფიერება ჯერ კიდევ ფრიად მცირეა. არ უნდა დავივიწყოთ, რომ ამ ჩამორჩენილობის დაძლევა ჩვენ მიერ არ ხდება ისეთი სისწრაფით, რომელსაც ჩვენი სამეურნეო ამოცანები გვიკარნახებენ და რომელსაც ჩვენ მივაღწევთ. დიდია აგრეთვე სიძნელეები, დაკავშირებული კაპიტალისტურ გარემოცვასთან და ბურჟუაზიული სახელმწიფოების გააფთრებულ ბრძოლასთან ჩვენს წინააღმდეგ. მაგრამ, ამასთანავე, ჩვენი უპირატესობანი განსაკუთრებულია. საბჭოთა კავშირის უდიდეს ბუნებრივი სიმდიდრეების ექსპლოატაციას ჩვენ ვაწარმოებთ ყველაზე უფრო რაციონალურად, გეგმიანად და ეკონომიურად. ჩვენი სახელმწიფოებრივი წყობილება სამეურნეო ხელმძღვანელობისა და მმართველობის სისტემა უზრუნველჰყოფს ქვეყნის საწარმოო ძალების ყველაზე უფრო რაციონალურ, გეგმიან განვითარებას. საბჭოთა ქვეყანას აქვს ისეთი რეზერვი, რომელსაც ვერას გზით ვერ შექმნის ვერც ერთი კაპიტალისტური ქვეყანა,—ეს არის საკუთარ თავისთვის და არა ექსპლოატატორთათვის მომუშავე მშრომელთა შემოქმედებითი ენტუზიაზმი. განუწყვეტელი საწარმოო კვირა უზრუნველჰყოფს ძირითადი კაპიტალის ყველაზე უფრო სწრაფ და დაჭიმულ გამოყენებას და მთელი სამეურნეო მუშაობის ყველაზე უფრო რაციონალურად დაყენებას, მაგრამ წარმოების ორგანიზაციის ეს ფორმა შესაძლებელია მხოლოდ პროლეტარიატის დიქტატურის პირობებში, სადაც იგი ვერას დროს ვერ გახდება ექსპლოატაციის იარაღი, არამედ, პირიქით, ხელს უწყობს შრომის მეტი ნაყოფიერების მიღწევას, იწვევს მუშათა კლასის და ყველა მშრომელთა მდგომარეობის გაუმჯობესებას და არა გაუარესებას და ამიტომ ტარდება ფართო მასების საყოველთაო აქტიური დახმარებით. ჩვენ შეგვიძლია უდიდესი გეგმიანობით განვახორციელოთ ტექნიკური პროგრესი, გავატაროთ ქვეყნის ელექტროფიკაცია. ჩვენ გვაქვს შინაური ბაზრის ტევადობის შეუჩერებელი ზრდა, ჩვენ, როგორც ტექნიკურად ჩამორჩენილ ქვეყანას, ტექნიკური განვითარების წინა საფეხურების გაუვლელად შეგვიძლია ჩვენს მეურნეობაში უშუალოდ გადმოვიტანოთ სხვა ქვეყნების ტექნიკის ყველაზე უკანასკნელი მიღწევები. ჩვენს ქვეყანაში ადგილი არა აქვს ექსპლოატატორულ კლასების უნაყოფო ხარჯებს. მიწის საკუთრების ლიკვიდაციამ მოსპო ჩვენს ქვეყანაში აბსოლუტური რენტა. საბჭოთა სამეურნეო სისტემა იძლევა ბრუნვის ხარჯების ძლიერ შემცირებას. მუშათა კლასის პოლიტიკა უზრუნველჰყოფს სასოფლო მეურნეობის განვითარების ფართოდ და ენერგიულად გადაყვანას სოციალისტურ გზაზე, წვრილ მწარმოებელთა გადასვლას მსხვილ კოლექტიურ მიწათმოქმედებაზე.

აი ის უპირატესობანი, რომლებიც საშუალებას გვაძლევენ ჩვენ დავინახოთ, რომ ჩვენი სამეურნეო განვითარების მიღწეული ტემპები—ეს რაღაც საოცრება კი არ არის და მით უფრო არ არის რაღაც შეცდომა. ჩვენი ტემპი „საოცრება“ არის იმ მნიშვნელობით, რომ პირველად კაცობრიობის ისტორიაში პროლეტარიატის მიერ შექმნილია ახალი სამეურნეო სისტემა, რომელიც შეიცავს სრულიად განსაკუთრებულ გიგანტურ ძალებსა და შესაძლებლობებს, რომელთა შესახებ კაცობრიობამ წინეთ არაფერი იცოდა. და ამის მოწმე, ოდნავ ფხიზლად მოაზროვნე ბურჟუაზიული ეკონომისტები გაკვირვებულნი რჩებიან, რადგან ჩვენი მიღწევები მართლაც მიუწვდომელია სხვა რომელიმე ყველაზე „კულტურულ“, ყველაზე „განათლებულ“ ქვეყნისათვის.

ასე ამრიგად, ჩვენი სამეურნეო განვითარების მიღწეული ტემპები რეალურია, მათი შესრულება შეიძლება, ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის საერთო ამოცანის უმნიშვნელოვანესი **საკითხი ჩვენი სამეურნეო განვითარების ტემპის საკითხი—დადებითად არის გადაჭრილი ხუთწლედის პირველი წლის გამოცდილებით.**

1928 — 29 წლის შედეგების საფუძველზე საკავშირო კომპარტიის (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა მთელი რიგი დიდი და ძნელი ამოცანები დაუსახა პარტიას მიმდინარე სამეურნეო წლისათვის. ამ ამოცანების განხორციელება უკვე იმ მხრივ არის უფრო უზრუნველყოფილი გასულ წელთან შედარებით, რომ ჩვენ ეხლა გვაქვს 100 მილიონი ფუთი პურის რეზერვი, რაც შედეგია პურის დამზადების წარმატებით ჩატარებისა და პარტიის სწორი პოლიტიკისა, რომელმაც დარაზმა მუშები და ღარიბ და საშუალო გლეხთა მასები სოფლის კულაკურ და შეძლებულ ფენების წინააღმდეგ ენერგიულად საბრძოლველად.

მე აღარ შევეხები იმ დიდ კონკრეტულ ამოცანებს, რომლებიც დასმულია მრეწველობის სფეროში უახლოესი წლებისათვის, ეს ამოცანები სავსებით გარკვეულია ცენტრალური კომიტეტის გამოქვეყნებულ რეზოლიუციებში. საერთოდ მთავარი ამოცანა ის არის, რომ მიმდინარე წლიდან მრეწველობაში დავაჩქაროთ მთელი რიგი გადამწყვეტი და მეურნეობის სოციალისტური რეკონსტრუქციისათვის უმნიშვნელოვანესი დარგების განვითარება—იმ დარგების, რომლებიც საწარმოო სამსახურს უწევენ სოფლის მეურნეობას (სატრაქტორო მშენებლობა, სასოფლო სამეურნეო მანქანათმშენებლობა, ნიადაგის გამანოყიერებელ ნივთიერებათა წარმოება), აგრეთვე მძიმე მრეწველობის დარგების: ქიმიური, მანქანათმშენებლობის, სათბობის, ფერადი და შავი ლითონის მრეწველობის განვითარება.

ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ საჭიროა მრეწველობის საექსპორტო დარგების (ხე-ტყე) უფრო ენერგიულად განვითარება და სატრანსპორტო-საგზაო პრობლემის უფრო სწრაფად გადაჭრა.

ცენტრალური კომიტეტის მიერ მეურნეობის სფეროში მოცემულ დირექტივებს შორის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს დირექტივას **შრომის ნაყოფიერების 25 პროცენტით აწევისა და თვითღირებულების 11 პროცენტით შემცირების შესახებ.** უნდა უთხრათ ჩვენს თავს, რომ ამ პროცენტებისათვის ჩვენ, კომუნისტებმა, ყოველმა პარტიულმა ორგანიზაციამ, უნდა დავიწყოთ ბრძოლა გაცილებით უფრო ენერგიულად, უფრო ფართოდ და მასების აქტივობაზე დაყრდნობით, ვიდრე ეს გასულ წელს იყო. თუ 1928—29 წელს ჩვენ მხოლოდ 4,5 პროცენტით შევამცირეთ თვითღირებულება განზრახული 7 პროცენტის ნაცვლად, ეს იმას ნიშნავს, რომ კაპიტალური მშენებლობის ფონდიდან დავკარგეთ არა ნაკლებ 200 მილიონი მანეთისა. ამ ლოზუნგების ირგვლივ —„თვითღირებულების შემცირება 11 პროცენტით“ და „შრომის ნაყოფიერების აწევა 25 პროცენტით“ ჩვენ უნდა დავრაზმოთ მუშათა კლასის მთელი ძალები. ამასთან დაკავშირებულია მუშათა კლასის მომარაგების საქმის გაუმჯობესების ამოცანა, რაზედაც განსაკუთრებით დამოკიდებულია რეალური ხელფასის 12 პროცენტით გადიდების შესრულება.

უნდა აღინიშნოს აგრეთვე ცენტრალური კომიტეტის პლენუმის გადაწყვეტილებანი, რომელნიც კატეგორიულად მოითხოვენ, რომ უცხოეთის გამოცდილება და ტექნიკური დახმარება გამოყენებულ იქნას საბჭოთა კავშირში ბევრად უფრო ფართოდ, ვიდრე გასულ წელს. თუმცა ბევრ უმნიშვნელოვანეს მშენებლობაში ამ უკანასკნელ წლებში ჩვენ თავი მოვუყარეთ უცხოელ სპეციალისტთა საკმაოდ კარგ ძალებს, მაგრამ ჩვენი წინსვლა ამ მხრივ მაინც სრულიად საკმარისი არ არის. არ უნდა დავივიწყოთ, რომ ხუთწლედის მეორე წლის უდიდეს კაპიტალურ დაბანდებათა თითქმის ნახევარი ახალ მშენებლობას მოხმარდება, და თქვენ იცით, თუ რა ცუდათ გვეხერხება ჩვენ ჯერ კიდევ ამ საქმის მოგვარება, რამდენად დიდ დროსა და თანხებს ვხარჯავთ ამ საქმეზე.

აი ის ძირითადი ამოცანები, რომლებიც დაუსახა ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა მთელ პარტიას ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიალიზაციისა და მრეწველობის მშენებლობის საქმეში. არის თუ არა პარტიაში სრული ერთსულოვნება ამ საკითხებში? არა,—მემარჯვენე ოპორტუნისტები, მემარჯვენე ოპოზიცია, სხვა გზას ადგიან—„სიფრთხილის“ ხაზს, მოითხოვენ ინდუსტრიალიზაციის ნელ ტემპს,—ეს ხაზი გამომდინარეობს იმის აღიარებიდან, ვითომ აღებული ტემპები ჩვენს ძალღონეს აღემატება. მემარჯვენე ოპორტუნისტები ვერ ხედავენ სინამდვილეს და უკანასკნელ დრომდე უხალისოდ, მხდალად უდგებიან იმ ამოცანებს, რომლებსაც პარტია ანხორციელებს, ისინი დაშფრთხალნი არიან ჩვენი განვითარების ტემპებით; ისინი ააშკარავებენ, რომ არ სწამთ მუშათა კლასის ძალა, თუმცა ინდუსტრიალიზაციის საკითხებისადმი თავიანთ ოპორტუნისტულ მიდგომას ლენინურად ახალებენ. მემარჯვენე ოპორტუნისტები ცდილობენ დაიმოწმონ ლენინი, როგორც ამას სჩადიოდა ბუხარინი თავის „ეკონომისტის შენიშვნებში“ და „ლენინის პოლიტიკურ ანდერძში“. დიახ, ლენინი 1921—22 წლებში ძალიან ბევრს სწერდა ახალი ეკონომიური პოლიტიკის ამოცანების შესახებ, ის ამბობდა (1922 წლის აპრილი): „თუ ჩვენს პარტიაში აღმოჩნდება ვინმე, ვინც ამ მეტად ნელი და მეტად ფრთხილი მოძრაობის წინააღმდეგი იქნება, იგი მარტოდ-მარტო დარჩება“. ის ხალხი, ვინც რევიზიას უკეთებს ლენინს, ებღაუჭება მის ამ სიტყვებს „მეტად ნელი მოძრაობის“ შესახებ, სიტყვებს, რომლებიც ახალი ეკონომიური პოლიტიკის დასაწყის სტადიას ეხებიან.

მაგრამ ჩვენი პერიოდის ამოცანებისა და განვითარების იმ ტემპების შესახებ, რომლებსაც ჩვენ ეხლა მივაღწიეთ, ლენინი უდავო სიცხადით ამბობდა.

„ჩვენ... მივაღწევთ იმას, რომ დავეწიოთ სხვა სახელმწიფოებს ისეთი სისწრაფით, რაზედაც ისინი ვერ კი ოცნებობდნენ... რაიმე ცვლილებათა ფანტასტიურ სისწრაფეს ჩვენში არავინ არ დაიჯერებს, ხოლო ნამდვილი სისწრაფე, სისწრაფე ისტორიული განვითარების ყოველ პერიოდთან შედარებით,—ასეთი სისწრაფე, თუ მოძრაობას ნამდვილად რევოლიუციონური პარტია ხელმძღვანელობს, ასეთი სისწრაფე ჩვენ გვჯერა, და ასეთ სისწრაფეს მივაღწევთ, რადაც არ უნდა დაგვიჯდეს“. *)

სწორედ ეს სიტყვები ჩვენი განვითარების ტემპის შესახებ ეხება მიმდინარე პეროდს. ლენინი ითვალისწინებდა ეხლანდელ სწრაფ ტემპებს. როგორც ლენინმა პარტიის მე-11 ყრილობაზე იწინასწარმეტყველა, ჩვენ მართლაც მივაღწიეთ სამეურნეო განვითარების ისეთ სისწრაფეს, რომელზედაც მაშინ ოცნებაც კი არ შეგვეძლო.

ინდუსტრიალიზაციის ტემპის საკითხში პარტია მემარჯვენე ოპორტუნისტებთან ბრძოლაში ატარებს ნამდვილ ლენინურ ხაზს, ანხორციელებს ლენინის ჭეშმარიტ რევოლიუციონურ გეზს.

სასოფლო მეურნეობის კოლექტივიზაციის გზით

მეორე საკითხი, რომელიც ცკას პლენუმზე იდგა, ეს არის სასოფლო მეურნეობის კოლექტივიზაცია. ჩვენი ქვეყანა შევიდა ახალ ისტორიულ ეტაპში სას. მეურნ. გარდაქმნისა, პროლეტარულ სახელმწიფოს საწარმოო კავშირის გამაგრების საფუძველზე გლეხობის ძირითად ღარიბ და საშუალო მასებთან. სასოფლო მეურნეობის დარგში ჩვენ მრავალ სიძნელეებთან გვაქვს საქმე. სასოფლო მეურნეობის განვითარების ტემპები ძლიერ ჩამორჩება. რასაკვირველია, უაზროა მემარჯვენე ოპორტუნისტების მტკიცებანი სასოფლო მეურნეობის დეგრადაციისა და პროლეტარიატის კავშირის გაწყვეტის შესახებ გლეხობასთან და კიდევ შიმშილობის აუცილებლობის შესახებ, რასაც ისინი ამტკიცებდნენ წარსულ წელს. ყოველივე ეს უარჰყო სინამდვილემ. მიუხედავად ყველა სიძნელეებისა, ჩვენ ერთი წლის განმავლობაში 5 პროცენტით გავადიდეთ ნათესების სივრცე, მეტად არახელსაყრელ კლიმატიურ პირობების მიუხედავათ მივაღწიეთ სასოფლო მეურნეობის საერთო და სასაქონლო პროდუქციის საგრძნობ ზრდას, განსაკუთრებით ტექნიკური კულტურების დარგში, მივაღწიეთ სასოფლო მეურნეობის აგროდახმარების და მანქანებით მომარაგების საგრძნობ გაუმჯობესებას. და, იგულისხმება, რომ ჩვენი წარმატებანი პურის დამზადებაში აიხსნება არა მარტო პარტიის სწორი პროლეტარ. პოლიტიკით სოფლად. ამ საქმეში დიდი მნიშვნელობა ჰქონდა გლეხობის ძირითადი მასების მეურნეობის საერთო აღორძინებას. მართალია, უკანასკნელი წლის მანძილზე კულაკურმა და შეძლებულმა მეურნეობებმა საგრძნობლად შეამცირეს თავისი პროდუქცია, მაგრამ ეს შემცირება გადაჭარბებით არის დაფარული ღარიბ და საშუალო გლეხთა მეურნეობათა და განსაკუთრებით —განსაზოგადოებული სექტორის ზრდის მეოხებით. უკანასკნელი წლის მანძილზე საბჭოთა მეურნეობებმა, თანამიმდევრობითი სოციალისტური ტიპის მსხვილმა სასოფლო-სამეურნეო საწარმოებმა, იწყეს უდიდესი რევოლიუციონური როლის შესრულება სოფლად. პირველ ყოვლისა, მათ იწყეს პურის დიდი მარაგის მიცემა სახელმწიფოსათვის, მეორე—მათ ცხადათ დაანახვეს გლეხობას, თუ რამდენად დიდია მსხვილი წარმოების უპირატესობანი სასოფლო მეურნეობაში, არა მემამულის, არა მებატონის, არამედ იმ მსხვილი მეურნეობის უპირატესობანი, რომელსაც აწყობს საბჭოთა მუშური ხელისუფლება. ამხ. ანდრეევმა, მაგალითად, პლენუმზე სთქვა, რომ გლეხები, რომლებმაც რამდენიმე თვის განმავლობაში ათასობით ინახულეს საბჭოთა მეურნეობა „გიგანტი“, განცვიფრებული დარჩნენ ნახულით და თავის სოფელში ბრუნდებოდნენ მსხვილი მიწადმოქმედების ნამდვილ ენტუზიასტებათ. ეს ღარიბი და საშუალო გლეხები გახდნენ ცოცხალი მოწმე იმის, თუ როგორ ანთავისუფლებს სინამდვილეში მსხვილი განსაზოგადოებული წარმოება სოფლის მუშაკს მძიმე დაქანცულ შრომისაგან და ეხმარება სოფლის მეურნეობას უფრო ნაყოფიერ ორგანიზაციაზე გადასვლაში. საბჭოთა მეურნეობებმა გასული წლის განმავლობაში იწყეს დიდი როლის შესრულება, ისინი, ეჭვს გარეშეა, სწრაფად განვითარდებიან შემდეგშიც. თავის მოხსენებაში მე ვილაპარაკებ განსაზოგადოებული სექტორის იმ ნაწილზე, რომლის შესახებ დადგენილება გამოიტანა ცკას უკანასკნელმა პლენუმმა.

სასოფლო მეურნეობის კოლექტივიზაციის განვითარებამ უკანასკნელი წლის მანძილზე გადააჭარბა ყველაზე უფრო ოპტიმისტურ ვარაუდებს. მართლაც, მოხდა გლეხობის ძირითადი მასის პირით მობრუნება კოლექტიურ მეურნეობისაკენ, მოხდა „გარდატეხა თვით გლეხობაში. კოლმეურნეობათა მშენებლობას ფართო განვითარება მოწმობს, რომ „მოხერხდა გლეხობის ძირითადი მასების მობრუნება მთელ რიგ რაიონებში განვითარების ძველი კაპიტალისტური გზიდან... ახალ, სოციალისტური განვითარების გზისაკენ“,—მართლაც „კაცობრიობის ისტორიაში პირველად გამოჩნდა ხელისუფლება, საბჭოთა ხელისუფლება, რომელმაც საქმით დაამტკიცა თავისი მზადყოფნა, თავისი უნარი—გლეხობის მშრომელ მასებისათვის სისტემატიური და ხანგრძლივი საწარმოო დახმარების გაწევისა“. (სტალინი).

კოლმეურნეობათა მშენებლობის მიღწევებს ახასიათებს მთელი რიგი ფაქტები. 1927—28 წელს კოლმეურნეობებში შევიდა ნახევარ მილიონამდე გლეხური მეურნეობა, 1928—29 წელს კი—მილიონზე მეტი. სამანქანო-სატრაქტორო სადგურები გადაიქცნენ გლეხობისათვის მისაწვდომ მუშურ სახელმწიფოს საწარმოო დახმარების ფორმად. მომავალი გაზაფხულისათვის განზრახულია კიდევ 102 სამანქანო-სატრაქტორო სადგურის მოწყობა, რაც გააძლიერებს კოლექტივიზაციის პროცესს ახალ რაიონებსა და ოლქებში. განსაკუთრებით საგულისხმოა ზრდა იმ მსხვილ კოლმეურნეობების, რომელთა განკარგულებაშია 2.000 ჰექტარზე მეტი მიწა. ასეთ კოლმეურნეობათა რიცხვი ერთი წლის განმავლობაში 147-დან გაიზარდა 257-დე. კოლმეურნეობათა საშუალო სივრცე 60-დან გაიზარდა 100 ჰექტარამდე. მრავალი სოფელი, რაიონი, ოლქი გადადის მთლიან კოლექტივიზაციაზე. მაგალითისათვის შეიძლება დავასახელოთ კრასნოპოლის „გიგანტი“, რომელიც მოწყობილია იობიტის ოლქის სამი რაიონის ტერიტორიაზე. ხოპერის ოლქი გადადის მთლიან კოლექტივიზაციაზე. საბჭ. კავშირის 12 რაიონზე მეტმა ერთი წლის მანძილზე მოგვცა მთლიანი კოლექტივიზაციის საუკეთესო ნიმუშები. ცკას პლენუმზე ჩვენ მოვისმინეთ ცნობა იმის შესახებ, თუ რა ხდება ამ მხრივ ჩრდილოეთ კავკასიაში. რამდენიმე წლის წინათ ეს ფანტასტიკათ მოგვეჩვენებოდა. ერთი წლის წინათ ჩრდ. კავკასიის საოლქო კომიტეტმა ცკას პლენუმზე გააკეთა მოხსენება, რომ ჩრდილოეთ-კავკასიის გლეხურ მეურნეობის 8 პროც. კოლექტივებშია გაერთიანებული; ამ წლისათვის კოლექტივიზაცია განზრახული იყო 20—25 პროცენტის ფარგლებში. ახლა კი კოლექტივიზაციის ტემპი ჩრდ. კავკასიაში ისეთ დონემდეა აყვანილი, რომ ჩრდ. კავკასია 1930 წლის დამლევისათვის ამზადებს მთელი მხარის გადასვლას მთლიან კოლექტივიზაციაზე. ეს მოგონილი ამბავი როდია. ჩრდილოეთ-კავკასიის პრაქტიკა ნათელს ჰფენს იმ „სასწაულს“, რომელიც კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით კეთდება მუშათა კლასის მიერ, როცა გლეხობის უდიდესი მასები, რომლებიც გამოცდილებით დარწმუნდნენ კოლექტივიზაციის უპირატესობაში, დგებიან განვითარების სოციალისტურ გზაზე, ახდენენ უდიდეს ისტორიული მნიშვნელობის გარდატეხას სასოფლო-სამეურნეო წარმოების მთელს წყობილებაში. ეს გეგმა არ არის ფანტასტიკა, იმიტომ, რომ პარტიამ ჩრდილოეთ კავკასიაში შესძლო მაგალითად დაენახვებია გლეხობისათვის მსხვილი კოლექტიური მიწად-მოქმედების ყველა უპირატესობანი, ტრაქტორის, მანქანის, გაუმჯობესებული მანქანის, გაუმჯობესებული თესლეულის, სასუქის, აგრომინიმუმის გატარების, გაერთიანებული შრომის უპირატესობანი.

განვლილი წლის კოლექტივიზაციის გამოცდილება გვიჩვენებს, რომ იმ შემთხვევებშიც კი, როდესაც მუშათა სახელმწიფოს არ შეუძლია მისცეს სოფელს ტრაქტორი და სასოფლო-სამეურნეო მანქანების საკმაო რაოდენობა, ღარიბი და საშუალო გლეხები მთელი თავისი ცოცხალი და მკვდარი ინვენტარით ქმნიან უმარტივეს გაერთიანებებს, აწყობენ კოლმეურნეობას და მათ განკარგულებაში მყოფ ინვენტარითაც კი აღწევენ დიდ და დამარწმუნებელ შედეგს თვით შრომის გაერთიანების მეოხებით.

ყველა ეს ფაქტები და ციფრები გვეუბნებიან, რომ კოლექტივიზაციის გაშლაში მართლაც მოხდა გადამწყვეტი გარდატეხა. ცკაა სრულიად საფუძვლიანად ლაპარაკობს სასოფლო მეურნეობის სოციალისტური გარდაქმნის **ახალ ისტორიულ ეტაპზე**.

არ შეიძლება თვალების დახუჭვა მოსალოდნელ სიძნელეებზე. სიძნელეები წინ ბევრი გვაქვს. ამოძრავდნენ გლეხობის ისეთი უდიდესი მასები, რომ შესაძლოა რეალური გახდეს საფრთხე იმის, რომ ხელმძღვანელობა ვერ გასწვდება მასებს, ჩამორჩება მასიურ მოძრაობას, კომუნისტების „ხელიდან გაუსხლტება“ ის. კოლმეურნეობათა მშენებლობაში პარტიულ ხელმძღვანელობის გაძლიერებით საჭიროა ბრძოლა მოძრაობის შინაგან სოციალურ წინააღმდეგობების დასაძლევად. წვრილი მეურნე, კოლმეურნეობაში ჩაბმული, მასში შედის ისე, რომ მოცილებული არა აქვს წვრილი მესაკუთრის ჩვეულებები და განწყობილება. გლეხის ხელახალი აღზრდა და გარდაქმნა იწყება მხოლოდ მას შემდეგ, როდესაც იგი კოლმეურნეობაში შევა. აქედან—ცკას უმნიშვნელოვანესი დირექტივა ყველა ადგილობრივ პარტიულ ორგანიზაციებს: ნამდვილად **ჩაუდგნენ სათავეში კოლმეურნეობათა მშენებლობას**, კიდევ უფრო მეტი პრაქტიკული მუშაობა გაშალონ კოლმეურნეობებში. პლენუმი იძლევა მთელ რიგ დირექტივებს. ისინი შეეხება კოლმეურნეობათა ტექნიკური ბაზის გამაგრებას, შრომის ნაყოფიერების ამაღლებას და შრომის ორგანიზაციას კოლმეურნეობებში, კოლმეურნეობების განსაზოგადოებული ფონდების შექმნას, კოლექტიურ მეურნეობების ორგანიზაციების და სპეციალისტების კადრების მომზადებას. პირველად ცკას პლენუმზე მთელი სიგრძე-სიგანით დაისვა კოლმეურნეობათა მშენებლობის საერთო საორგანიზაციო საკითხი. საორგანიზაციო საკითხების გადაწყვეტის დროს ახლა სრულიად იხსნება, როგორც აშკარად საეჭვო და ბიუროკრატიული ხასიათის მქონე, კოლმეურნეობების დაპირისპირება კოოპერაციისადმი. მართლაც, როგორც პლენუმზე ამბობდა ამხ. მოლოტოვი, ნახევრად კაპიტალისტური, ნახევრად წვრილ-ბურჟუაზიული კოოპერაცია, დამყარებული წვრილ გლეხურ მეურნეობის ბაზაზე, განიცდის გარდაქმნას ნამდვილ სოციალისტურ ლენინურ კოოპერაციად, როცა საწარმოო საშუალებანი და მიწა ეკუთვნის პროლეტარულ სახელმწიფოს.

კოლმეურნეობათა სექციები, რომლებიც ამჟამად ყველა სახის სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციაში არსდებიან, სწრაფად გაფართოვდებიან, მთელი კოოპერატიული სისტემა თანდათან გადაიქცევა კოლმეურნეობათა სისტემად.

ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა იმიტომაც მიაქცია განსაკუთრებული ყურადღება საკითხს **პარტიული ხელმძღვანელობის** შესახებ კოლმეურნეობათა მოძრაობაში, რომ ეს არ არის ვიწრო სამეურნეო კამპანია ან გლეხური მეურნ. გარდაქმნისა და გადაკეთების მშვიდობიანი, წყნარი პროცესი. კოლექტივიზაციის ირგვლივ მწვავე კლასობრივი ბრძოლა ვითარდება. კულაკი აშკარა ბრძოლას აწარმოებს, იგი მიმართავს მკვლელობას, ცეცხლის წაკიდებას, მავნებლობას. კულაკი ბრძოლის ფარულ ფორმებსაც მიმართავს, იგი აწყობს ცრუ კოლმეურნეობებს, იგი თითონაც ძვრება და თავის დამქაშებსაც ჰგზავნის კოლმეურნეობათა ორგანოებში იმ განზრახვით, რომ შიგნიდან აფეთქოს კოლმეურნეობათა მოძრაობა. სწორედ ამიტომ დიდი მნიშვნელობა აქვს კოლმეურნეობებში მოჯამაგირეთა და ღარიბ გლეხთა კადრის შექმნის ამოცანას. სწორედ ამიტომ პარტიას შეუძლია უხელმძღვანელოს კოლმეურნეობრივ მოძრაობას. მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მიუდგება მას, როგორც დიდ პოლიტიკურ ამოცანას, რომელიც უნდა გადაიჭრას გაშმაგებულ ბრძოლაში კლასობრივი მტრის წინააღმდეგ.

ამავე მნიშვნელობით ცენტრალური კომიტეტი ხაზგასმით აღნიშნავს **მუშების**, აგრეთვე სოფლის პროლეტარული და ნახევრად პროლეტარული ელემენტების დიდ **დამრაზმავ როლს** კოლექტივიზაციის საქმეში. სწორედ „პროლეტარიატის ორგანიზატორული როლი“—„მისი მთავარი როლი“—ამჟამად გვევლინება მთელი თავისი მნიშვნელობით. ჩვენი ქვეყნის მუშათა კლასი ეხლა დიდი პრაქტიკული მუშაობით ანხორციელებს თავის „ხელმძღვანელ როლს წვრილი მეურნეობის გადასვლისას განსაზოგადოებულ შრომაზე“ (ლენინი). ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა გადასწყვიტა გაიგზავნოს სოფლებში არა ნაკლებ 25.000 პოლიტიკურად მომზადებული მუშისა აქტიური მუშაობისათვის კოლექტივიზაციის საქმეში სოფლად. პარტიის ყოველმა ორგანიზაციამ უნდა შესძლოს თავის დამხმარედ გახადოს ყოველი მუშა, რომელსაც შეუძლია და შესძლებს ახლოს მიუდგეს ღარიბ და საშუალო გლეხს, დაარწმუნოს იგი გადავიდეს მსხვილ წარმოებაზე. უნდა გავგზავნოთ ყოველი ასეთი მუშა სოფლად, კიდევ უფრო ფართოდ მოვაწყოთ მუშათა ბრიგადები, საშეფო საზოგადოებანი, სოფლის კოლექტივიზაციისათვის ხელის შემწყობ განსაკუთრებული საზოგადოებანი. წითელი არმია, რომელსაც თავის რიგებში ჰყავს გლეხთა ახალგაზრდობა, კიდევ უფრო უნდა გადაიქცეს ნამდვილ სკოლად, რომელიც უნდა ამზადებდეს კოლექტივიზაციის ორგანიზატორებს.

მომავალი **გაზაფხულის სასოფლო-სამეურნეო კამპანია** მართლაც უნდა იყოს „ნამდვილი ბოლშევიკური გაზაფხულის თესვის კამპანია“. მთელი ჩვენი ძალები, რომლებიც ამჟამად სავსებით თავისუფლდებიან პურის დამზადების სამუშაოდან, უნდა გადავიყვანოთ სოფელში იმისათვის, რომ გაზაფხულის თესვის კამპანიაში მივაღწიოთ სოფლის საწარმოო ძალთა უდიდეს განვითარებას, რათა ეს კამპანია გადაიქცეს გამოსავალ წერტილად კოლმეურნეობათა მოძრაობისა და საბჭოთა მეურნეობების მშენებლობის შემდგომი კიდევ უფრო სწრაფი განვითარებისათვის.

ეთანხმებიან თუ არა მემარჯვენე ოპორტუნისტები პარტიის ხაზს კოლექტივიზაციის საკითხებში? არა, ისინი თავიანთ პოლიტიკურ განცხადებებში და, განსაკუთრებით, თავიანთ პრაქტიკაში, სოფლის მეურნეობის განსაზოგადოების დასახულ ტემპებს არარეალურად სთვლიდნენ. სინამდვილემ მთლიანად და სავსებით გააბათილა ეს კაპიტალისტური წინასწარმეტყველებანი. სინამდვილემ ცხადჰყო, რომ მემარჯვენეთა გეზს მივყავდით კულაკის გამაგრებისაკენ, იმიტომ, რომ შემდეგში სოფლის მეურნეობის განვითარება და აღდგენა შესაძლებელია ორში ერთი მიმართულებით: ეს განვითარება წავა ან მსხვილი კაპიტალისტური მიწადმოქმედების გზით, ან მსხვილი კოლექტიური მიწადმოქმედების გზით. მემარჯვენე ოპორტუნისტები, დაწყებული ფრუმკინის ცნობილი განცხადებით კულაკის ფუთი პურის შესახებ, არსებითად დაადგნენ სოფლის მეურნეობის კაპიტალისტური გზით განვითარების თვალსაზრისს. ამასთან მემარჯვენე ოპოზიცია გამოდის ანტილენინური წინასწარ პირობებიდან. ამხ. ბუხარინი თავის წერილში „ეკონომიური პოლიტიკის ზოგიერთი საკითხები“ სწერდა: „ჩვენ მივაღწევთ სოციალიზმს ბრუნვის პროცესით, და არა უშუალოდ წარმოების პროცესით, ჩვენ მივაღწევთ სოციალიზმს კოოპერაციის გზით“. ამ აზრს იგი იმეორებდა თავის შრომაშიაც „ლენინის პოლიტიკური ანდერძი“, რომელშიაც იგი (1929 წელს!), ეხებოდა რა ჩვენი ეკონომიური პოლიტიკის საფუძვლებს, ამტკიცებდა: „იმისათვის, რომ კოოპერაციამ სოციალიზმამდე მიგვიყვანოს, საჭიროა განვითარებული კოოპერაცია, ამისათვის საჭიროა ვაჭრობა არა აზიურად, არამედ ევროპიულად“, რას ნიშნავს ეს? ეს ნიშნავს იმას, რომ მემარჯვენე ოპორტუნისტებს მთავარ ფორმად მიაჩნიათ სავაჭრო დაკავშირება გლეხობასთან, მათ არ ესმით, რომ ეხლა, სოციალისტური რეკონსტრუქციის პერიოდში, საჭიროა საწარმოო დაკავშირების განვითარება და განმტკიცება. მემარჯვენე ოპორტუნისტები სათანადოთ ვერ აფასებენ ძირითად ცვლილებებს სამეურნეო ვითარებაში 1921 წლიდან და არ ესმით, რომ ეხლა უნდა გამოვიყენოთ ლენინის ის მითითებანი, რომლებიც ეხლანდელ პერიოდს ეხებიან. ლენინი 1921 წელს ამბობდა: „[illegible] ვაჭრობა ეკონომიურად აერთიანებს მრავალ მილიონ წვრილ გლეხს, აინტერესებს მათ, აკავშირებს და გადაჰყავს ისინი შემდგომ საფეხურზე: დაკავშირებისა და გაერთიანების სხვადასხვა ფორმებზე თვით წარმოებაში... თუ მტკიცედ და ბეჯითად ვისწავლით, თუ პრაქტიკული გამოცდილებით შევამოწმებთ ყოველ ჩვენს ნაბიჯს, თუ არ შევეშინდება არაერთხელ გადავაკეთოთ დაწყებული საქმე, გამოვასწოროთ შეცდომები, ყურადღებით დავაკვირდეთ მათ მნიშვნელობას, მაშინ ჩვენ გადავალთ შემდეგ კლასებში“. *)

„ჩვენ გადავალთ შემდეგ კლასებში“—ამბობდა ლენინი. ხოლო ამხ. ბუხარინი და მისი ჯგუფი უკანასკნელ დრომდე ჩამორჩენილი იყვნენ, არ იძვროდნენ წინ, იმეორებდნენ გადაღეჭილ ამბებს. მემარჯვენე ოპოზიცია იბრძოდა პარტიის გენერალური ხაზის წინააღმდეგ, ამახინჯებდა ლენინის კოოპერატიულ გეგმას, რევიზიას უკეთებდა ლენინის მოძღვრებას და არსებითად გამოხატავდა ჩვენი ქვეყნის კაპიტალისტური ელემენტების ინტერესებს. ხოლო პარტია კოლექტივიზაციის საქმეში ატარებს ჭეშმარიტ ლენინურ ხაზს.

სახალხო მეურნეობის კადრების შესახებ

ცენტრალური კომიტეტის პლენუმის მესამე დიდი საკითხია—საკითხი სახალხო მეურნეობის კადრების შესახებ. ამ საკითხში პარტიის წინაშე დგანან დიდი სიძნელენი და დიდი ამოცანები. ჩვენი ქვეყნის კულტურული და ტექნიკური ჩამორჩენილობა თავის გამოხატულებას პოულობს კადრების საკითხში. სახალხო მეურნეობა მეტად დიდ მოთხოვნილებას აყენებს კადრებზე: მარტო მრეწველობისათვის 5 წლის განმავლობაში მომზადებულ უნდა იქნას 84.000 ინჟინერი და 150.000 ტექნიკოსი (ამჟამად ჩვენ გვყავს 57.000 ინჟინერი და 55.000 ტექნიკოსი).

თქვენ წარმოდგენილი გაქვთ ახალი სპეციალისტების მოსამზადებლად საჭირო მუშაობის ის უდიდესი გაქანება, რომელსაც ჩვენ ახლა უნდა მივაღწიოთ, რომ არ შევაფერხოთ სოციალისტური მშენებლობის ტემპი! ინჟინერსა და ტექნიკოსს 8 წელიწადზე ადრე ვერ მოვამზადებთ, რომ კვალდაკვალ მივდევდეთ მეურნეობის განვითარების ტემპს, მიმდინარე წლიდანვე უნდა მივაღწიოთ კადრების მომზადების საქმის ისეთ განვითარებას, რომლის მსგავსი რამ დღემდე არავის უნახავს. ეს შეეხება სოფლის მეურნეობასაც, სადაც ორგანიზატორებისა, აგრონომებისა, ტექნიკოსებისა და სხვათა კადრები სრულებით საკმარისი არაა, სადაც მათი მომზადება შეფარდებულია, უმთავრესად, გლეხის ინდივიდუალური მეურნეობის მოთხოვნილებასა და საჭიროებასთან. სწორედ ამ გარემოებით აიხსნება კადრების მომზადების ამოცანის ის კატეგორიული დაყენება, რომელიც ც. კ.-ის პლენუმმა მოგვცა. ც. კ.-მა აღნიშნა, რომ „ჩვენი კადრების მომზადების ტემპი სრულებით ვერ შეედრება ინდუსტრიალიზაციისა და სოფლის მეურნეობის გარდაქმნის ტემპს... ამან შეიძლება შეაფერხოს სოციალისტური მეურნეობის შემდგომი განვითარება“ (ც. კ.-ის რეზოლიუცია).

მართლაც, მთელს პარტიულ, სამეურნეო და საბჭოთა მუშაობაში საჭიროა გადასინჯულ იქნას ჩვენი დამოკიდებულება კადრების საკითხისადმი. დღემდე საშუალებათა, ნედლეულობისა და მანქანა-იარაღის საკითხი მნიშვნელოვან საქმედ ითვლება, მაგრამ აქამდე აშკარა შეცდომით „ივიწყებდნენ“ კადრების საკითხს, როგორც მრეწველობის და ახალ საწარმოთა მშენებლობის დარგების გაშლა-განვითარების, ისე ქარხნების გაფართოების დროს და სხვ... კადრების საკითხი ახლა ჩვენი სამეურნეო მუშაობის უაღრესად მწვავე და აქტუალურ საკითხად ხდება. საადგილ-მამულო მუშაკებმა, რომელიც ფიქრობს თავისი რაიონისა და მისი კოლექტივიზაციის განვითარების გეგმის შედგენას, პირველ ყოვლისა, ამაზე უნდა იფიქროს, თუ რამდენი და როგორი აგრონომების საშუალებით შეასრულებს ამ მუშაობას, ვინ დაეხმარება ღარიბი და საშუალო გლეხების მასებს მიწადმოქმედების განვითარებისა და განსაზოგადოების საკითხების გადაჭრაში. ტრესტის მუშაკი, რომელიც თავის ხუთწლედს ჰქმნის, მას ჩაშლის, თუ არ გამოიანგარიშებს, თუ რამდენი ინჟინერი, ტექნიკოსი, კვალიფიციური მუშა სჭირდება, სად იშოვის მათ, რომელ უმაღლეს ტექნიკურ სასწავლებელში და ტექნიკუმში მოახდენს მათს კონტრაქტაციას.

კადრების პრობლემა იმით რთულდება, რომ თანდათან ვიწროვდება ძველი სპეციალისტების გამოყენების ბაზა. მათი ხვედრითი წონა სახალ. მეურნეობაში ჯერ კიდევ ძალიან მნიშვნელოვანია. სწორედ ამიტომ, ძველი სპეციალისტებისადმი დამოკიდებულების საკითხს ჯერ კიდევ მეტად დიდი მნიშვნელობა აქვს. რასაკვირველია, ძველი სპეციალისტების გამოყენებისა და მათი დიფერენციაციის, სოციალისტურ მშენებლობაში ფართოდ ჩაბმის პოლიტიკა, რომელსაც განსაზღვრავს პარტიის პროგრამა, ახლაც მთლიანად სავალდებულოა. პარტია კვლავაც შეებრძოლება სპეციჭამიობის ყოველგვარ გამოხატულებას.

მაგრამ პარტიამ უნდა იცოდეს, რომ შახტის საქმის შემდეგ ადგილი ჰქონდა მავნებლობის ბევრ შემთხვევას; ეს აიძულებს თვითეულ პარტორგანიზაციას მთელი თავისი ენერგიით და აქტიობით, მთელი თავისი რევოლიუციონური გატაცებითა და საქმიანობით მიუდგეს კადრების მომზადების საკითხს. მემარჯვენე ოპორტუნისტებს არ ესმით ამ პრობლემის მთელი სიმწვავე გააფთრებულ კლასობრივი ბრძოლის პირობებში, არ ესმით ის დიფერენციაცია, რომელიც სპეციალისტების რიგებში ხდება,—სწორედ ამიტომ ჯერ კიდევ 1928 წლის ც. კ.-ის აპრილის პლენუმზე ისინი კადრების მომზადების საკითხს გულგრილად უდგებოდნენ. პარტიამ კი იცის, რომ კადრების პრობლემა უკანასკნელი წლების განმავლობაში ერთ-ერთ უაღრესად მწვავე პოლიტიკურ მნიშვნელოვან პრობლემად გადაიქცა.

როგორც მავნებლობის ბევრმა საქმემ დაგვანახვა, ძველი სპეციალისტებიდან გამოსული მავნებლები დაკავშირებულნი არიან ყოფილ მესაკუთრეებთან, ისინი წარმოადგენენ მემამულეებისა და კაპიტალისტების კლასის, ბურჟუაზიული ინტელიგენციის ნამსხვრევებს. ეს სპეციალისტები, კულაკებთან და „ნეპმანებთან“ ერთად, მეტად აქტიურად გვევლინებიან პროლეტარიატისადმი მტრულად განწყობილ „მესამე ძალად“, რომელიც გააფთრებულ ბრძოლას აწარმოებს მუშათა კლასის შეტევის და საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ. მართლაც, ეს ბრძოლა არის „კიდევ ერთი ფორმა ბურჟუაზიის პროლეტარიატთან ბრძოლის, იმ ბრძოლის, რომელიც ჯერ კიდევ დამთავრებული არ არის და მოსკოვის ცენტრალურ დაწესებულებებშიაც კი კულტურულად დაძლეული არაა, ვინაიდან ძალიან ხშირად ბურჟუაზიულმა მოღვაწეებმა უკეთესად იციან საქმე, ვიდრე ჩვენმა რუსმა კომუნისტებმა, რომლებსაც მთელი ძალა-უფლება უპყრიათ, შესაძლებლობა ხელთ აქვთ“. *) ამას ამბობდა ლენინი პარტიის მე-11 ყრილობაზე 1922 წელს. ამ სიტყვებმა დღემდე თვალსაჩინოდ შეინარჩუნეს თავისი ძალა. მავნებლობა — მუშათა კლასის, მისი ხელისუფლების, მისი პოლიტიკის, მისი ძლევამოსილი შეტევის წინააღმდეგ მიმართული არის ბურჟუაზიისა და მისი ნამსხვრევების გააფთრებული ბრძოლის ფორმა. სწორედ ამიტომ, სახალხო მეურნეობის სოციალისტური რეკონსტრუქციის მიმდინარე პერიოდში კადრების საკითხი პროლეტარიატის კლასობრივი პოზიციის განმტკიცებისა და მისი შემდგომი შეტევის უზრუნველყოფის საკითხია.

იმ გადაწყვეტილებაში, რომელიც შეეხება მრეწველობისა და სოფლის მეურნეობისათვის ინჟინრებისა და ტექნიკოსების, ეკონომისტების, ფინანსისტების და ორგანიზატორების კადრების მომზადებას, ც. კ.-ის პლენუმმა მრავალი დირექტივა მოგვცა; ეს დირექტივები გულისხმობს: უმაღლესი ტექნიკური სასწავლებლებისა და ტექნიკუმების ქსელის გაფართოებას და რაციონალიზაციას, მრეწველობასთან ტექნიკური სკოლის კავშირის შემდგომ განმტკიცებას, სასწავლო გეგმებისა და პროგრამების გადასინჯვას, საწარმოო პრაქტიკის თვალსაჩინოდ გაძლიერებას, მუშების, კომკავშირელების და კომუნისტების ფართო მობილიზაციას უმაღლეს ტექნიკურ სასწავლებლებში, ტექნიკუმებში, მუშფაკებში (და უმაღლეს სასოფლო-სამეურნეო სასწავლებლებში), მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის ხელმძღვანელი და ორგანიზატორი კადრების გამზადებას და სხვ... ყველა ეს ამოცანა უმნიშვნელოვანეს რგოლად უნდა გადაიქცეს თითეული პარტიული ორგანიზაციის მუშაობაში.

ამრიგად, ამხანაგებო, სამ ძირითად საკითხში, რომლებიც განიხილა საკავშირო კომპარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა,—ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის, კოლექტივიზაციისა და კადრების საკითხებში,—პარტიის გენერალური ხაზი სავსებით დადასტურა ცხოვრებამ, უკანასკნელი წლის მთელმა გამოცდილებამ. ეს გამოცდილება მთლიანად ასახულია ცენტრალური კომიტეტის პლენუმის გადაწყვეტილებებში.

თქვენ დაინახეთ, რომ პარტიული პოლიტიკის ყველა ძირითად საკითხში მემარჯვენე-ოპორტუნისტულ ოპოზიციას აქტიური იერიში მიჰქონდა პარტიის გენერალურ ხაზზე, მაგრამ იგი მთელ ფრონტზე დამარცხდა. ჩვენი მშენებლობის შედეგებმა უკუაგდეს საერთო მდგომარეობის ანალიზის ცდები და წინადადებები მემარჯვენე ოპოზიციისა პარტიის ტაქტიკისა და პოლიტიკის შეცვლის შესახებ.

ბრძოლა პარტიის ლენინური ხაზისათვის

1. „მემარცხენე“ განწყობილებისა და მემარჯვენე ოპოზიციის წინააღმდეგ

გადავდივარ ლენინური ხაზისათვის პარტიის ბრძოლის საკითხზე. პარტიის წარმატება უზრუნველყოფილი იყო და ყოველთვის უზრუნველყოფილი იქნება მხოლოდ იმ პირობით, თუ მისი პოლიტიკური ხაზი სავსებით მკაფიო იქნება. ჩვენი განვითარების განსაკუთრებით სწრაფი ტემპები, სოციალისტურ მშენებლობაში მუშათა კლასისა და გლეხობის უფართოესი მასების ჩაბმა—ეს გარემოებანი მოითხოვენ ამჟამად უაღრესად სწრაფ, მოძრავ და განსაკუთრებით სწორ და მკაფიო ხელმძღვანელობას პარტიის მთელ მუშაობაში. მთელი პარტია უდიდესი ყურადღებით ადევნებდა თვალს იმ ცდებს, რომლებსაც მიმართავდა მემარჯვენე ოპოზიცია ბუხარინის მეთაურობით პარტიის ხაზის შესაცვლელად. საკავშირო კომპარტიის (ბ) მე-15 ყრილობის შემდეგ მემარჯვენე ოპორტუნისტები თავიანთ ხაზს უპირისპირებდნენ პარტიის გენერალურ ხაზს. 1929 წელს „მემარცხენე ფრაზის“ წარმომადგენლებმა სცადეს იგივე ქნიდნათ. მემარჯვენეებიც და „მემარცხენეებიც“ თანაბრად გაკოტრდნენ, ორთავემ ერთნაირად გამომჟღავნა თავიანთი წვრილბურჟუაზიული ბუნება, ორივე გამოხატავდა წვრილბურჟუაზიული სტიქიის ზეგავლენის გამოხატულებას პროლეტარიატისა და მისი პარტიის მერყევ ელემენტებზე. პარტია იბრძოდა როგორც პირველი, ისე მეორე საფრთხის წინააღმდეგ, მაგრამ ძირითად საფრთხეს წარმოადგენდა და წარმოადგენს მემარჯვენე საფრთხე.

ჯერ შევეხოთ „მემარცხენე განხრას“.

ამხანაგებს ახსოვთ ამხ. სტენის, შაცკინის, კოსტროვის, გეგეჭკორის („ნაშა გაზეტა“) და სხვ. გამოსვლები. ყველა ამ ამხანაგებმა ამჟამად უარყვეს თავიანთი შეცდომები და აღიარეს, რომ მათი გამოსვლები სავსებით შეცდარი იყო. მაგრამ, დამოუკიდებლად ამისა, უნდა ითქვას, რომ ის ნიადაგი, რომელიც ჰკვებავს „მემარცხენე“ განწყობილებებს, მაინც დარჩა, და რომ პარტიული მუშაობის პრაქტიკაში აუცილებლად კიდევ იჩენენ გამოხატულებას ის „მემარცხენე“ შეხედულებანი, რომლებიც აერთიანებდნენ აღნიშნული ამხანაგების გამოსვლებს. რას წარმოადგენენ ეს შეხედულებანი? უწინარეს ყოვლისა, ეს წარმოადგენს საშუალო გლეხის საწინააღმდეგო განწყობილებებს, წინადადებას ღარიბ გლეხთა კავშირის მოწყობის შესახებ, რაც არსებითად ნიშნავდა გლეხთა კავშირის შექმნას. შემდეგ ეს წარმოადგენს შეცდომათა სისტემას თვითკრიტიკის გაშლაში, როდესაც იმის ნაცვლად, რომ თვითკრიტიკა გადააქციონ მუშათა სახელმწიფოსათვის და პარტიისათვის დახმარების გაწევის იარაღად, ანვითარებენ უნდობლობასა და [illegible] სახელმწიფო და პარტიული აპარატის მიმართ. გაიხსენეთ ზოგიერთი მასალები, მოთავსებული ამ რამდენიმე თვის წინად „კომსომოლსკაია პრავდა“-ს ფურცლებზე. ეს კომკავშირის არა ცუდი გაზეთია, მაგრამ მის ზოგიერთ სვეტზე შეამჩნევდით, რომ ისეთი კაცი სწერს და ეწევა კრიტიკას, რომლისთვისაც ის კი არ არის ძვირფასი, რომ გამოასწოროს თავისი პარტიისა და თავისი კლასის საქმე, არამედ ძვირფასია ის, რომ ღვარძლიანად და შხამიანად ალაპარაკდეს აღმოჩენილი შეცდომების შესახებ. კომკავშირის ერთი მუშაკი ამბობდა, რომ „კომსომოლსკაია პრავდა“-ს ირგვლივ ტრიალებდა რამდენიმე „გნოიკორ“-ი, რომლებმაც თავიანთ სპეციალობად გაიხადეს გახრწნილების ბუდეების („გნოინიკ“) აღმოჩენა. ასეთი „გნოიკორ“-ებისათვის—„გახრწნილების ბუდის აღმოჩენა—სასიამოვნო საქმეა“. მოსძებნის ამ გახრწნილების ბუდეს და შემდეგ იმას როდი ცდილობს, რომ დაეხმაროს პარტიასა და მუშათა კლასს, არამედ აკრიტიკებს აღმოჩენილ ფაქტს, როგორც სხვის საქმეს, სხვის შეცდომებსა და ნაკლს. საჭიროა ბრძოლა თვითკრიტიკის ასეთ, არსებითად ტროცკისტულ „მემარცხენე“ დამახინჯებასთან და ეს ბრძოლა არ არის თვითკრიტიკის შეფერხება.

პირიქით, გააფთრებით უნდა განვავითაროთ თვითკრიტიკა, მაგრამ მოვაშოროთ მას დამახინჯებანი, რომლებიც ხელს გვიშლიან აღვზარდოთ მასები, დავრაზმოთ მასები სოციალისტური მშენებლობისათვის, თავიდან მოვიცილოთ ის დამახინჯებანი, რომლებიც მხოლოდ მტრულ განწყობილებას ჰქმნიან სახელმწიფო აპარატისადმი.

„მემარცხენე“ შეხედულებებს მიეკუთვნება პარტიის ისეთი შეფასებაც, რომ აქაო და პარტიაში ხდება კოლექტიური გონების დაძაბუნება და პარტიული აზრის ბიუროკრატიული დაჩლუნგებაო, არ შეიძლება ვენდოთ ძველ პარტიულ კადრებს, უნდა შევამოწმოთ ისინი, ყოველმა კომკავშირელმა ჯერ თითონ საკუთარი პრაქტიკული გამოცდილებით უნდა შეამოწმოს პარტიული გადაწყვეტილებანი, დარწმუნდეს მათ სისწორეში და შემდეგ კი მთელი თავისი ენერგიით შეასრულოს ისინი.

უეჭველია, რომ ასეთი „მემარცხენე“ და მათი მსგავსი განწყობილებანი ტროცკიზმისაკენ ეწევიან პარტიას. ტროცკიზმის კონტრრევოლიუციონური რაზმა სავსებით გამოაშკარავებულია, მაგრამ ტროცკიზმის ზოგიერთი სოციალურ-პოლიტიკური და ორგანიზაციული ფესვები კიდევ დარჩენილია. არ შეიძლება უყურადღებოდ დავტოვოთ ის დირექტივები, რომელთა მიხედვითაც ტროცკისტები სცდილობენ აქა-იქ აწარმოონ თავიანთი მუშაობა. ამ დირექტივებში, სხვათა შორის, ლაპარაკია იმაზე, რომ „შორს დამიზნების პოლიტიკა“ პირველ რიგში აყენებს ახალგაზრდობის საკითხს, რომ განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს ყოველივე იმის ცოდნას, თუ რა ხდება კომკავშირში, კერძოდ მის აპარატში, „კომსომოლსკაია პრავდა“-ს რედაქციაში და სხვ., რომ საჭიროა ამ მუშაობისათვის გამოიყოს კარგი ჯგუფი, რომელიც გამსჭვალული უნდა იყოს იმის შეგნებით, თუ რა უდიდესი ისტორიული მნიშვნელობა აქვს ახალგაზრდობის შორის მუშაობას. ტროცკისტები იძლევიან დირექტივას ღრმა არალეგალური მუშაობის გაშლის შესახებ, იმის შესახებ, რომ ორგანიზაციულ -ტექნიკური არალეგალური მუშაობა დაყენებულ იქნას ბევრად უფრო სერიოზულად, უფრო სისტემატიურად, კონსპირაციის უფრო დაცვით, შრომის უფრო სწორი განაწილებით. ჩვენ უნდა გვახსოვდეს, რომ დარჩენილი ტროცკისტები შეეცდებიან აწარმოონ აქტიური მუშაობა და უეჭველად შეეცდებიან იპოვონ მომხრენი „მემარცხენე“ განწყობილებების მატარებელ ამხანაგებს შორის. კომკავშირის ორგანიზაცია განსაკუთრებული ყურადღებით უნდა მოეპყრას „მემარცხენე“ განწყობილებებს. განსაკუთრებული ყურადღებით უნდა მოეპყრას ამ განწყობილებებს ყოველი პარტიული ორგანიზაცია, სადაც ტროცკიზმი შედარებით ძლიერი იყო და ეხვეოდა სხვადასხვა, კერძოდ ნაციონალისტურ, სამოსელში.

„მემარცხენე“ განწყობილებები აუცილებლად თან სდევენ მემარჯვენე-ოპორტუნისტულ საფრთხეს პარტიაში. ბრძოლის ორ ფრონტზე გაშლით არის მხოლოდ შესაძლებელი ლენინურად მკაფიო ბრძოლა პარტიისა მემარჯვენე ოპორტუნისტული საფრთხის წინააღმდეგ, რომელიც ამჟამად მთავარი საფრთხეა. გადავდივარ საკითხზე ამ საფრთხის შესახებ.

ამ დღეებში ჩვენ წავიკითხეთ მემარჯვენე ოპოზიციის ბელადების განცხადება (ბუხარინის მეთაურობით) მათი სრული კაპიტულაციის შესახებ პარტიის წინაშე. ეს გარემოება, უეჭველია, არ სპობს მემარჯვენე ოპორტუნიზმთან გადამწყვეტი ბრძოლის ამოცანას. პარტია ისევე იბრძოლებს და უნდა იბრძოლოს, როგორც აქამდე, რადგან ჯერ კიდევ ცოცხალია ოპორტუნიზმის ფესვები და მემარჯვენე გადახრის მთელი პრაქტიკა, რადგან ამხ. ბუხარინის ჯგუფის მიერ არ არის [illegible] უარყოფილი ყველა ანტილენინური თეორიული დებულებები, რომელთა საფუძველზედაც აგებულია მემარჯვენე გადახრის პოლიტიკა და პრაქტიკა.

მე-15 ყრილობის შემდეგ განვლილი პერიოდის მანძილზე ცალკე ნაწილებისაგან შე[illegible] მემარჯვენე ოპორტუნიზმის მთელი პლატფორმა, რომელსაც თქვენ იცნობთ გაზეთებში, ჟურნალებში და წიგნაკებში მოთავსებული მასალებიდან. მემარჯვენე ოპორტუნიზმის საფუძველია ჩვენი ქვეყნის კლასობრივი ძალთა ურთიერთობის ყალბი შეფასება, კლასობრივი ბრძოლის უარყოფის პოლიტიკა, შიში, „ზიზღი“ კლასობრივი ბრძოლისადმი, მემარჯვენე ოპორტუნიზმის უდიდესი საფრთხე სწორედ იმაშია, რომ იგი დიდ დაბრკოლებათა გადალახვის, კლასობრივი ბრძოლის გამწვავების დროს იარაღს აყრევინებს პარტიასა და მუშათა კლასს, ახდენს პროლეტარიატისა და მისი პარტიის კლასობრივ შეგნებასა და რევოლიუციონურ სიფხიზლის დემობილიზაციას, ვერ აფასებს კლასობრივი მტრის წინააღმდეგობის მთელ ძალას. ამგვარი გეზი პროფკავშირთა მუშაკების ერთ ნაწილში წარმოადგენდა და წარმოადგენს ტრედიუნიონისტული შეცდომების საფუძველს. პროფკავშირთა [illegible] ხელმძღვანელებს არ ესმოდათ, რომ პროფკავშირები უნდა [illegible] უდიდეს ძალას, რომელიც უნდა დარაზმოს მუშათა კლასის აქტიობა პარტიის ხელმძღვანელობით და მიმართოს იგი კლასობრივი მტრის წინააღმდეგ. პურის დამზადების პრაქტიკაში კი ამ შეხედულებამ თავი იჩინა კულაკზე შეტევის წინააღმდეგობაში და იმის შიშში, რომ ღარიბი და საშუალო გლეხის მასები დარაზმული ყოფილიყო სოფლის ზედა ფენების საწინააღმდეგო გადამწყვეტ ბრძოლისათვის.

პროლეტარული პოლიტიკის პრინციპების ასეთსავე დამახინჯებას ადგილი ჰქონდა მთელ რიგ საერთაშორისო ხასიათის საკითხებში—საერთაშორისო მდგომარეობის შეფასებაში (კაპიტალიზმის სტაბილიზაციის შეფასება, მდგომარეობა კომინტერნისა და მისი სექციების შიგნით, მემარჯვენეთა და შემარიგებლებისათვის ფაქტიური მხარის დაჭერა) და სხვა. ეს შეცდომები უშუალოდ არიან დაკავშირებული ამხ. ბუხარინის „მოწესრიგებული კაპიტალიზმი“-ს თეორიასთან, რომელიც ბევრ რამეში იმეორებს ჰილფერდინგს და სხვებს.

თითქმის არ ყოფილა პარტიის არც ერთი ისეთი დიდმნიშვნელოვანი დადგენილება, სადაც მემარჯვენე ოპორტუნისტებს არ წამოეყენებინოთ პარტიის პოლიტიკის საწინააღმდეგო საკუთარი ხაზი. მემარჯვენე ოპოზიციის განვითარება განსაკუთრებით თვალსაჩინოდ გამომჟღავნდა ამხ. ბუხარინის, რიკოვის და ტომსკის უკანასკნელ გამოსვლებში ცენტრალური კომიტეტში 1929 წლის იანვარ-თებერვალში, ცენტრალური კომიტეტის [illegible] ნოემბრის პლენუმზე და უკანასკნელ განცხადებებში, რომლებიც 26 ნოემბრის ყველა გაზეთებში დაიბეჭდა. ეს გამოსვლები გვიჩვენებენ იმ გზას, რომელიც გაიარა ამხ. ბუხარინის ჯგუფმა 1929 წლის განმავლობაში.

ნება მომეცით შევადარო ერთმანეთს ის გამოსვლები, რომლებსაც ადგილი ჰქონდა იანვარ-თებერვალში და ცენტრალური კომიტეტის ნოემბრის პლენუმზე. ამ გამოსვლებში მოცემულია ჩვენი ქვეყნის საერთო სამეურნეო და პოლიტიკური მდგომარეობის შეფასება. იანვარში ჩვენი ქვეყნის მდგომარეობა უაღრესად საშიშრად არის აღიარებული პურის დამზადების მხრივაც და სათესი მოედნის მხრივაც. ამხ. ბუხარინი და სხვები წინასწარმეტყველებენ სიძნელეთა განმეორებას და მომავალში მათ გამწვავებასაც კი, წინასწარმეტყველებენ პურის მძიმე **კრიზისს**. ბუხარინის ჯგუფის იანვრის განცხადება მიზნად ისახავს **ინდუსტრიალიზაციის ტემპების შენელებას**, წინასწარმეტყველებს, რომ მომავალი სამეურნეო სიძნელეთა გამო სულ ერთია იძულებული ვიქნებით შევკვეცოთ საწარმოო პროგრამა. ნოემბერში კი პირიქით: აღიარებულია სოციალისტური მშენებლობის უდიდესი მიღწევები, ულრმესი გარდატეხა ჩვენს ქვეყანაში პროლეტარიატის პოზიციების განმტკიცების საქმეში, და იმავე დროს არც ერთი სიტყვა, დუმილი იმ საკუთარი კაპიტულიანტური დეზერტირული განცხადებების შესახებ, რომლებიც მათ იანვარში გააკეთეს.

იანვარში ბუხარინის ჯგუფი ცდილობს პირველ ადგილზე დააყენოს გლეხური **ინდივიდუალური** მეურნეობის ამაღლების ამოცანა, ისევე პანიკურად უწინასწარმეტყველებენ პარტიას პურის კრიზისის გამწვავებას, თუ პარტია მომავალშიაც ასეთ დიდ ყურადღებას მიაქცევს **კოლმეურნეობრივ მოძრაობას**, ამტკიცებენ, რომ მახლობელი წლების განმავლობაში კოლექტიური და საბჭოთა მეურნეობები ვერ გადაიქცევიან პურის ძირითად წყაროებად, რომ ძირითად წყაროდ ჯერ კიდევ დიდხანს იქნება გლეხის კოლექტიური მეურნეობა. ჯგუფი უსაფუძვლოდ ამტკიცებდა, რომ ვითომ პარტიამ დაივიწყა ინდივიდუალური მეურნეობის ამაღლების ამოცანა. ეს არ არის მართალი. ღარიბ და საშუალო მეურნეობის ამაღლების ამოცანა არ ყოფილა დაპირისპირებული (და არც ახლა არის დაპირისპირებული) კოლექტიური მიწადმოქმედების მშენებლობის ამოცანასთან. პირიქით, კოლმეურნეობრივი მოძრაობის გაშლით პარტიამ 1928—29 წელს ბევრი რამ გააკეთა ღარიბ და საშუალო ინდივიდუალურ მეურნეობათა დახმარების საქმეში. მემარჯვენეებმა იანვარში სრულიად „დაივიწყეს“ კოლექტივიზაციის განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა და, პირველ რიგში, წამოაყენეს ზრუნვა ინდივიდუალური გლეხური მეურნეობის სასარგებლოდ. ამხ. ბუხარინის ჯგუფის იანვრის მტკიცება ცხოვრებამ ყირაზე დააყენა, და ახლა, ცენტრალური კომიტეტის ნოემბრის პლენუმზე ჯგუფი აღიარებს, რომ კაპიტალური მშენებლობის უდიდესი და არ ნახული (თავისი ტემპებით) გაშლა, ინდუსტრიის საწარმოო საშუალებათა წარმოების წინამძღოლი როლის გაძლიერება განსაკუთრებით ვერ შეურიგდება იმას, რომ სოფლის მეურნეობაში გაბატონებული იყოს ინდივიდუალური მეურნეობა და სხვა. მემარჯვენე ოპოზიცია იძულებული აღიარებს, რომ კოლმეურნეობრივმა მოძრაობამ მართლაც ფართო მასიური ხასიათი მიიღო და გადააჭარბა ყოველივე იმას, რაც გეგმით იყო გათვალისწინებული. მაგრამ თავისი იანვრის შემცდარი განცხადებების აღიარებას, თქმას პარტიის წინაშე, რომ წინააღმდეგ სოფლის პოლიტიკის საკითხებში შემცდარი იყო მისი ბრძოლა პარტიის ხაზის წინააღმდეგ,—ოპოზიცია ნოემბრის პლენუმზე ვერ ბედავს.

იანვარ-თებერვალში მემარჯვენე ოპოზიცია ცილს სწამებს **პარტიას**, აგონებს [illegible] ძველ ტროცკისტულ გაბოროტებულ ბრალდებებს იმის შესახებ, რომ ვითომ პარტიის იდეოლოგიურ ცხოვრებაში ადგილი არა აქვს „[illegible] ჭეშმარიტების კოლექტიურ ძიებას“, ვითომ არსებობს „ხალტურით გატაცების“ ასობით ნიმუში, მუშათა ფართო წრეებს არ აცნობს ნამდვილ მდგომარეობის [illegible] ხდება მხოლოდ კაზიონური [illegible] „წვრილმანი დეფექტების“ შესახებ. [illegible] არ იჩქევა სერიოზული მტკივნეული საკითხი

---

*) ეს მოხსენება არსებითად განმეორებულ იქნა აზერბეიჯანის კომპარტიის (ბ) ბაქოს ორგანიზაციისა და სომხეთის კომპარტიის (ბ) ერევნის ორგანიზაციის აქტივზე.

*) იხ. მოლოტოვი. „Темп развития С.С.Р. и капиталистических государств“ 1929 წ.

*) ლენინი, ტ. მე-18, ნაწ. მე-2, გვ. 75.

*) ლენინი. ტომი მე-18, ნაწ. 1, გვ. 340. (ხაზი ჩემია. ა. კ.)

*) ლენინი, ტ. მე-18. ნაწ. 2, გვ. 40.

ბი; მთელი ჩვენი ქვეყანა თავს იმტვრევს პურის და მომარაგების საკითხზე, ხოლო პარტიის კონფერენციები სდუმს. იანვარში მემარჯვენეები ამტკიცებდნენ, რომ პარტიაში ფაქტიურად არ არსებობს თვითკრიტიკა, დემოკრატია, არჩეულობა, ამტკიცებდნენ, რომ პარტიაში იზრდება ბიუროკრატიზაციის ელემენტები, რომ კრებებზე სიარული, ერთსულოვანი ხმის მიცემა „რიტუალის", „აუცილებელი პარტიული ცერემონიალის" ხასიათს ღებულობს და სხვადასხვა. ასევე ხასიათდებოდა **კომინტერნში** არსებული მდგომარეობაც. აქ, თითქოს, გაბატონებული იყო ბრძანებლობა, რწმენის მაგიერობას სწევდა დაყვირება ძალდატანების მიმატებით, აქ თითქოს, არ არსებობს ძალთა კონცენტრაცია, არამედ არსებობს მხოლოდ განხეთქილება, ჯგუფები და სხვა.

ნოემბერში კი ბუხარინი პარტიის და კომინტერნის წინააღმდეგ მიმართულ ამ ცილისწამებების შესახებ კრინტსაც არ სძრავს.

ჩვენი ქვეყნის **საერთო პოლიტიკური მდგომარეობის შეფასება**, წინასწარმეტყველება გლეხობის აუცილებელი ჩამოცილების შესახებ, პანიკური „შიში" მუშათა კლასის და გლეხობის კავშირის მიმართ მემარჯვენე ოპოზიციამ ნოემბერში მით შესცვალა, რომ აღიარა მასების შემოქმედებითი ენერგიის გაშლის ახალი ფორმების ზრდა, მშრომელთა ფართო მასების დარაზმვა პროლეტარიატის მეთაურობით და სოციალისტური რეკონსტრუქციის უდიდეს მუშაობათა ირგვლივ. თავისი წინანდელი შეცდომების შესახებ კი სდუმს.

ერთად ერთი უთანხმოება, რომელიც ნოემბრის პლენუმზე აღიარეს მემარჯვენე ოპორტუნისტებმა, ეს არის უთანხმოება „**საგანგებო ღონისძიებათა**" შესახებ. მაგრამ აქ ბუხარინის ჯგუფი იმეორებს თავის წინანდელ შეცდომებს, ვინაიდან ეს მხოლოდ ერთი იმ მრავალ საკითხთაგანი იყო, რომელთა გამო მემარჯვენე ოპოზიცია აწარმოებდა ბრძოლას პარტიის წინააღმდეგ, ხოლო ამავე დროს სრულიად უსაფუძვლოდ მემარჯვენე ოპოზიცია პარტიის 1929 წლის სოფლის პოლიტიკას 1927 წლის „საგანგებო ღონისძიებად" ასაღებს. თუ 1928—29 წელს მემარჯვენე ოპოზიცია იმის წინააღმდეგი იყო, რომ ღარიბ და საშუალო გლეხთა მასები კულაკებთან საბრძოლველად ყოფილიყო დარაზმული, ცხოვრებამ ამ საკითხში პარტია სავსებით გაამართლა, და სრულიად არ არის მართალი, რომ პარტიის პურის დამზადების პოლიტიკა კერძო საკითხია, რომელიც ხაზის გატარების „მეთოდებს" ეხება და არა პარტიის თვით გენერალურ ხაზს. ბუხარინის ჯგუფი პლენუმზე ისევ განაგრძობს იმ რწმენაზე დგომას, რომ მისი ხაზით პარტიას „ნაკლებ მტკივნეული გზით" შეეძლო მიეღწია სასურველი შედეგებისათვის, სხვანაირად რომ ვსთქვათ, როგორც ყოველ ოპოზიციას ჰგონია, ბუხარინის ჯგუფის პოლიტიკა მართალი იყო, ხოლო პარტია არა.

დასასრულ, **პარტიის საერთო ხაზის** საკითხზე. ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე ჯგუფმა განაცხადა: „ჩვენ მთლიანად და სავსებით ვიზიარებთ და ვიზიარებდით პარტიის გენერალურ ხაზს"-ო. მაგრამ იანვარში ხომ ბუხარინის ჯგუფი იმას ამბობდა, რომ პარტიის პოლიტიკას განსაზღვრავს ბეგარის და გლეხობის სამხედრო-ფეოდალური ექსპლოატაციის ლოზუნგი, რომ პარტიის პოლიტიკა ლენინის რელსებიდან ტროცკის რელსებზე გადადიოდა?

ამრიგად, თუ მემარჯვენე ოპოზიციის იანვრისა და ნოემბრის გამოსვლებს ერთმანეთს დაუპირისპირებთ, მივიღებთ, რომ ცენტრალური კომიტეტის ნოემბრის პლენუმზე ჯგუფმა მხდალად დაიხია უკან, არ მოისურვა თავისი წინანდელი შეცდომების აღიარება, მათი უარყოფა ან დაცვა. ბუხარინის ჯგუფის ყოფაქცევა ნოემბრის პლენუმზე იყო მანევრი, რომელიც საკუთარი ძალების შენახვისაკენ იყო მიმართული, მიზნად ისახავდა თავის გადარჩენას მით, რომ აღიარა პარტიის ის მიღწევები, რომლებიც ყველასათვის ადვილად დასანახია (თვით ბურჟუაზიული ლიბერალური ეკონომისტებისათვისაც კი). ნამდვილად კი როგორც იანვრის, ისე ნოემბრის გამოსვლები წარმოადგენენ მხდალი მემარჯვენე ოპორტუნიზმის გაშლილ პლატფორმას.

აი რად უნდა მიეღო ცენტრალურ კომიტეტს გადამჭრელი და ენერგიული ზომები ბუხარინის ჯგუფის მიმართ. პლენუმმა გამოიყვანა ამხ. ბუხარინი პოლიტბიუროს შემადგენლობიდან და გაფრთხილება მისცა ამხ. რიკოვს და ტომსკის მხოლოდ ახლა, როდესაც მემარჯვენე ოპოზიციის ბელადები იძულებული გახდნენ ქედი მოეხარათ პარტიის წინაშე,—განსაკუთრებული სიცხადით სჩანს, რომ ცენტრალური კომიტეტის პლენუმის ის დადგენილება, რომელიც მთელი პარტიის მტკიცე სურვილს ემყარება, იყო ერთად ერთი ბოლშევიკური, ერთად ერთი შეუმცდარი დადგენილება, რომელმაც აიძულა მემარჯვენე ოპოზიციის ბელადები ეცნოთ თავიანთი შეცდომები პარტიის წინაშე.

ეს კაპიტულიაცია მოხდა 25 ნოემბერს. 25 ნოემბრის განცხადება ჩვენ ყურადღებით უნდა განვიხილოთ. ამხ. ბუხარინის, რიკოვის და ტომსკის ამ განცხადებას თვითეული კომუნისტი, თვითეული პარტიული ორგანიზაცია მხოლოდ მაშინ მისცემს სერიოზულ მნიშვნელობას, როდესაც განცხადების სამივე ავტორი განახორციელებენ ორ საყურადღებო პირობას. პირველი პირობა—ბუხარინის ჯგუფმა თავისი ხელით საქმით უნდა დაიწყოს ბრძოლა მემარჯვენე გადახრის **პოლიტიკის წინააღმდეგაც** და **პრაქტიკის წინააღმდეგაც** და მით დაანახვებენ პარტიას თავიანთი განცხადების ნამდვილ ღრმა გულწრფელობას. მეორე პირობა იმაში მდგომარეობს, რომ მემარჯვენე ოპოზიციამ და პირველ რიგში მისმა იდეოლოგმა ამხ. ბუხარინმა უნდა ამხილონ მემარჯვენე გადახრის მთელი **თეორიული ბაზა** და განსაკუთრებით ყველა ის თეორიული შეცდომები, რომლებიც ამხ. ბუხარინის მიერ არის დაშვებული. ნამდვილი ჭეშმარიტებაა, რომ ბოლშევიზმი აღმოცენებულია „მტკიცე თეორიულ ბაზაზე", რომ მთელი ჩვენი პარტიული პოლიტიკა, ყველა პოლიტიკური დადგენილებები, მათ შორის უკანასკნელი წლის დადგენილებებიც, ღრმა მეცნიერულ საფუძველს ემყარებიან. სრულიად მართალი იქნება იმის თქმაც, რომ პარტიის პოლიტიკის მემარჯვენე ოპორტუნისტული დამახინჯებანიც ყალბი თეორიული საფუძვლებიდან გამომდინარეობენ.

2. ამხ. ბუხარინის ზოგიერთი მთავარი შეცდომები

ამხ. ბუხარინის და მისი ჯგუფის თეორიულ შეხედულებათა სისტემაზე უკანასკნელი თვეების განმავლობაში მრავალი რამ დაიწერა ჟურნალებში: „ბოლშევიკ", „მარქსიზმის დროშის ქვეშ", და სხვა. მე არ ვკისრულობ ამ თეორიულ შეხედულებათა სისტემის სრულ დახასიათებას. შევჩერდები მოკლედ მხოლოდ იმ სამ მომენტზე, რომლებშიც ამხ. ბუხარინი იძლევა თავისი ძირითადი პოლიტიკური შეცდომების დასაბუთებას.

პირველი—ეს არის ბუხარინის რეფორმისტული „მოძღვრება სოციალიზმში შეზრდის შესახებ". თავის წიგნში „გზა სოციალიზმისაკენ და მუშურ-გლეხური კავშირი" ბუხარინი ამტკიცებს კულაკის, კულაკური კოოპერატიული ბუდეების სოციალიზმში შეზრდას. მაგრამ კულაკის სოციალიზმში შეზრდის ეს თეორია იმ საერთო „მოძღვრების" ერთი გამოხატულებათაგანია, რომელიც ამხ. ბუხარინმა ჩამოაყალიბა კომუნისტურ აკადემიაში 1924 წლის 17 თებერვალს წარმოთქმულ სიტყვაში. ამ სიტყვა-წიგნაკში „ლენინი, როგორც მარქსისტი" ამხ. ბუხარინი ლაპარაკობს იმის შესახებ, რომ იმ რამდენიმე „ძირითად პრობლემათა შორის, რომლებიც ვლ. ილიჩმა დასახა და რომლებიც საჭიროა დამუშავდეს", პირველი არის „**მოძღვრება ან მოძღვრების ჩანასახი სოციალიზმში შეზრდის შესახებ მუშური რევოლიუციის გამარჯვების შემდეგ**" ამხ. ბუხარინი მართალს ამბობს, რომ ეს ტერმინი მუდამ რევიზიონისტების, მარქსიზმის ეპიგონების... მარქსიზმის მოღალატეების მოძღვრებას აღნიშნავდა". მიუხედავად ამისა ამხ. ბუხარინი ფიქრობს, რომ „პროლეტარიატის დიქტატურის შემდეგ განვითარების ორგანიული პერიოდი იწყება", რომ „მთლიანად იცვლება კითხვა, იცვლება რადიკალურად, პრინციპიალურად". „მას შემდეგ, რაც მუშათა კლასი ძალა-უფლებას დაიპყრობს... სოციალიზმისაკენ მიმართული განვითარება ევოლიუციონური გზით მიდის და არც შეუძლია სხვანაირად წავლა, ე. ი., სხვანაირად რომ ვსთქვათ, მას შემდეგ რაც მუშათა კლასი ძალაუფლებას დაიპყრობს, იწყება ნამდვილი შეზრდა სოციალიზმში"*).

ამხ. ბუხარინმა არ იკმარა ის, რომ შექმნა ნამდვილად რეფორმისტული, ანტიმარქსისტული სოციალიზმში შეზრდის თეორია პროლეტარიატის მიერ ძალა-უფლების დაპყრობის შემდეგ; მან **ეს თეორია მიაწერა** ამხ. ლენინს, სცადა რეფორმისტული (ბრჭყალებში ჩაუსმელი) თეორია ლენინიზმის რევოლიუციონურ არსენალში შეეტანა. ის, რაც აქ ამხ. ბუხარინმა დასწერა, აშკარად ეწინააღმდეგება ლენინს.

მართალია, ლენინი ახალ ეკონომიურ პოლიტიკაზე გადასვლის დროს ამბობდა, რომ ეკონომიური მშენებლობის ძირითად საკითხებში იქმნება „ჩვენი რევოლიუციისათვის აუცილებლობა, მივმართოთ რეფორმისტულ", თანდათანობით ფრთხილი შემოვლით მოქმედების მეთოდს, რომ მთელ რიგ მეტად რევოლიუციონურ მოქმედებათა შემდეგ საჭიროა უაღრესად „რეფორმისტულ მოქმედებაზე გადასვლა". ამას ამბობდა ლენინი. მაგრამ „რეფორმისტული" (ბრჭყალებში ჩასმით) მოქმედების აუცილებლობას ლენინი უკავშირებდა ჩვენი ქვეყნის სამეურნეო განვითარების განსაზღვრულ პერიოდს, ახალი ეკონომიური პოლიტიკის დაწყების პერიოდს, რომელსაც ლენინი მუდამ ახასიათებდა, როგორც უკანა დახევის პერიოდს. იმავე წერილშიც, „ოქროს მნიშვნელობა ახლა და სოციალიზმის სრული გამარჯვების შემდეგ", საიდანაც ამოღებულია ზემომოყვანილი სიტყვები, ლენინი სრულიად გარკვეულად ამბობს, რომ თავისი ძლევამოსილი რევოლიუციის შემდეგ პროლეტარიატი ზოგჯერ მიმართავს რეფორმისტულ მოქმედებას, მაგრამ ეს ხდება აუცილებელი **შესვენების** პერიოდებში იმ მიზნით, რომ დააგროვოს ძალები შემდეგში „ამა თუ იმ **რევოლიუციონური** გადასვლის მოსახდენად". აი რით ამთავრებს ამხ. ლენინი თავის წერილს „ოქროს მნიშვნელობის შესახებ". „პროლეტარიატის გამარჯვებამდე, რეფორმები რევოლიუციონური კლასობრივი ბრძოლის არაპირდაპირი შედეგია. გამარჯვების შემდეგ ისინი (იმ დროს, როდესაც საერთაშორისო მასშტაბით იგივე არაპირდაპირ შედეგად რჩება) იმ ქვეყნისათვის, სადაც გამარჯვება მოპოვებულია, გარდა ამისა წარმოადგენენ აუცილებელ და კანონიერ **შესვენებას** იმ შემთხვევებში, როდესაც, ძალთა მაქსიმალური დაძაბვის შემდეგ, წინასწარვე ცნობილია, რომ ეს ძალები არ არიან საკმარისი ამა თუ იმ გადასვლის **რევოლიუციონური შესრულებისათვის**. გამარჯვება ისეთ „ძალთა მარაგს" იძლევა, რომ იძულებითი უკანდახევის დროსაც კი საკმაოა თავის გასატანად, როგორც ნივთიერის, ისე ზნეობრივის მხრით. ნივთიერად თავის გატანა იმას ნიშნავს, რომ შეინარჩუნო საკმაო ძალა იმისათვის, რათა მტერმა ვერ შესძლოს ჩვენი საბოლოოდ დამარცხება. ზნეობრივად თავის გატანა ნიშნავს იმას, რომ არ გახრწნე ზნეობრივად, არ დაირღვე ორგანიზაციულად, შეინარჩუნო მდგომარეობის სალი შეფასების უნარი, სულის სიძლიერე და სიმტკიცე, თუნდაც შორს დაიხიო უკან, მაგრამ ზომიერად, **უკან დაიხიო ისე, რომ თავის დროზე შეაჩერო უკან დახევა და ისევ გადახვიდე შეტევაზე**".*).

როგორც ხედავთ, ამხ. ბუხარინი იღებს ლენინისაგან საკითხის დასმას, რომელიც ეხება ახალი ეკონომიური პოლიტიკის **განსაზღვრულ პერიოდს** და აძლევს მას ხასიათს საერთო „**კანონისას**", რომელიც ვითომ ეხება **მთელ** გარდამავალ პერიოდს კაპიტალიზმიდან სოციალიზმისაკენ, პერიოდს მუშათა კლასის მიერ ხელისუფლების დაპყრობის შემდეგ. ეს არის ლენინის შეხედულებათა აშკარა რევიზია ბუხარინის მიერ უმნიშვნელოვანეს პოლიტიკურ და თეორიულ საკითხში.

შემდეგ ამხ. ბუხარინი ანვითარებს ამ თავის „მოძღვრებას" და ლაპარაკობს „მუშათა დიქტატურის დროს არსებულ ორკლასიანი საზოგადოების" ვითომდა ლენინურ „თეორიულ ანალიზზე". ამხ. ბუხარინი აღიარებს, რომ „უაღრესად საინტერესოა საკითხის დასმა ორი კლასის შესახებ—მუშათა კლასისა და გლეხობის შესახებ, იმ დროს, როდესაც მოისპო მემამულეთა მიწათმფლობელობა, როდესაც მოხდა ბურჟუაზიის ექსპროპრიაცია".**) მაგრამ ამასთან ამხ. ბუხარინს, წინააღმდეგ ლენინის მაგალითისა, სრულებით ავიწყდება ხაზგასმით აღნიშნოს „მესამე ძალის"—ბურჟუაზიულ-კაპიტალისტური ელემენტების როლი და მნიშვნელობა გარდამავალ პერიოდში, როდესაც წვრილი წარმოების საფუძველზე, ახალი ეკონომიური პოლიტიკის პირობებში აუცილებლად ხდება კაპიტალიზმის აღორძინება, როდესაც ბურჟუაზიულ კაპიტალისტური ელემენტები განაგრძობენ ბრძოლას შეტევაზე გადასული პროლეტარიატის წინააღმდეგ, ისე, რომ კლასობრივი ბრძოლა, როგორც ამჟამად ხდება, უაღრესად გამწვავდება. განა ლენინი ცოტაჯერ ამბობდა, რომ პროლეტარული რევოლიუციის შემდეგ „ბრძოლა კაპიტალისტურ საზოგადოებასთან ასჯერ უფრო გაფართოებული და საშიშარი გახდა", რომ ეს ბრძოლა არის „თავგამოდებული, გაფთრებული, თუ უკანასკნელი არა, უკანასკნელის მახლობელი მაინც, სასიკვდილო-სასიცოცხლო ბრძოლა კაპიტალიზმსა და კომუნიზმს შორის"?***) განა ლენინი არ ლაპარაკობდა მომავალ ბრძოლაზე რუსეთის კაპიტალიზმთან? „უკანასკნელი და გადამწყვეტი ბრძოლა" არა საერთაშორისო კაპიტალიზმთან,—იქ კიდევ ბევრი იქნება „უკანასკნელი და გადამწყვეტი ბრძოლები",—არამედ აი რუსეთის კაპიტალიზმთან, იმასთან, რომელიც იზრდება წვრილ გლეხურ მეურნეობიდან, იმასთან, რომელსაც ეს მეურნეობა უწყობს ხელს. აი აქ უახლოეს მომავალში მოგველის ბრძოლა, რომლის ვადა ზუსტად არ შეიძლება განისაზღვროს".****)

მეორე—ბუხარინისეული გაგება პროლეტარიატის ეკონომიური პოლიტიკისა გარდამავალი პერიოდის სამეურნეო განვითარების საკითხთან დაკავშირებით. ამხ. ბუხარინი თავის ნაშრომში „ლენინის პოლიტიკური ანდერძი" და სხვ. საკითხს ისე სვამს, რომ ახლა ეკონომიური პოლიტიკის მთავარ ამოცანას წარმოადგენს მუშური სახელმწიფოს სავაჭრო კავშირის განმტკიცება გლეხობასთან; ეკონომიური პოლიტიკის საფუძველს, მის ლოზუნგს დღევანდლამდე შეადგენს „ვაჭრობა არა აზიურად, არამედ ევროპიულად". მაგრამ ამხ. ბუხარინი ხომ თავის „პოლიტიკურ ანდერძს" ლენინის იმ მითითებებზე ამყარებს, რომლებსაც ლენინი მიაკუთვნებდა ახალი ეკონომიური პოლიტიკის დასაწყისს პერიოდს. ამ მითითებათა გარდა ლენინი სრულიად მკაფიოდ ნათლად და აშკარად აყენებდა პროლეტარიატის პოლიტიკის ძირითად საკითხებს იმ პერიოდისათვის, როდესაც მსხვილი მრეწველობა მაგრდება, როდესაც ძლიერდება მისი ხელმძღვანელი როლი,—იმ **პერიოდისათვის, რომელშიაც ახლა** ფეხი შესდგა ჩვენმა ქვეყანამ. ვისაც ყურადღებით წაუკითხავს ლენინი, მისი მე-18 ტომი, ის აუცილებლად შენიშნავდა პატარა სიტყვას, რომელსაც ლენინი ხშირად ხმარობდა, სიტყვას „ვიდრე"-ს; ეს სიტყვა ყოველთვის დაჟინებით მოგვაგონებს, რომ ლენინის მიერ 1921—22 წელს დასახული ამოცანები ეხებოდა ახალი ეკონომიური პოლიტიკის იმ პერიოდს და არა ქვეყნის საწარმოო ძალების განვითარებისა და ჩვენი ქვეყნის სოციალისტური ეკონომიკის მძლავრი განმტკიცების მომავალ უფრო მაღალ საფეხურს.

სასურსათო გადასახადის შესახებ წარმოთქმულ საბოლოო სიტყვაში (1921 წ. მაისი) ლენინი ლაპარაკობდა იმის შესახებ, თუ როგორ გადადის პარტია კლასიდან კლასში. „თუ კომუნისტური პარტიის მთელ მუშაობას შევადარებთ უმაღლეს მეცნიერებათა 4 წლიან კურსს, ჩვენი მდგომარეობა ასე შეგვიძლია განვსაზღვროთ: ჩვენ ვაბარებთ მე-3 კურსიდან მე-4 კურსზე გადასასვლელ გამოცდას; ეს გამოცდა ჯერ არ ჩაგვიბარებია, მაგრამ ყველაფერი გვიჩვენებს, რომ ჩავაბარებთ. თუ კურსების მიხედვით ვიანგარიშებთ, პირველი კურსი გავიარეთ გასული საუკუნის 70-იან წლებიდან 1903 წლამდე... ეს პირველი კურსია.—მეორე კურსია 1903 წლიდან 1917 წლამდე, აქ ვხედავთ სერიოზულ მომზადებას რევოლიუციისათვის და 1905 წლის რევოლიუციის პირველ ცდას. მესამე კურსია —1917 წლიდან 1921 წლამდე; აქ ვხედავთ ოთხ წელიწადს, რომლებიც თავისი შინაარსით მეტს შეიცავენ, ვიდრე პირველი 40 წელიწადი. ეს იყო მეტად საქმიანი გამოცდა, როდესაც პროლეტარიატი ხელისუფლებას დაეპატრონა, მაგრამ ეს ჯერ კიდევ საბოლოო გამოცდა არ ყოფილა... ახლა კი ჩვენ ვაბარებთ 3 კურსიდან მე-4 კურსზე გადასასვლელ გამოცდას; შემდეგ ჩვენ კარგად უნდა გავიაროთ მთელი მე-4 კურსი, მაშინ ჩვენ მართლაც უძლეველნი ვიქნებით. ჩვენ შევეძლება გამარჯვება სამეურნეო ფრონტზე".*****)

მეოთხე კლასი, შეიძლება ითქვას, პარტიამ უკვე დაამთავრა, რა კი იგი გადავიდა აღმდგენლობითი პერიოდიდან „სოციალიზმის უშუალო მშენებლობის" ხანაში, სახალხო მეურნეობის სოციალისტური რეკონსტრუქციის ხანაში. ბუხარინი კი, თეორეტიკოსი მემარჯვენე ოპოზიციისა, ყველა თავის ნაშრომში „მუდმივ სტუდენტად" რჩება და ვერას გზით ვერ ამთავრებს მეოთხე კურსს (სიცილი), მაშინ, როდესაც პარტია, ცხოვრება უკვე გაცილებით შორს წავიდა, მაშინ, როდესაც პარტია თავის პოლიტიკას წინანდებურად ჰქმნის ლენინური თეორიის მტკიცე ბაზაზე, მუშათა კლასის უდიდესი გამოცდილებისა და ყოველივე იმის საფუძველზე, რასაც ითვალისწინებდა ლენინი ჩვენი მუშაობის მიმდინარე პერიოდის შესახებ.

ამხანაგებო, ნება მომეცით მოვიყვანო ლენინის რამდენიმე მითითება, რომელიც დიდის დამაჯერებლობით შეგვაგნებინებს, თუ როგორ აღნიშნავდა და ითვალისწინებდა ლენინის გენია ჩვენს დღევანდელ ამოცანებს. 1921 წლის ივნისში ლენინი ამბობდა, რომ ჩვენ ვაჭრობა უნდა ვისწავლოთო, რომ ეს—„მთელი ახალი ეკონომიური პოლიტიკის საფუძველია **იმ დროის განმავლობაში, ვიდრე** მთლიანად არ აღვადგენთ მსხვილ მრეწველობას, ეს დრო კი შეიძლება შეიცავდეს ათ წლიწადს მაინც; ჩვენ **ამ დროისათვის** უნდა შევქმნათ მუშათა კლასისა და გლეხობის, ამ ორი ერთად-ერთი კლასების ურთიერთობის ისეთი ფორმები, რომელთა საფუძველზედაც უნდა ავაგოთ ჩვენი ეკონომიკა, ამ ორ კლასს შორის უნდა შევქმნათ ისეთი კავშირი, რომელიც მეურნეობრივად ორივე მხარეს დააკმაყოფილებდა, ისეთი კავშირი, რომელიც ანგარიშს გაუწევდა **ხელმოკლე გლეხს, როგორც ხელმოკლე გლეხს ვიდრე** ჩვენ ვერ მივცემთ მას მსხვილი მრეწველობის ყველა პროდუქტებს". *)

მემარჯვენე გადახრის თეორეტიკოსებმა ვერ შეამჩნიეს ეს ლენინური „ვიდრე", „იმ დროის განმავლობაში". პარტია კი უკვე საქმით იწყებს იმ ახალი ამოცანების განხორციელებას, რომლებიც გამომდინარეობენ აუცილებლობიდან და ხელმოკლე გლეხის გადასვლის ფაქტიდან მსხვილი კოლექტიური მიწათმოქმედების განვითარების გზაზე.

ლენინი ამბობდა: „ვაჭრობა ერთად-ერთი შესაძლებელი ეკონომიური კავშირია ათეულ მილიონ წვრილ მიწათმოქმედთა და მსხვილ მრეწველობას შორის". **)

მემარჯვენე გადახრის თეორეტიკოსები და პრაქტიკოსები ამ სიტყვებს წერტილს უსვამენ. ლენინი კი განაგრძობს: „...**თუ** ამ მიწათმოქმედთა გვერდით არ არსებობს საუცხოო მსხვილი სამანქანო ინდუსტრია ელექტრონის მავთულების ქსელით, ინდუსტრია, რომელსაც შეუძლია თავისი ტექნიკური ძლიერებითაც, თავისი ორგანიზაციული „ზედნაშენებითაც" და თანამგზავრ მოვლენებით წვრილ მიწათმოქმედთ მიაწოდოს საუკეთესო პროდუქტები დიდის რაოდენობით, უფრო სწრაფად და უფრო იაფად, ვიდრე ეს წინათ ხდებოდა".

რასაკვირველია, ჩვენ კიდევ ბევრი გვაკლია, რომ შევეძლოს ჩვენს მრეწველობას უწოდოთ „საუცხოო მსხვილი სამანქანო ინდუსტრია", ჩვენ ჯერ კიდევ არა გვაქვს საკმაოდ ფართო „ელექტრონის მავთულების ქსელი". მაგრამ ლენინის „თუ" ახლა უფრო გაცილებით მეტად არის განხორციელებული, ვიდრე 8 წლის წინათ, იგი უკვე იწყებს რეალურად და დიდის შედეგებით (კოლექტივიზაცია) სახავს პარტიის სასოფლო ამოცანების ცვლილებებში. პარტია იწყებს სავაჭრო კავშირის ნაცვლად საწარმოო კავშირის უფრო და უფრო მეტი განმტკიცების პოლიტიკის წარმოებას და საბაზრო ურთიერთობას უფრო და უფრო მეტად სცვლის მრეწველობისა და მუშური სახელმწიფოს კავშირით სოფლის მეურნეობასთან (კონტრაქტაცია, სამანქანო-სატრაქტორო სადგურები და სხვ.). მაგრამ მემარჯვენე გადახრის იდეოლოგიას **არ ესმის** სოციალ-ეკონომიური გარდატეხანი და პარტიული ამოცანების შეცვლის საჭიროება. ლენინი და პარტია ყველა საკითხს დიალექტიკურად სწყვეტენ. ბუხარინი და მემარჯვენეები კი სქოლასტიკოსებად გამოდიან.

მესამე. რაც უნდა აღინიშნოს, როცა ლაპარაკია მემარჯვენე ოპორტუნისტების თეორეტიულ დასაყრდენზე, — ეს არის ამხ. ბუხარინის მიერ დიალექტიკურ მეთოდიდან გადახვევა ბევრს თავის ნაშრომში. თქვენ იცით, რომ ლენინი არა ერთხელ უსაყვედურებდა ბუხარინს, რომ მას არ შეუსწავლია და არც იცის დიალექტიკა, რომ ის ხშირად დიალექტიკურ მეთოდს სცვლის ეკლექტიზმით. თავისი შეცდომები დიალექტიკაში ამხ. ბუხარინმა საკმაოდ გამოამჟღავნა თავის ნაშრომებით, როგორიც არის „ისტორიულ მატერიალიზმის თეორია", „გარდამავალი პერიოდის ეკონომიკა" და სხვ.

ამრიგად ბუხარინმა და მისმა ჯგუფმა ბოლომდე უნდა გამოამჟღავნონ ყველა ძირითადი თეორეტიული შეცდომები, რომლებიც გაფანტულია ბუხარინის ნაშრომებში („ისტორიულ მატერიალიზმის თეორია", „გარდამავალი პერიოდის ეკონომიკა", „ლენინი, როგორც მარქსისტი", „გზა სოციალიზმისაკენ", „ეკონომისტის შენიშვნები", „პოლიტიკური ანდერძი" და სხვ.) და რომლებიც დღემდე მემარჯვენე ოპორტუნისტული იდეოლოგიის დასაყრდენს წარმოადგენენ. ამხ. ბუხარინმა უნდა აღიაროს, რომ ამ ნაშრომებში არის მთელი რიგი თეორეტიული შეცდომები, რომლებიც აუცილებლად ღებულობენ **ლენინიზმის მოძღვრების რევიზიის** მთლიან სისტემის ხასიათს და ეს შეცდომები მან უნდა გამოასწოროს. თუ იქნება დაცული ეს პირობაც, სამი ამხანაგის განცხადებას 25 ნოემბრის თარიღით თვითეული კომუნისტი შეხვდება ღრმა რწმენით, რომ ეს ამხანაგები საბოლოოთ უკუაგდებენ თავიანთ შეცდომებს.

დასკვნა

დასასრულ, ამხანაგებო, ნება მომეცით შევჩერდე საკავშირო კომპარტიის (ბ) ცეკას უკანასკნელ დირექტივაზე საკავშირო კომპარტიის (ბ) ამიერ-კავკასიის სამხარეო კომიტეტის მუშაობის შესახებ. ცეკას ეს დირექტივა უშუალოდ დაკავშირებულია იმ ამოცანებთან, რომლებიც გამომდინარეობენ ცეკას ნოემბრის პლენუმის გადაწყვეტილებებიდან. აი ეს დირექტივა (კითხულობს საკავშირო კომპარტიის (ბ) ცეკას დირექტივას ამიერ-კავკასიის სამხარეო კომიტეტის შემდგომი მუშაობის შესახებ).

ეჭვს გარეშეა, რომ ამ გადაწყვეტილებას ამიერ-კავკასიის პარტიული ორგანიზაციის და მთელი საბჭოთა ამიერ-კავკასიის განვითარებაში დიდი მნიშვნელობა აქვს. ის არის განვითარება პარტიის ყველა წინანდელ დადგენილებებისა ამიერ-კავკასიის ფედერაციის შესახებ მთელი ქვეყნის მეურნეობის სოციალისტურად გარდაქმნის ახალ ამოცანების მიხედვით. ის შეეფერება მომწიფებულ საჭიროებებს და ამიერ-კავკასიის კომუნისტურ ორგანიზაციების იმ სურვილს, საკითხის ისეთ დაყენებას ფედერაციის შესახებ, რომელიც მოცემული იყო ამიერ-კავკასიის კომუნისტურ პარტიების ცენტრალურ კომიტეტების უკანასკნელ გადაწყვეტილებებში.

ჩვენ ყველას ღრმად გვწამს, რომ **მხოლოდ იმ შემთხვევაში**, თუ ენერგიულად იქნა შესრულებული ცეკას ეს გადაწყვეტილება საკავშირო კომპარტიის (ბ) ამიერ-კავკასიის ორგანიზაციის ამოცანების შესახებ, — **ჩვენ შევსძლებთ ამიერ-კავკასიაში განვახორციელოთ პარტიის გენერალური ხაზი.** ამიერ-კავკასიის ორგანიზაციისათვის ცეკას ეს დირექტივა და ცეკას ნოემბრის პლენუმის უკანასკნელი გადაწყვეტილებები მჭიდროთ უკავშირდებიან ერთმანეთს.

ადვილი იქნება ცეკას ამ გადაწყვეტილების ცხოვრებაში გატარება? მოდით, ეხლავე გამოვუტყდეთ თავის-თავს და პირდაპირ უპასუხოთ ამ კითხვას: ადვილი არ იქნება! ბევრი შეგვხვდება სიძნელე და წინააღმდეგობა. მუშათა კლასის კლასობრივი მტრები, ყველა ჯურის ნაციონალისტები, — რუსი ველიკოდერჟავნიკები თავისებურად, ადგილობრივი ნაციონალისტები თავისებურად,— შეეცდებიან ყოველმხრივ ხელი შეგვიშალონ ამ გადაწყვეტილების ცხოვრებაში გატარების დროს. ისინი ყოველ ძალღონეს მიმართავენ, რათა ამ გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით **დაუპირისპირონ რესპუბლიკები ფედერაციის ხელმძღვანელ ცენტრებს, ერთმანეთს წაჰკიდონ და დაუპირდაპირონ რესპუბლიკები, დაასუსტონ ამიერ-კავკასიის ხელმძღვანელ ორგანოების ხელმძღვანელობა.**

ხოლო ამიერ-კავკასიის ყველა კომუნისტური ორგანიზაცია, ამიერ-კავკასიის თვითეული შეგნებული მუშა, ღარიბი და საშუალო გლეხი, პირიქით, ამ გადაწყვეტილებათა ნიადაგზე კიდევ მეტი წარმატებით იმუშავებენ ამიერ-კავკასიის ფედერაციის სოციალისტური განვითარებისა და აღორძინებისათვის, კიდევ უფრო განამტკიცებენ ეროვნულ მშვიდობიანობას საკავშირო კომპარტიის (ბ) ნაციონალური პოლიტიკის პრინციპების საფუძველზე. ჩვენ შევსძლებთ არა მარტო ჩვენი ძალების **კიდევ უფრო** შემჭიდროებას, ყველა კომუნისტების კიდევ მეტად შეკავშირებას ერთ ერთეულში, ამიერ-კავკასიის ერთ ბოლშევიკურ ორგანიზაციაში, არამედ აგრეთვე **კიდევ მეტად დავუახლოვებთ ერთმანეთს რესპუბლიკებს, განვამტკიცებთ ამიერ-კავკასიის პარტიულ და საბჭოთა ცენტრების ხელმძღვანელობას, კიდევ უფრო გავშლით ამიერ-კავკასიის ფედერაციის რესპუბლიკების სამეურნეო ინიციატივას და ფართო თვითმოქმედებას.**

განხორციელდება თუ არა ეს ამოცანა — ამიერ-კავკასიის ფედერაციის პარტიულ და საბჭოთა ცენტრების ხელმძღვანელ როლის განმტკიცება და ამავე დროს რესპუბლიკების თვითმოქმედების და ინიციატივის გაშლა? დიახ, განხორციელდება. ჩვენი მტრები ფიქრობენ, რომ ეს განუხორციელებელია, რატომ? იმიტომ, რომ ისინი ფედერაციის განმტკიცების ამოცანას უპირისპირებენ რესპუბლიკების მეურნეობისა და კულტურის განვითარება-აღორძინებას. რას ვამბობთ ჩვენ? ჩვენ, კომუნისტური პარტია, მუშათა კლასი, პირიქით, ვფიქრობთ: რესპუბლიკების განვითარება და განვითარება ამიერ-კავკასიის საბჭოთა ფედერაციისა, როგორც მთლიანი ერთეულის, — ეს არის ორი ამოცანა, რომლებიც არა თუ არ უპირდაპირდებიან ერთმანეთს, არამედ პირიქით, ამ ორი ამოცანის გადაჭრა შეუძლებელია, თუ ისინი ერთმანეთს მჭიდროთ არ დავუკავშირეთ.

აი, ამხანაგებო, ყველაფერი, რაც მე მინდოდა მეთქვა პარტიის საერთო ამოცანებზე და მოკლეთ იმ ახალ დიდ ამოცანებზე, რომლებიც ჩვენს წინაშე დასვა ცეკამ უკანასკნელ გადაწყვეტილებაში.

დიახ, სიძნელე ჩვენს წინაშე, რასაკვირველია, ბევრია. მაგრამ გვახსოვდეს, რომ პროლეტარიატის დიქტატურის ქვეყანაში ყოველი სიძნელე ყოველთვის „**წარმოშობს ახალ ძალებს, ჰქმნის ენერგიულ ახალ წყაროებს, სახავს ახალ გზებს**" ასე ასწავლიდა პარტიას ლენინი. და ჩვენ ამიერ-კავკასიის კომუნისტები შევსძლებთ მართლაც ვპოვოთ მუშების, ღარიბი და საშუალო გლეხების მასებში სოციალისტური მშენებლობის ახალი ასეული ათასი აქტიური მონაწილე, კიდევ უფრო ნაყოფიერი გავხადოთ მათი ბრძოლა და მუშაობა პარტიის ხელმძღვანელობით სამეურნეო მშენებლობის დარგში. ჩვენ კიდევ უფრო მჭიდროთ დაუკავშირდებით მასებს, კიდევ უფრო დავრაზმავთ პროლეტარიატის კლასობრივ აქტივობას და რევოლიუციონურ ალღოს, მის ხელმძღვანელ ორგანიზატორულ როლს. ჩვენ მივაღწევთ იმას, რომ მეურნეობის საკითხები, ამიერ-კავკასიის უდიდეს შესაძლებლობათა გაშლა სოციალიზმისათვის ბრძოლაში გახდეს ამიერ-კავკასიის თვითეულ ბოლშევიკის, თვითეულ მუშის, თვითეულ მშრომელის **უპირველეს საქმედ და მთავარ საზრუნავად**. ამ საქმეს უნდა შევსწიროთ ყველა ჩვენი ძალები (ტაში).

---

*) ნ. ბუხარინი, „ლენინი, როგორც მარქსისტი". სახელგამი, 1925 წ. გვ. 49—50.

*) ლენინი, ტ. XVIII, ნაწ. 1. გვ. 376—382. (ხაზი ჩემია... ა. კ.)

**) ბუხარინი, „Ленин, как марксист".

***) ლენინი, ტ. 18, ნაწ. 2, გვ. 39.

****) ლენინი, ტ. 18, ნაწ. 2. გვ. 56.

*****) ლენინი, ტ. XVIII, ნაწ. 1. გვ. 259.

*) ლენინი, ტ. XVIII, ნაწ. 1, გვ. 269. (ხაზგასმული ჩვენია—დ. გ.)

**) ლენინი, ტ. XVIII, ნაწ. 1, გვ. 380.

შვეციის კომპარტიის ყრილობა

სტოკჰოლმი, 4 დეკემბერი. შვეციის კომპარტიის ყრილობაზე პროფკავშირებისა და კომუნალური მუშაობის საკითხების შესახებ გაკეთებულმა მოხსენებებმა და ამ საკითხების ირგვლივ გამართულმა კამათმა ჩაიარა კომინტერნისა და პროფინტერნის ხაზისაკენ გადაჭრით შებრუნებისა და ცენტრალური კომიტეტის ოპორტუნისტული უმრავლესობის პოლიტიკისაგან გამიჯვნის ნიშან ქვეშ.

მომხსენებელმა პროფკავშირთა საკითხის შესახებ სილენმა ყრილობის განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია შეუკავშირებელ მუშებს, რომელთა რიცხვი შვეციაში 700.000-ს აღემატება. სილენს საჭიროდ მიაჩნია უკუგდებულ იქნას რენეგატების ილიუზია იმის შესახებ, ვითომ შესაძლებელია დაპყრობა პროფკავშირთა ბიუროკრატიული აპარატისა, რომელიც უკვე შეეხორცა ბურჟუაზიის სახელმწიფო აპარატს. კომპარტიის მუშაობის ცენტრად ქარხანა უნდა გადაიქცეს. საჭიროა, გერმანიის მაგალითის მიხედვით, ყოველ ქარხანაში შეიქმნას რევოლიუციონურ რწმუნებულთა ინსტიტუტი.

მომხსენებელმა კომუნალური მუშაობის შესახებ ტიუნელმა ჯამი გაუკეთა პარტიის ოპორტუნისტულ ხელმძღვანელობის შეცდომებს ამ საკითხში. კომუნისტური ფრაქციები თვითმმართველობებში მუშაობას აწარმოებდნენ დამოუკიდებლად და პარტიის კონტროლის გარეშე, კომფრაქციების მუშაობა რეფორმისტული ხასიათისა იყო, კომფრაქციები სოციალ-დემოკრატებთან ერთად მუშაობდნენ.

ყრილობამ კომუნალურ მუშაობაში დასახა ახალი რევოლიუციონური ხაზი, რომელიც დაკავშირებულია მესამე პერიოდის საერთო პირობებთან და მუშათა მასების კონკრეტულ ინტერესებთან.

ყრილობამ მოისმინა აგრეთვე მოხსენებები საორგანიზაციო საკითხისა და კომკავშირის შესახებ.

ყველა რეზოლიუცია მიღებულ იქნა ერთხმად. ცენტრალურ კომიტეტში არჩეულ იქნა 35 კაცი, რომელთა აბსოლიუტურ უმრავლესობას დაზგის მუშები შეადგენენ. (ადს).

ამერიკის კონგრესის გახსნა

კონგრესის გახსნა

ნიუ-იორკი, 4 დეკემბერი. ვაშინგტონში გაიხსნა შეერთებული შტატების კონგრესის მორიგი სესია. (ადს)

ჰუვერის მიმართვა კონგრესს

ნიუ-იორკი, 4 დეკემბერი. ჰუვერის მიმართვა კონგრესისადმი ჩერდება შეერთებული შტატების ურთიერთობაზე ლათინური ამერიკის სახელმწიფოებთან, მაგრამ არ იხსენიებს ურთიერთობას ევროპისა და აზიის სახელმწიფოებთან და საბჭოთა კავშირთან.

მიუთითებს რა იმაზე, რომ შეერთებული შტატების სამხედრო ხარჯები მიმდინარე წელს შეადგენს 730 მილიონ დოლარს, მიმართვა [illegible] საგრძნობათ სჭარბობენ ქვეყნიერების ყველაზე უფრო შეიარაღებულ ხალხების ასეთივე ხარჯებს".

მიმართვა იმედს გამოსთქვამს, რომ ლონდონის კონფერენცია საზღვაო განიარაღების საკითხზე ნაყოფს გამოიღებს და მიუთითებს, რომ თუ ამ კონფერენციაზე შეთანხმება არ მოხდა, შეერთებული შტატები უახლოესი 6 წლის განმავლობაში საზღვაო შეიარაღებაზე დახარჯავს 1.200.000.000 დოლარზე მეტს.

შეერთ. შტატების მიმართ სახელმწიფოთა დავალიანების საკითხზე მიმართვაში ნათქვამია: „შეერთებული შტატების მიმართ უცხოეთის სახელმწიფოთა დავალიანების პრობლემა ამჟამად გადაჭრილია, რუსეთისა და სომხეთის

დახმარება „ლიუმანიტე"-ს

პარიზი, 4 დეკემბერი. „ლიუმანიტე" ათავსებს „ლენინგრადსკაია პრავდა"-ს დეპეშას მუშებს შორის გაზეთისათვის დახმარების შეგროვების შესახებ (ორ დღეში 20.000 ფრანკზე მეტი შეგროვდა). „ლიუმანიტე" მხურვალედ ესალმება „ლენინის ქალაქის გმირ მუშების მიერ გამოჩენილ საერთაშორისო პროლეტარული სოლიდარობის მშვენიერ აქტს".

„ლიუმანიტე"-ს სასარგებლოდ თანხების შეგროვება განსაკუთრებით ფართოდ გაიშალა საფრანგეთის პროვინციაში. უკვე შეგროვილია 1.200.000 ფრანკი. (ადს)

მელითონეთა გაფიცვა

პარიზი, 4 დეკემბერი. გიზში მელითონენი განაგრძობენ გაფიცვას. სტრეიკბრეხერების რიცხვი ყოველდღე მცირდება. მიუხედავად იმისა, რომ მუშათა უბანში თავი მოუყარეს პოლიციის დიდ ძალებს, ყოველდღე იმართება მიტინგები და დემონსტრაციები, რომლებსაც აწყობენ უნიტარული პროფკავშირები და კომპარტია. (ადს)

საკ. ა. ლ. კ. ცეკას პლენუმი

მოსკოვი, 5 დეკემბერი. ამხ. კოსარევის მოხსენების გარშემო გამართულ კამათში გამოვიდა ს.მ.უ. საბჭოს წარმომადგენელი ამხ. პანკრატოვი, რომელმაც მოიყვანა აღწერის ცნობები, საიდანაც სჩანს, რომ ახალგაზრდობის ხვედრითი წონა წარმოებაში თვალსაჩინოდ გაიზარდა. დონბასის მაღაროებში მუშების 44 პროცენტს შეადგენენ ახალგაზრდები 24 წლის ჰასაკამდე, ლენინგრადის ლითონის მრეწველობაში ახალგაზრდები შეადგენენ 30,4 პროცენტს, ივანოვო-ვოზნესენსკის ოლქის საფეიქრო მრეწველობაში — 21,6 პროცენტს. ზოგიერთ ახალ საწარმოებში, მაგალითად, როსტოვის სასოფლო-სამეურნეო მანქანების ქარხანაში, ახალგაზრდობის შემადგენლობა 60 პროცენტს აღწევს. ეს ციფრები კომკავშირს აკისრებენ უდიდეს პასუხისმგებლობას სამეურნეო ცხოვრებაში მონაწილეობისათვის. მუშა-ახალგაზრდობის შორის დიდ პროცენტს შეადგენენ გლეხთა ღარიბი და წვრილ-ბურჟუაზიული ინტელიგენციიდან გამოსული ახალგაზრდები: ეს ნიადაგს უქმნის ყოველგვარ ოპორტუნისტულ მერყეობას, ამქრულ და მტაცებლურ განწყობილებას. კომკავშირმა უნდა გააძლიეროს აღმზრდელობითი მუშაობა ახალ მუშებს შორის. მახლობელი ოთხი წლის განმავლობაში საფაბრიკო-საქარხნო სკოლები წარმოებას მისცემენ 400.000 ახალ მუშას. ეს კადრები უნდა იდგნენ ჩვენი ამოცანების სიმაღლეზე. არაკვალიფიციურ მუშებს შორის ახალგაზრდობა 42,8 პროცენტს შეადგენს. უნდა მივაღწიოთ ისეთ მდგომარეობას, რომ ხუთწლედის დამლევს არც ერთი ახალგაზრდა მუშა არ იყოს ტექნიკურად უცოდინარი.

შემდეგ ვრცელი სიტყვა წარმოსთქვა „ზერნოტრესტი"-ს თავმჯდომარემ ამხ. კალმანოვიჩმა. იგი შეეხო კომკავშირის როლს მსხვილი საბჭოთა მეურნეობების მშენებლობაში.

კომკავშირმა უნდა განამტკიცოს უმაღლესი სასწავლებლები, რომლებიც სპეციალისტებს ამზადებენ მსხვილ მეურნეობებისათვის, და ფართოდ უნდა გაშალოს მუშაობა ტრაქტორისტების, მექანიკოსების და სხვ. კურსების შესავსებად. ამჟამად კურსებზე მეცადინეობს 20.000 ტრაქტორისტი, აქედან 50 პროც. კომკავშირელი უნდა იყოს.

სიტყვები წარმოსთქვეს აგრეთვე ამხ. კამენევამ (საზ-ბა „ტექნიკა მასებს"), ოვჩინიკოვამ (სალკკ ც. კ.-ის სოფლად მუშაობის განყოფილება) და სხვა დელეგატებმა.

შემდეგ სალკკ ძირითად ამოცანების შესახებ მოხსენება გააკეთა ამხ. სალტანოვმა.

ბალტიის ფლოტის გემები უცხოეთში

მოსკოვი, 5 დეკემბერი. ბალტიის ფლოტის გემების ცურვა უცხოეთის წყლებში მშვიდობიანად მიმდინარეობს. ჯავშნოსანი „პარიზის კომუნა" და კრეისერი „პროფინტერნი" კრონშტადტიდან გასვლის შემდეგ, 23 ნოემბერს, სათბობი მასალის მისაღებად ერთი დღე-ღამით შეჩერდნენ ბალტიის ზღვის დასავლეთ ნაწილში. 26 ნოემბერს ეს გემები შევიდნენ ჩრდილოეთის ზღვაში. აქ 28 ნოემბერს ცურვა მოუხდათ სუსხიან მოპირისპირე ქარში, რომლის ძალაც 7 ბალს უდრიდა. ეს ქარი პირველი შემოწმება იყო იმისა, თუ რამდენად არიან გემები მზად ოკეანეში საცურავად. გემების პირადმა შემადგენლობამ კარგი საზღვაო თვისებები გამოიჩინა, გემების მექანიზმები შეუფერხებლად მუშაობდნენ. სათბობი მასალის შემდგომი მიღება ნავთსადგურში შეუსვლელად შემდგომი მიღება მოხდა, ტრანსპორტებიდან, ინგლისის არხში. მიუხედავად ცურვის მძიმე პირობებისა და სათბობი მასალის გაშლილ ზღვაზე მიღებისა, პირადი შემადგენლობა მხნედ და მზად არის იმ ქარიშხლების შესახვედრად, რაც ამ დროის თითქმის აუცილებელია ოკეანეში. ასეთი ქარიშხლების დროს ცურვა საუკეთესო საზღვაო სკოლას წარმოადგენს და კარგ გამოცდილებას შესძენს ბალტიის მეზღვაურებს. ატლანტიის ოკეანეს გარდა, რაზმს განზრახვა აქვს ეწვიოს ხმელთაშუა ზღვას, რის გამოც, ალბად, საჭირო იქნება იტალიის ერთ-ერთ ნავთსადგურში შესვლა პირადი შემადგენლობის დასასვენებლად და სათბობი მასალის მისაღებად.

პურის დამზადება უკრაინაში

გეგმა შესრულებულია 19,3 პროც. [illegible] დაჭარბებით

ხარკოვი, 5 დეკემბერი. უკრაინაში 1-ლ დეკემბრისათვის სასოფლო-სამეურნეო კულტურების წარმოებათა დამზადებამ მიაღწია 119,3 პროცენტს, ხოლო მარტო სასურსათო კულტურების ნაწარმოებთა დამზადებამ — 104,2 პროცენტს. (ადს).

საბჭოთა კავშირის ცაკის სესია

1929—30 წლის საკონტროლო ციფრები

მომხსენებელთა საბოლოო სიტყვები

მოსკოვი, 5 დეკემბერი. ამხ. ბრიუხანოვმა საბოლოო სიტყვაში უპასუხა ორატორებს, რომლებიც მიუთითებდნენ, რომ სასოფლო მეურნეობისათვის, საცდელ საქმისა და მესაქონლეობისათვის გადადებული თანხები არ არის საკმაო.

„საცდელ საქმეზე, აგრონომიულ დახმარებაზე და ზოოტექნიკაზე სახელმწიფო ბიუჯეტით გადადებულია 120 მილიონი მანეთი, ე. ი. 72 პროც.-ით მეტი, ვიდრე წარსულ წელს. მესაქონლეობისათვის გადადებულია 800 მილიონი მანეთი, საბიუჯეტო კომისიამ ამ თანხას დაუმატა 8 მილიონი მანეთი და იძებნება ახალი წყაროები დამატებითი თანხების გასაცემად.

ეროვნებათა საბჭო თავის სხდომებზე დიდ ყურადღებას უთმობდა რუსეთის ავტონომიური რესპუბლიკების ბიუჯეტებს, მიუთითებდა მათ სუსტ განვითარებაზე. სინამდვილეში კი რუსეთის ავტონომიური რესპუბლიკების ბიუჯეტები მიმდინარე წელს გაიზრდება 33 პროცენტით. უფრო საფუძვლიანია საყვედურები ადგილობრივი ბიუჯეტის არასაკმაო განვითარებაზე. ადგილობრივი ბიუჯეტის 25 პროც. განვითარება, რომელიც საკონტროლო ციფრებით არის გათვალისწინებული, არასაკმაოდ უნდა ჩაითვალოს. უნდა გამოინახოს შემოსავლის ახალი წყაროები მისი გაძლიერების მიზნით".

ამხ. კრჟიჟანოვსკი თავის საბოლოო სიტყვაში მიუთითებს, რომ გეგმიანი მუშაობა მტკიცედ უნდა იქნეს დაკავშირებული ჩვენს სტატისტიკასთან. სტატისტიკა უნდა იძლეოდეს არა დაგვიანებულ ცნობებს, არამედ უნდა წარმოადგენდეს მტკიცე დასაყრდენს გეგმების შედგენის დროს.

ამხ. კრჟიჟანოვსკი აღნიშნავს შედგენილ სამეურნეო გეგმების ცხოვრებაში გატარების განსაკუთრებულ სიძნელეს. მეურნეობის მაღალ ტექნიკურ ბაზაზე გარდაქმნის უდიდესი ამოცანა აღვილდება. ერთის მხრივ ჩვენ ამ წელს, წარსულთან შედარებით, ვაორკეცებთ კაპიტალური მშენებლობისათვის გადადებულ თანხებს, მეორე—პრაქტიკულად ვუდგებით 26 მილიონ გაფანტულ ინდივიდუალურ გლეხურ მეურნეობის კოლექტივიზაციის საკითხს. სასოფლო მეურნეობის მოქცევა საერთო გეგმიან მეურნეობაში, მთელ საგეგმო მუშაობას შესაფერ დონეზე აყენებს. (ადს).

დამკვრელი ბრიგადების ყრილობა

მოსკოვი, 5 დეკემბერი. დღეს კავშირთა სახლში გაიხსნა დამკვრელი ბრიგადების სრულიად საკავშირო ყრილობა. ყრილობა გასტანს 8 დღეს. მის მუშაობაში მონაწილეობას ღებულობს 800 დელეგატი.

ყრილობა მოისმენს 4 მსხვილ სამრეწველო დარგის პატაკს. 6 დეკემბერს ყრილობა მოისმენს საკავშირო ს. მ. უ. საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოს და ა.ლ.კ.კ. ცეკას მოხსენებებს; კამათის შემდეგ ყრილობა დაიყოფა სექციებად მსხვილ სამრეწველო დარგების მიხედვით. (ადს)

ახალი დანიშვნები აფხაზეთში

სოხუმი, 5 დეკემბერი. აფხაზეთის სახკომსაბჭომ რესპუბლიკის პროკურორის მოადგილეს თანამდებობაზე წამოაყენა გუდაუთის და გაგრის მაზრების უფრ. პროკურორი ამხ. ტარბა, აფხაზეთის სახელმწიფო სავაჭრო საპაიო ამხანაგობის თავმჯდომარედ— დაწინაურებულია მუშა ამხ. კაროტიძე, სახელმწიფო ბანკის, სოხუმის განყოფილების მმართველად—ამხ. ჩუკბარი, აფხაზეთის სასოფლო-სამეურნეო ბანკის მმართველად —ამხ. თანია, საკურორტო სამმართველოს უფროსად —ამხ. შამბა. (ადს)

თბილისის პროლეტარიატის პროტესტი

იმპერიალისტების თავხედური გამოსვლის წინააღმდეგ

მსოფლიო ბურჟუაზია ცდილობს ჩინეთ-საბჭოთა კავშირის მოლაპარაკების ჩაშლას

თბილისის მუშებმა გუშინ მთელ რიგ სასწრაფო მიტინგებზე გამოიტანეს აღშფოთებით აღსავსე რეზოლიუციები იმპერიალისტური სახელმწიფოების ცდის წინააღმდეგ ჩაშალონ ჩინეთ-საბჭოთა კავშირის შეთანხმება.—თბილისის მუშები აცხადებენ, რომ მტკიცედ გაატარებენ საბჭოთა ხელისუფლების ყოველ ღონისძიებებს

ღირსეული პასუხი გავსცეთ იმპერიალისტების პროვოკაციას

სტალინის სახელობის სართქლმავ[illegible]

[illegible] მა ამცნო სტალინის სახელობის სართქლმავლო ქარხნის მუშებს სამუშაო დღის დამთავრება.

მთელი ქარხანა წუთით დადუმდა. საამქროებიდან გამოსული მუშები თავს იყრიან ქარხნის ეზოში სახელდახელო მიტინგში მონაწილეობის მისაღებად, რომ ამცნონ მსოფლიოს თავის გულისწყრომა არამკითხე იმპერიალისტების ჩვენს შინაურ საქმეებში ჩარევის გამო.

ქარხკომის მდივანი ამხ. კობახიძე ამცნობს კრებას ამერიკის, ინგლისის და საფრანგეთის მთავრობების ჩინეთ-საბჭოთა კონფლიქტში ჩარევის ამბავს.

ცნობა უდიდეს გულისწყრომას იწვევს მუშებში. „ძირს იმპერიალისტები", „ზიზღი მათ". „ნებას არავის მივსცემთ ჩაერიოს ჩვენს საქმეში"—აცხადებენ მუშები.

მოხსენების დასასრულ კრებამ მიიღო სათანადო რეზოლიუცია.

— „იმ მომენტში—ნათქვამია რეზოლიუციაში,—როდესაც ჩინელ გენერლებმა მიიღეს ძლიერი გაკვეთილი შორეულ-აღმოსავლეთის წითელ არმიისაგან, ისინი იძულებული გახდნენ სასწრაფოდ მოეგვარებიათ შექმნილი კონფლიქტი. მაგრამ მსოფლიო მტაცებლები—ამერიკის, ინგლისის და საფრანგეთის მთავრობების სახით, ლამობენ ხელი შეუშალონ სამშვიდობო მოლაპარაკებას ჩვენი და ჩინეთის მთავრობებს შორის. იმპერიალისტები—ინგლისის „მუშათა მთავრობასთან" ერთად სცდილობენ, რომ მათი კარნახით გამოწვეული კონფლიქტი აღმოსავლეთ-ჩინეთის რკინის გზაზე უფრო მეტად გააღრმაონ და მით მოგვახვიონ თავზე ომი. მათ უხეშ ცდამ საბჭოთა მთავრობისაგან მიიღო სათანადო პასუხი. დაე ახსოვდეთ ამ „მშვიდობიანობის" მოყვარულთ, რომ ჩვენ არ ვსაჭიროებთ მათ შუამდგომლობას! დაე ახსოვდეთ მათ, რომ ჩვენ ყოველ წუთს მზად ვართ იარაღით ხელში დავიცვათ ჩვენი სოციალისტური სამშობლოს საზღვრები. რათა განვამტკიცოთ წითელი არმიის სამხედრო ძლიერება, ჩვენ უფრო ინტენსიურად ჩავებმით ქვეყნის გასამხედროების საქმეში. რათა უზრუნველვჰყოთ წითელი ზურგის ძლიერება, ჩვენ უფრო მტკიცედ შეუდგებით შრომის ნაყოფიერების ზრდას და სოციალისტურ მშენებლობის პოზიციების გამაგრებას.

გაუმარჯოს საბჭოთა კავშირის მთავრობას—მშვიდობიანობის ნამდვილ მატარებელს!

გაუმარჯოს შორეულ-აღმოსავლეთის წითელ მხედრებს!

ძირს მსოფლიო მტაცებლები—ომის პროვოკატორები!

სად. ნავთლუღი

სადგურ ნავთლუღის მუშა-მოსამსახურეთა საერთო კრება სასტიკ პროტესტს აცხადებს ამერიკის, ინგლისის და საფრანგეთის იმპერიალისტების პროვოკაციული გამოსვლების წინააღმდეგ. მუშები აღშფოთებას გამოსთქვამენ იმის გამო, რომ როდესაც ჩინეთის იმპერიალისტებმა დაიკავეს აღმოსავლეთ ჩინეთის რკინის გზა და თავს ესხმოდნენ საბჭოთა კავშირის საზღვრებს, მსოფლიო იმპერიალისტები ამას არ სთვლიდნენ კელოგის პაქტის დარღვევად და არ იცავდნენ საბჭოთა კავშირს, მაგრამ როდესაც საბჭოთა კავშირს და ჩინეთს შორის მიღწეულია შეთანხმება, ისინი აწყობენ პროვოკაციულ გამოსვლებს ნანკინის იმპერიალისტების დასაცავად. სადგურ ნავთლუღის მუშა-მოსამსახურეები საბჭოთა კავშირის მუშებთან ერთად აცხადებენ, რომ ჩინეთ-საბჭოთა კავშირის ურთიერთ დამოკიდებულება მოგვარდება მხოლოდ ორივე მხარის თანხმობით სხვა სახელმწიფოების ჩარევის გარეშე. ჩვენ არავის მივცემთ უფლებას ჩაერიოს ამ მოლაპარაკებაში და გასწიოს შუამავლობა. საბჭოთა მთავრობისაგან მოვითხოვთ, რათა საკადრისი პასუხი გასცეს მსოფლიო იმპერიალიზმის პროვოკაციულ გამოსვლებს საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ, ჩვენ მუშები ვაცხადებთ, რომ როგორც ყოველთვის, ეხლაც მზათა ვართ დავიცვათ მსოფლიოში ერთად-ერთი სოციალისტური სახელმწიფო იმპერიალიზმისაგან.

—:—

ოქტომბრის მონაპოვართა სადარაჯოზე

(აბრეშუმის საქსოვი ფაბრიკა)

აბრეშუმის საქსოვ ახალ ფაბრიკაში 4 დეკემბერს შესდგა საწარმოო მიტინგი, რომელზედაც მოსმენილ იქნა ამხ. ა. რამიშვილის ინფორმაცია ჩინეთ-საბჭოთა კავშირის მოლაპარაკების შესახებ. მომხსენებელმა კრებას გააცნო, რომ ამერიკის, ინგლისის და საფრანგეთის იმპერიალისტებს სურთ ჩაშალონ ჩინეთისა და საბჭოთა კავშირის მოლაპარაკება. ჩინეთის მთავრობა დასთანხმდა აღმოსავლეთ ჩინეთის რკინის გზაზე 1924 წლის შეთანხმების განხორციელებას. ეს არ მოეწონა იმპერიალისტური ქვეყნის მესვეურებს—ამერიკას, საფრანგეთს და ინგლისს და ყოველგვარ საშუალებას მიმართავენ ჩაშალონ ეს მოლაპარაკება.

აბრეშუმის საქსოვი ახალი ფაბრიკის მუშები აღშფოთებით შეხვდნენ ამ ცნობას და განაცხადეს:

— ჩვენ, მუშებს, არ გვეშინია ბურჟუაზიულ სახელმწიფოების მუქარის. ხელისუფლების გამოძახილზე სათანადო პასუხს გავსცემთ თავდამსხმელებს. იმპერიალიზმის ყოველგვარ გამოლაშქრებას ჩვენ ვუპასუხებთ სოციალისტური მშენებლობის კიდევ უფრო განმტკიცებით.

— არ ვსაჭიროებთ იმპერიალისტების „შუამავლობას"

(პოლიგრაფტრესტის ლითოგრაფია)

პოლიგრაფტრესტის ლითოგრაფიის მუშებმა მოისმინა ცნობა ამერიკის, საფრანგეთის და ინგლისის მთავრობათა განცხადების შესახებ ჩინეთ-საბჭოთა კავშირის კონფლიქტის ირგვლივ.

პოლიგრაფტრესტის ლითოგრაფიაში მომუშავე მუშები გამოსთქვამენ ღრმა აღშფოთებას იმპერიალისტურ სახელმწიფოთა მიმართ, რომლებიც უსირცხვილოთ ცდილობენ დაამყარონ „მშვიდობიანობა" საბჭოთა კავშირის და ჩინეთს შორის.

ჩვენ არ ვსაჭიროებთ მტაცებელთა „მზრუნველობას" და დახმარებას—აცხადებენ მუშები,—**ჩინეთ-საბჭოთა კავშირის კონფლიქტის მოგვარების საქმეში.**

— ჩვენ, მუშები, ვაცხადებთ, რომ არვის მივსცემთ უფლებას ჩაერიოს ამ მოლაპარაკებაში. მთავრობისაგან მოვითხოვთ, რომ მან საკადრისი პასუხი გასცეს მსოფლიო იმპერიალიზმის პროვოკაციულ გამოსვლებს საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ.

დასასრულ, მუშებმა მტკიცე პირობა დასდეს, რომ ისინი მედგრად დაიცავენ სოციალისტურ სამშობლოს და არავის მისცემენ ნებას ხელი შეუშალონ საბჭოთა კავშირს სოციალისტურ მშენებლობაში.

—:—

ვუერთდებით მუშათა პროტესტებს

(რკინის გზის მე-4 შრომის სკოლა)

გუშინ, დღის 8 საათზე, შესდგა თბილისის რკინის გზის მე-4 შრომის სკოლის პედაგოგიურ-ტექნიკური პერსონალისა და მე-8, მე-9 და მე 10 ჯგუფების გაერთიანებული კრება. კრებამ მოისმინა ამხ. **დანიელ ხვიჩიას** მოხსენება ჩინეთ-საბჭოთა კავშირის მოლაპარაკებაში იმპერიალისტური სახელმწიფოების ჩარევის შესახებ. კრების მიერ ერთხმად მიღებულ რეზოლიუციაში ნათქვამია: „ჩვენ ღრმა აღშფოთებას გამოვსთქვამთ ამერიკის, ინგლისისა და საფრანგეთის იმპერიალისტების პროვოკაციული გამოსვლის გამო. კრება აცხადებს, რომ ჩინეთ-საბჭოთა კავშირის კონფლიქტის მოგვარება შეიძლება იმპერიალიზმის გარეშე და საბჭოთა კავშირი არ საჭიროებს მათ შუამდგომლობას. კრება ერთსულოვნად აღნიშნავს, რომ ის მზად არის დაიცვას საბჭოთა კავშირი. თავდაცვის გაძლიერებით უპასუხოთ თავხედ იმპერიალისტების ზრახვებს.

დასასრულს რეზოლიუციაში ნათქვამია: „თუ საჭიროება მოითხოვს თბილისის რკინის გზის მე-4 სკოლა შექმნის მოხალისეთა რაზმს და იარაღით ხელში ჩაებმება წითელი არმიის რიგებში საბჭოთა ქვეყნის დასაცავად".

მე-33 შრომის სკოლა

გუშინ, 5 დეკემბერს, თბილისის მე-33 ათწლიანი შრომის სკოლის მასწავლებელთა და მოწაფეთა საერთო კრებაზე ჩინეთ-საბჭოთა კავშირის მოლაპარაკების და იმპერიალისტური ქვეყნების ამერიკის, საფრანგეთის და ინგლისის მთავრობების განცხადების შესახებ მოხსენება გააკეთა ამხ. **ს. ბერიძემ**. მომხსენებელმა კრებას გააცნო ჩინეთისა და საბჭოთა კავშირის მოლაპარაკება და აღნიშნა, რომ ამერიკის, საფრანგეთის და ინგლისის იმპერიალისტებს სურთ ხელი შეუშალონ ჩინეთსა და საბჭოთა კავშირს შორის შეთანხმების მიღწევას.

მოხსენების შემდეგ კრებამ ერთხმად მიიღო რეზოლიუცია, რომელშიაც ნათქვამია, რომ მოწაფეები—პედაგოგიური პერსონალთან ერთად პარტიის და ხელისუფლების გამოძახილზე მზად არიან დაიცვან მსოფლიოში ერთად ერთი სოციალისტური სახელმწიფო—იმპერიალიზმის ყოველგვარ თავდასხმისაგან.

—:—

მზად ვართ მოვიგერიოთ იმპერიალიზმის შემოტევა

(საქ. ფინსახკომი)

საქ. ფინსახკომის მუშა-მოსამსახურეთა საერთო კრებამ, რომელსაც დაესწრო თანამშრომელთა ასი პროცენტი, მოისმინა ამხ. ნ. ტრაპაიძის ინფორმაციული მოხსენება ამერიკის, ინგლისის და საფრანგეთის მთავრობების განცხადების შესახებ.

კრებამ ერთხმად მიიღო რეზოლიუცია, რომელშიაც ნათქვამია, რომ ამერიკის, ინგლისის და საფრანგეთის მესვეურების ნაბიჯები აშკარად [illegible] იმას, რომ გაამწვავონ საერთაშორისო მდგომარეობა. მათი ჩინეთ-საბჭოთა კავშირის მოლაპარაკებაში ჩარევის წიფოთა შორის მოლაპარაკება. იმპერიალისტების საპასუხოთ კომისარიატის მთელი შემადგენლობა—მუშა-მოსამსახურეები — შედიან წევრებად თავდაცვა-ავიაქიმის საბჭოში.

ფინსახკომის თანამშრომლები ფიცს სდებენ, რომ ისინი ყოველ წუთს მზად იქნებიან პირველ გამოძახებისთანავე დადგენ იარაღის ქვეშ და დაიცვან საბჭოთა კავშირის საზღვრები.

ჩვენ გვსურს მშვიდობიანობა და არ წამოვეგებით იმპერიალისტების ანკესზე

(თბილისის სასაკლაო)

გუშინ, დღის 8 ნახ. საათზე, თბილისის [illegible] სასაკლაოს და „სოფლის კავშირი"-ს მუშა-მოსამსახურეთა სახელდახელო მიტინგმა მოისმინა ამხ. თოდაძის ინფორმაციული მოხსენება ამერიკის, საფრანგეთის და ინგლისის მთავრობების განცხადების შესახებ ჩინეთ-საბჭოთა კავშირის კონფლიქტის გარშემო.

მოხსენების შემდეგ სიტყვებით გამოვიდნენ მუშები: ამხ. მარქაროვი, ელიაროვი და წითელი არმიელი დოშავური, ამხანაგები აცხადებდნენ: ჩვენ არ გვესაჭიროება იმპერიალისტების შუამდგომლობა ჩინეთ-საბჭოთა კავშირის კონფლიქტის მოგვარებაში; მსოფლიო იმპერიალისტების პროვოკაციულ გამოსვლებს სახელოვანი წითელი არმია ყოველთვის გასცემს ჯეროვან პასუხს.

კრებამ მიიღო საპროტესტო რეზოლიუცია, რომელშიაც ნათქვამია: თუ საჭიროებამ მოითხოვა, სასაკლაოს და „სოფლის კავშირი"-ს მუშა-მოსამსახურეები იარაღით ხელში ჩაებმებიან მებრძოლთა მოწინავე რიგებში ოქტომბრის რევოლუციის დასაცავად.

—:—

სახელოვნად დავიცავთ სოციალისტურ სამშობლოს

(რკინის გზის მე-10 სკოლა)

რკინის გზის მეათე შრომის სკოლის პედაგოგიურ და ტექნიკურ პერსონალმა მოისმინა ინფორმაცია იმპერიალისტური ქვეყნების—ინგლისის, საფრანგეთის და ამერიკის მთავრობების ჩინეთსა და საბჭოთა კავშირს შორის მოლაპარაკების ჩაშლის ცდების შესახებ.

სკოლის პედაგოგიური და ტექნიკური პერსონალი აღშფოთებით შეხვდა იმპერიალისტების ცდებს. იმ დროს, როდესაც საბჭოთა ხელისუფლება ჩაბმულია სოციალისტურ მშენებლობაში, იმპერიალისტები ინგლისის „მუშათა მთავრობასთან" ერთად ხელს უშლის ჩვენს მშვიდობიან მშენებლობას და სურთ ყაჩაღურ ომში ჩაითრიონ საბჭოთა კავშირი.

— ჩვენ, პედაგოგიური პერსონალი, მზათა ვართ აქტიური მონაწილეობა მივიღოთ სოციალისტური ქვეყნის წითელ საზღვრების დასაცავად. მუშურ-გლეხური ხელისუფლება ნებას არავის არ მისცემს ჩაერიოს მის შინაურ საქმეებში—აცხადებენ პედაგოგები.

კრებამ ერთხმად მიიღო სათანადო რეზოლიუცია, რომელშიაც ნათქვამია, რომ ჩვენ პედაგოგები, როგორც ერთი კაცი, საჭირო დროს იარაღით ხელში გამოვალთ, რათა საკადრისი პასუხი გავსცეთ თავდამსხმელებს.

—:—

იმპერიალისტების შემოტევას ვუპასუხებთ სოც. მშენებლობის გაძლიერებით

ლენინის რაიონის ერთიან პარტიული სკოლის ხელმძღვანელების და მამასახლისების გაერთიანებულ კრებამ მოისმინა რა ამხ. ამოსოვის ინფორმაციული მოხსენება ამერიკის, საფრანგეთის და ინგლისის ჩინეთ-საბჭოთა კონფლიქტში პროვოკაციულად ჩარევის შესახებ, აღშფოთება გამოსთქვა აღნიშნულ იმპერიალისტების ჩვენს შინაურ საქმეებში უხეშად ჩარევის გამო და აღნიშნავს, რომ იმპერიალისტების საპასუხოთ ჩვენ კიდევ მეტად გავაძლიერებთ ქვეყნის თავდაცვის უნარიანობას და აქტიურად ჩავებმებით სოციალისტურ სახელმწიფოს მშენებლობაში. იმპერიალისტებს ჩვენ არ მივსცემთ უფლებას უხეშად ჩაერიონ ჩვენს შინაურ საქმეებში. კრება ფიცს სდებს, რომ საჭირო დროს, როგორც ერთი კაცი, ბრძოლის ველზე გამოვა და რისხვას დასცემს ჩვენს საზღვრებზე თავდამსხმელ იმპერიალისტებს კონტრ-რევოლიუციონურ ბანდებს.

—:—

სტამბის მუშების პროტესტი

მესამე სტამბა

გუშინ, 5 დეკემბერს, სამუშაოს დამთავრებისთანავე შესდგა პოლიგრაფტრესტის მესამე სტამბის მუშა-მოსამსახურეთა სახელდახელო კრება, რომელმაც მოისმინა ამხ. **მანჯგალაძის** მოხსენება მსოფლიო იმპერიალიზმის საბჭოთა კავშირის შინაურ საქმეებში ჩარევის შესახებ. კრებაზე დამსწრე მუშებმა აღნიშნეს, რომ იმპერიალისტ-მტაცებლების უკანასკნელი ნოტა წარმოადგენს მათ აშკარა ჩარევას საბჭოთა კავშირის შინაურ საქმეებში. „მშვიდობიანობის" ნიღაბით კაპიტალისტებს სურთ უფრო მეტად გაართულონ საბჭოთა კავშირის დამოკიდებულება ჩინეთთან და ამით შეაფერხონ საბჭოთა რესპუბლიკების სოციალისტური მშენებლობა.

მუშები აღნიშნავენ, რომ იმპერიალისტური სახელმწიფოების პროვოკაციული გამოსვლები [illegible] პროლეტარულ რევოლუციის გასამარჯვებლად მსოფლიოში. საბჭოთა კავშირის პროლეტარიატი ყოველთვის იბრძოდა მშვიდობიანობისათვის და იბრძოლებს დღესაც;

იმპერიალისტური სახელმწიფოების გამოსვლა ისეთ მომენტში, როდესაც წარმატებით მიმდინარეობს საბჭოთა კავშირის მოლაპარაკება მუკდენთან, წარმოადგენს მორიგ პროვოკაციულ გამოსვლას საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ.

— **ჩვენ ვიძლევით მტკიცე სიტყვას**, —ნათქვამია მოხსენების ირგვლივ მიღებულ რეზოლიუციაში,—**რომ პირველ დაძახებისთანავე, ყველანი როგორც ერთი კაცი გამოვალთ ბრძოლის ველზე პროლეტარული რევოლიუციის სამშობლოს — საბჭოთა კავშირის დასაცავათ.**

მეხუთე სტამბა

პოლიგრაფტრესტის მე-5 სტამბის მუშა-მოსამსახურეთა სახელდახელო მიტინგმა, გუშინ, მუშაობის დამთავრების შემდეგ მოისმინა ამხ. **აკ. ჟუჟუნიას** საინფორმაციო მოხსენება ჩინეთ-საბჭოთა კონფლიქტის მოგვარებაში იმპერიალისტური სახელმწიფოების ჩარევის ცდების შესახებ. მომხსენებელმა მიტინგს გააცნო ჩინეთ-საბჭოთა კონფლიქტის წარმოშობის მიზეზები, წითელ არმიის მიერ მიღებული თავდაცვითი ზომები, მუკდენის ხელისუფლებასთან მოლაპარაკების მსვლელობა და ამ მოლაპარაკებაში ჩარევის მიზნით იმპერიალისტური სახელმ. (ამერიკა, ინგლისი, საფრანგეთი) მიერ გამოქვეყნებული დეკლარაციის ნამდვილი მიზნები. აზრთა გაცვლა-გამოცვლის შემდეგ მიტინგმა ერთხმად მიიღო შემდეგი რეზოლიუცია: მოისმინა რა მოხსენება იმპერიალისტურ სახელმწიფოების მიერ საბჭოთა მთავრობისადმი გადაცემული ნოტის შესახებ, მე-5 სტამბის მუშა-მოსამსახურეთა მიტინგი აღნიშნავს: საბჭოთა კავშირსა და ჩინეთს შორის არსებული კონფლიქტის მოსაგვარებლად იმპერიალისტური სახელმწიფოების ჩარევა არის აქტიური ცდა ზეგავლენა მოახდინონ საბჭოთა მთავრობაზე და ამითი აღმოუჩინონ დახმარება თავის აგენტებს—ჩინეთის თეთრგვარდიელებს. ჩვენ მოვითხოვთ მუშურ-გლეხური ხელისუფლებისაგან, მომავალშიაც მიიღოს გადამჭრელი ზომები საბჭოთა რესპუბლიკების დაცვისათვის და არ დაუშვას უცხო სახელმწიფოთა ჩარევა ჩინეთ-საბჭოთა კავშირის კონფლიქტის მოგვარების საქმეში, ვინაიდან კონფლიქტის მოგვარება შესაძლებელია მხოლოდ უშუალო მოლაპარაკებით საბჭოთა კავშირსა და ჩინეთს შორის.

დასასრულ მიტინგი ერთსულოვნად ესალმება შორეულ-აღმოსავლეთის განსაკუთრებულ არმიას, რომელიც მტკიცედ იცავს საბჭოთა რესპუბლიკების კავშირს.

მეექვსე სტამბა

პოლიგრაფტრესტის მეექვსე სტამბის მუშა-მოსამსახურეთა საპროტესტო კრებამ, რომელიც შესდგა გუშინ სამუშაო დღის დამთავრებისთანავე, მოისმინა ამხ. **კოჭუშოვის** ცნობა იმპერიალისტურ სახელმწიფოთა—ამერიკა, ინგლისის და საფრანგეთის მორიგ პროვოკაციულ გამოსვლის შესახებ საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ.

მეექვსე სტამბის მუშები აღშფოთებით აღნიშნავენ, მტაცებელთა ცდას ჩაერიონ ჩინეთ-საბჭოთა კავშირის კონფლიქტის მოგვარების საქმეში და განახორციელონ თავიანთი ბნელი ზრახვები საბჭოთა კავშირის მშრომელთა წინააღმდეგ. მუშები აღშფოთებულნი არიან იმ გარემოებით, რომ იმპერიალისტებმა კელოგის პაქტის დარღვევით არ მიიჩნიეს ჩინეთის მიერ აღმოსავლეთ რკინის გზის ძალით ხელში ჩაგდება, იმპერიალისტები დღემდე სეირს უყურებდნენ და ყოველმხრივ ცდილობდნენ ხელი შეეწყოთ ჩინელი ხუნხუზებისათვის და თეთრგვარდიელებისათვის, აეწიოკებიათ საბჭოთა კავშირის მშრომელი მოსახლეობა.

დღეს კი, როდესაც დარწმუნდნენ საბჭოთა კავშირის წითელი არმიის ძლიერებით და როდესაც მშვიდობიანი მოლაპარაკება საბჭოთა კავშირსა და მუკდენს შორის წარმატებით მიმდინარეობს, ეხლა მოინდომეს კონფლიქტის „მოგვარება".

— **ჩვენ არ გვინდა კაპიტალისტთა აპეკუნები**,—ერთხმად აცხადებენ მუშები. —**საბჭოთა კავშირმა უნდა მიიღოს გადამჭრელი ზომები იმპერიალისტების ავანტიურისტულ გამოსვლების წინააღმდეგ.**

შაბათს 7 დეკემბერს, საღამოს 7 საათზე,
ამხ. ივანოვ-კავკაზსკის კაბინეტში შესდგება
თბილისში მყოფ საქართველოს კომპარტიის (ბ) ცენტრალურ საკონტროლო კომისიის წევრების თათბირი
დაუგვიანებლათ დასწრება სავალდებულოა.

„დროშა" № 22
გამოვიდა და იყიდება ყველგან
ფასი 15 კაპ.

ქრონიკა

საზამთრო არდადეგები

განათლების სახალხო კომისარიატის დადგენილებით, საზამთრო არდადეგები შრომის სკოლებში იწყება მიმდინარე წლის 10 დეკემბრიდან და გასტანს 21 დეკემბრამდე, ხოლო ტეხნიკუმებში მომავალი წლის 20 იანვრიდან 10 თებერვლამდე.

ბავშვთა ჯანმრთელობის დაცვა

ბავშვთა და მოზარდთა ჯანმრთელობის დასაცავად და ფიზკულტურის მუშაობის გასაცხოველებლად თბ. ალმასკომის ჯანმრთელობის განყოფილებასთან დაარსდა ცალკე სექცია.

ანტირელიგიური კამპანია

საბინაო კავშირმა შეიმუშავა საბინაო ამხანაგობების სახლებში ანტირელიგიური კამპანიის ჩატარების გეგმა.

გარდა იმისა, რომ მდგმურებისათვის მოეწყობა შესაფერი მოხსენებები, საუბრები და სხ., საბინაო ამხანაგობებთან დაარსდება ურღმერთოთა წრეები.

ანტირელიგიური კამპანია დაიწყება 15 დეკემბრიდან და გასტანს მომავალი წლის 20 იანვრამდე.

სას.-სამ. ბანკების წარმომადგენელთა თათბირი

დღეს, 6 დეკემბერს ა.-კ. სასოფლო მეურნეობის ბანკში, დღის 12 საათზე შესდგება რესპუბლიკანურ სასოფლო-სამეურნეო ბანკების წარმომადგენელთა თათბირი.

სხვადასხვა

— სახ. პოლიტეხნიკური ინსტიტუტის იმ სტუდენტებმა, რომლებიც 1930 წლის 30 ოქტომბრამდე ამთავრებენ მექანიკურ ფაკულტეტს (სადიპლომო პროექტების დაუცველად), კონტრაქტაციის საკითხის მოსავარებლად უნდა გამოცხადდენ ა. წ. 9 დეკემბრამდე.

სახელგამის ახალი გამოცემანი

რედაქციამ მიიღო სახელგამის შემდეგი ახალი გამოცანები: ლ. სეგალი და ბ. ტალი—საბჭოთა ხელისუფლების ეკონომიური პოლიტიკა გვ. 488, ფ. 3 მ. 50 კაპ., თ. ქუმბურიძე—საზოგადოებათმეცნიერება (სამუშაო წიგნი შრომის სკოლის მე-VI ჯგუფისათვის) გვ. 348, ფ. 2 მან., დ. ლორთქიფანიძე, შ. სიხარულიძე, ლ. ციხისთავი—კლასთა ბრძოლის ისტორია, წ. I გვ. 370, ფ. 2 მ. 80 კ.; გ. ე. ლეჟავა — კომკავშირის პოლიტსკოლების მუშაობის მეთოდიკა (ნარკვევი ს. ა. ლ. კ. კ. ც. კ. აგიტპროპ გან. მიერ—სახელმძღვანელოდ) გვ. 226, ფ. 1 მ.; პიესების და მოთხრობების კრებული (ელ. პოლუმორდვინოვი—მაღაროებში მომუშავე. რევ. 1 მოქმ.); ირ. ქავჟარაძე—საზღვარზე, დრამა 4 მოქ. და 9 სურათად; ა. ქაროსანიძე—„ფუჭი ტალკვესი" (მოთხრობა); ელ. პოლუმორდვინოვი — „წარმოდგენა", „ფოლადებს შორის" (მოთხრობები) გვ. 156, ფ. 1 მ., ნ. ზომლეთელი—ლენინი ქოხში (საბავშვო ლექსები) გვ. 38, ფ. 35 კაპ., „პროლეტარული მწერლობა" № 10—11, გვ. 112, ფ. 75 კაპ..

ჟურნალი „დროშა"

გამოვიდა ჟურ. „დროშა" № 22. შინაარსი: მეთაური — საბიბლიოთეკო ლაშქრობა; **ი. მოსაშვილი** — მაუდის ქარხანაში; **მხედარი** — მოხალისეები „საბჭოთა მზე", **გ. ქუჩიშვილი** —ძმური სალამი (ლექსი); **ხ. ჩიქოვანი** — უშგულის კომკავშირი; **ხუპეკალ** — „ქართა ქალაქი"! მხატვართა გამოფენა; **ე. წ—ძე** — საბჭოთა კავშირი — მსოფლიოს მშრომელთა სოციალისტური სამშობლო; **ალ. ბედიაშვილი** —შურისძიება; **ფარი** — უცხოეთის მწერლები. **ექ. მ. მირიანაშვილი** — ბრძოლა საქონლის გადამდებ სენებთან; **დ. ლ.** — თბილისის ზოოპარკი; უცხოეთის ქრონიკა; ჩვენი ფოტოქრონიკა; ჟურნალში მოთავსებულია 50-მდე სურათი.

860 მილიონი მანეთი სოფლის მეურნეობისათვის

1929-30 წელს ამიერ-კავკასიის სასოფლო მეურნეობაზე შემუშავებული გეგმით დაიხარჯება 860.000.000 მანეთი.

შარშან კი სულ გაცემული იყო 508.500.000 მანეთი.

ამრიგად წელს სასოფლო მეურნეობაზე გაცილებით მეტი იხარჯება, ვიდრე შარშან დაიხარჯა.

ამ თანხიდან 45.500.000 მანეთი მიეცემათ საკრედიტო ამხანაგობებს სპეციალურ მუშაობის ჩასატარებლად, დანარჩენი თანხა მოხმარდება უშუალოდ სოფლის მეურნეობას.

სასოფლო-მეურნეობისათვის გათვალისწინებულ მთელი თანხის 40 პროცენტი მიღებული იქნება ცენტრიდან, 20 პროცენტი ამიერ-კავკასიის ბიუჯეტიდან, ხოლო 40 პროცენტი დაფარული უნდა იქნეს თვით საკრედიტო ამხანაგობების მიერ.

გეგმით გათვალისწინებული თანხები მოხმარდება მელიორაციას, საჭირო მანქანა-იარაღების შეძენის საქმეს, კოლექტივიზაციას, სხვადასხვა ძვირფას კულტურების მეურნეობის გაფართოებას, ნათესების სივრცის გადიდებას და სხვ.

ღონისძიებები პროდუქციის ხარისხის გასაუმჯობესებლად

გუშინ შესდგა საქ. სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სხდომა, რომლის დღის წესრიგში დასმული იყო საკითხი საქართველოს მრეწველობის პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესების შესახებ. აღნიშნულ საკითხზე მოხსენებით გამოვიდა ს. მ. უ. ს. საგეგმო-ეკონომიური სამმართველოს წარმომადგენელი, რომელმაც განაცხადა, რომ უკანასკნელი რამოდენიმე თვის განმავლობაში შესამჩნევი გახდა სხვადასხვა ტრესტების პროდუქციის გაუარესების ტენდენცია.

ამის მიზეზათ უნდა ჩაითვალოს ერთის მხრივ ის გარემოება, რომ ხშირათ მრეწველობა ვერ ღებულობს კარგი თვისების ნედლეულს, ხოლო მეორეს მხრივ წარმოებები ზედმეტი გადაჭარბებით სცდილობენ პროდუქციის თვითღირებულების შემცირებას. გარდა ამისა, აღსანიშნავია სტანდარტიზაციის გაუტარებლობა, შრომის ორგანიზაციის ცუდათ დაყენება და სხვა.

ს. მ. უ. ს. პრეზიდიუმმა გადასწყვიტა დაუყოვნებლივ მიიღოს ზომები პროდუქციის ხარისხის გასაუმჯობესებლად მთელი მრეწველობის ხაზით. ამ მიზნით ს. მ. უ. საბჭოსთან გამოყოფილია ცენტრალური კომისია, რომელსაც დავალებული აქვს სისტემატიურად ადევნოს თვალყური სხვადასხვა ტრესტების პროდუქციის ხარისხის მდგომარეობას. ს. მ. უ. ს. სამეცნიერო-ტეხნიკურ საბჭოს მიენდო დაამუშაოს პრაქტიკული ღონისძიებები პროდუქციის ხარისხის გასაუმჯობესებლათ იმ ვარაუდით, რომ არ მოხდეს პროდუქციის თვითღირებულების ზრდა. გადაწყვეტილია ცალკე ტრესტებთან მუდმივი გამოფენების მოწყობა, ამა თუ იმ ტრესტის პროდუქციის ნიმუშებისაგან, რომ ტრესტს საშუალება ექნეს ყოველდღიურათ შეამოწმოს თავისი პროდუქციის ხარისხი არსებულ ნიმუშებთან შედარებით.

პროდუქციის ხარისხის გამაუმჯობესებელი კომისიები გამოყოფილი უნდა იქნას ცალკე ტრესტებთანაც, ხოლო ამ კომისიებმა თავისი რწმუნებულები უნდა იყოლიონ ცალკე ფაბრიკა-ქარხნებში და წარმოებებში.

პროდუქციის ხარისხის გამაუმჯობესებელმა კომისიებმა მუშაობა დაუყოვნებლივ უნდა დაიწყონ.

რკინის გზებზე

რკინისგზელთა აღწერა

მეხუთე დღეა, რაც ა.-კ. რკინის გზაზე მიმდინარეობს რკინისგზელთა აღწერა. აღწერაში უნდა გაიაროს 10.000 კაცმა.

ამჟამად აღწერა მიმდინარეობს სტალინის სახელობის შემკეთებელ ქარხანაში, თბილისის ორთქლმავალების დეპოში, კავშირგაბმულობის დარგის მე-3 უბანში, ნავთსადენის და სატყეო განყოფილებებში, მთ. სამასალო საწყობში. სადგ. თბილისში, სალიანდაგო დარგის მე-6 უბანში და გზის გამგეობის სამმართველოში.

აღწერამ უნდა გამოარკვიოს რკინისგზელების საბინაო პირობები, მათი დამოკიდებულება სოფელთან, სამსახურის სტაჟი და კულტურული განვითარების დონე.

აღწერის პირველ დღეებში გამოირკვა, რომ ზოგიერთი ადგილკომი სუსტად იყო მომზადებული აღწერისათვის და ნაკლები ინტერესით ეკიდებოდა ამ საქმეს. მათ არ გაუცვნიათ თანამშრომლებისათვის აღწერის მნიშვნელობა, არ გამოუყვიათ აღწერის ხელშემწყობი კომისიები, არ მოუწყვიათ თანამშრომელთა გეგმიანი გამოცხადება აღწერაზე და სხვა.

სუსტი ყურადღებით ეპყრობოდა აღწერას თბილისის საუბნო კომიტეტიც.

ყველაზე უკეთ აღწერის საქმე დაყენებული აქვთ საშემოსავლო განყოფილების და მთ. სამასალო საწყობის ადგილკომებს, რომელთაც მოაწყვეს თანამშრომელთა გამოცხადება აღწერაზე განსაზღვრულ საათებში.

სუსტად არის მომზადებული აღწერისათვის პლეხანოვის სახ. კლუბი. სადაც მიმდინარეობს აღმწერელთა მუშაობა.

აღწერა უნდა დამთავრდეს 16 დეკემბრისათვის.

8.000 ტონა ლითონი

ა.-კ რკინის გზის გამგეობამ მიიღო თავის თავზე ვალდებულება, რომლის თანახმად მან „რუდმეტალტორგ"-ის მიმდინარე სამეურნეო წელში უნდა ჩააბაროს 8.000 ტონა ნამტვრევი ლითონი.

ტვირთების დუბლიკატების გაუქმება

გზათა კომისარიატის განკარგულებით, 1930 წლის 1 თებერვლიდან უქმდება ტვირთების დუბლიკატები, მათ ნაცვლად შემოღებული იქნება უბრალო მარტივი ქვითარები.

ეს ღონისძიება გაუადვილებს საქმეს ტვირთების მიმღებ რკინისგზელებს და ამასთანავე ნაკლებ დროს დაკარგვინებენ ტვირთების გამგზავნთ საქონლის ჩაბარების დროს.

ხელოვნება

სახელმწიფო ოპერის თეატრი

ოპ. „ტრილბი", მუს. ა. იურასოვსკი.

ოპ. „ტრილბი" არის ერთად ერთი და უკანასკნელი საოპერო ნაწარმოები ფრიად ახალგაზრდა კომპოზიტორის **ა. იურასოვსკის**, რომელიც ჯერ კიდევ 22 წლის გარდაიცვალა. ამ ოპერაში მეტად, საინტერესოდ უპირდაპირდებიან ერთმანეთს თემატიური მკრთალობა და ინსტრუმენტალობაში ნიჭის მძლავრი გოქანება. მაგრამ თემატიურ სისუსტეს უპირდაპირდება, მეორეს მხრივ, ფსიქოლოგიური მომენტების იმგვარი შეგრძნება ორკესტრის ელფერთა საშუალებით, რომ მსმენელის ფსიქიკა, ძალაუნებურად გატაცებულია დრამატიული კვანძის განვითარებით, უკუაგდებს მელოდიურ ხაზს და ეწაფება ჰარმონიულ მეტყველებას. ოპერას უწოდებენ „ტრილბი"-ს, მაგრამ ნამდვილ გმირად ამ ოპერისა უნდა ჩაითვალოს პატოლოგიური სახე და ფსიქიკა მუსიკოსი **სვენგალისა**, საოცრად დახასიათებული იურასოვსკის მიერ თავის მუსიკაში. ამ ფრიად ძნელი სასიმღერო და სცენიურ როლის ასრულება იკისრა თავისი პირველი გამოსვლისათვის, ცნობილმა ბანმა, ალექსანდრე **პიროგოვმა**. მან დაგვიმტკიცა, რომ ბუნებრივი ნიჭიერება დაკავშირებული დიდ კულტურასთან არის ერთად ერთი გზა ზედმიწევნისათვის. ფსიქოლოგიური სურათი, რომელიც წარმოგვიდგინა პიროგოვმა, დამამტკიცებელია ამ მშვენიერ მომღერალის საერთო განვითარებისა, სასიმღერო ტეხნიკა-კი პიროგოვის მიერ მიყვანილია იმ წერტილამდის, რომელიც ბანისათვის, საერთოდ, არაჩვეულებრივია. მაგრამ ყველა ამ შესანიშნავ თვისებებს უფრო აჭარბებს პიროგოვის ხმის თითქმის უსაზღვრო დიაპაზონი, ფერნათა საოცარი სისუფთავე, ყურთა-სმენის წარმტაცი ბგერათა ელფერი, და შესანიშნავი სიმძლავრე, გამოყენებული სრულის მიზანშეწონილობით საჭირო მომენტებში. ვიმეორებთ, ალექსანდრე პიროგოვი, როგორც მომღერალი და მსახიობი—ფრიად იშვიათი მოვლენაა, და აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენს მისი ნიჭის და ცოდნის ფართოდ გამოყენება მუშათა და გლეხთა აუდიტორიის წინაშე, როგორც ნამდვილი ხელოვნების ნიმუშისა.

ბარათოვას (ტრილბი) შემოქმედება ამ საღამოს ვერ სტოვებდა იმ მტკიცე შთაბეჭდილებას, როგორც ეს იყო ჩვეულებრივად სხვა როლებში. მართალია, ამ როლის ვოკალური მხარე მომღერალს დამუშავებული აქვს ყოველად უნაკლოდ, მაგრამ სცენიურად, და ვოკალურ დახასიათებაში ტრილბის სურათი მოკლებული იყო სიმტკიცეს და სანტიმენტალობით იყო გაჟღენთილი.

მშვენიერად მღეროდა და შეასრულა ბილლი ბეგოტის როლი ახალგაზრდა, მაგრამ ფრიად დაწინაურებულმა არტისტმა **ლემეშოვმა**. ამ მომღერალში ფრიად სასიამოვნოდ არის შეფარდებული სალი ნატურალობა და ლირიულ ტენორში ფრიად იშვიათი მორიდება სენტიმენტალურ ტკბილ-ხმოვანებისაგან. ჩვეულებრივად ძალიან ეხერხებოდა მსახიობ **ვენაძეს** სანდის როლი, რომელშიც ივი იჩენს როგორც ლამაზ ხმოვანებას, ისე ზემოხსენებული როლის დამახასიათებელ დეტალების უნარს. ყველა დანარჩენ მონაწილე ძალების (ლედი ბეგოტი—**ნეიმანი**, ტრილბის ამხანაგები—**ნინუა-ცაგურია, ოვჩარენკო** და **პრესი**, ტაფფი—**დემიანენკო** და ჯეკკო—**პოლიანოვი**) შემოქმედებას ემჩნეოდა კარგი წინასწარი მომზადება და სცენიურ ანსამბლად მჭიდრო ჩამოყალიბება.

დიდ სიმაღლეზე ვნახეთ ამ საღამოს ორკესტრიც, **პავლოვ-არზენინის** დირიჟორობით. იურასოვსკის საორკესტრო განზრახვათა სრული შეგნება და განხორციელება პავლოვ-არზენინის მიერ იმდენად საინტერესოა, რომ მრავალ მომენტებში სავსებით იპყრობს მსმენელის ყურადღებას და სავსებითვე ახასიათებს იურასოვსკის ნიჭიერებას, ამ ოპერის განახლება და კარგად მომზადება უნდა ჩაითვალოს ჩვენი ოპერის დირექციის ფრიად მიზანშეწონილ ნაბიჯად.

კოტე მელვინეთ-უხუცესი.

ხელოვნების ქრონიკა

ეგ. ნინოშვილის ხსოვნის აღსანიშნავად

18 დეკემბრიდან საქ. საბჭოთა მწერლების ფედერაციის ინიციატივით ეწყობა მწერალ ეგნატე ნინოშვილის დაბადების 70 წლისთავის აღსანიშნავი კვირეული, რომელიც გაგრძელდება 25 დეკემბრამდე.

კვირეულის განმავლობაში მოეწყობა გახსენებული მწერლის მოსაგონარი საღამოები მუშათა კლუბებში, სკოლებში, მწერალთა ორგანიზაციებში და სხვ.

პიესის კოლექტიური განხილვა

ს. ა. ლ. კ. კ. თბილისის საოლქო კომიტეტის აგიტპროპგანყოფილებისა და გაზ: „ახალგაზ. ლენინელ"-ის რედაქციის ინიციატივით, კვირას 8 დეკემბერს, თბილისის მუშათა თეატრში ეწყობა ოლეშას პიესის—„გრძნობების შეთქმულება"-ს კოლექტიური განხილვა, რომელზედაც დასასწრებლათ მოწვეული არიან კომკავშირელები და გაზეთის ხელისმომწერლები.

პიესის მოსმენის შემდეგ—აზრთა გაცვლა-გამოცვლა. დასაწყისი საღ. 7 საათზე.

— **„კარმენ".** დღეს მე-4 აბონემენტისათვის ოპერის თეატრში წარმოდგენილი იქნება „კარმენ".

— **რუსთაველის თეატრში** დღეს თურქულ ენაზე წარმოდგენილი იქნება „მამა დავითი".

— **მუშათა თეატრში** რუსული დრამის მიერ დღეს წარმოდგენილი იქნება „გრძნობათა შეთქმულება".

— **უკრაინული კაპელა.** სახ. კონსერვატორიის დარბაზში დღეს გაიმართება უკრაინული მხატვრულ-საგუნდო კაპელის კონცერტი კომპ. დავიდოვსკის ხელმძღვანელობით.

სასამართლო

მოსამართლე მათრახით და ნაგანით

საქართველოს უზენაესი სასამართლო ახლო მომავალში შეუდგება ქუთაისის პირველი უბნის ყოფილ მოსამართლის **ალექსანდრე ვასილისძე ჩერგოლეიშვილის** საქმის გარჩევას.

რა ჩაიდინა ჩერგოლეიშვილმა?

ჩერგოლეიშვილს ერთ დღეს უთხრეს, რომ მისი ცოლის დის მიმართ უზნეობა ჩაიდინა ს. ხანის ოთხწლედის მასწავლებელმა **მ. მურვანიძემ.**

ჩერგოლეიშვილმა ისიც გაიგო, რომ მისი ცოლის დის შეურაცმყოფელი მურვანიძე დაპატიმრებულია და ზის ბაღდადის რაიმილიციის საპატიმროში.

მეორე დღესვე ჩერგოლეიშვილი მოახტა ცხენს და ქუთაისიდან გაემგზავრა ბაღდათში.

მოსამართლემ შეაჭენა ცხენი მილიციის სამმართველოს ეზოში. ცხენი იქვე მიაბა და თვითონ მათრახ მომარჯვებული შევარდა მილიციის სამორიგეო ოთახში.

მოსამართლეს, რასაკვირველია, დიდი მოწიწებით შეხვდნენ მილიციაში. შეატყვეს მღელვარება.

— აბა მიჩვენეთ, რანაირი ჩვენება მოგცათ მურვანიძემ? — კითხულობს გაცხარებული მოსამართლე.

მორიგე მილიციელმა სასწრაფოდ მიართვა მთელი კვლევა - ძიების დავთარი.

ამ დროს სრულიად შემთხვევით სამორიგეო ოთახში შემოჰყავთ პატიმარი **მურვანიძე.**

— აჰა! შენა ხარ მურვანიძე! — დაიყვირა ჩერგოლეიშვილმა და მათრახი ზედი-ზედ გადაუჭირა პატიმარს.

ტკივილებისაგან გამწარებულმა მურვანიძემ განრისხებულ მოსამართლეს ხელი სტაცა მათრახში.

მაშინ ჩერგოლეიშვილმა იძრო რევოლვერი და პირდაპირ ესროლა მურვანიძეს.

მილიციელები გაშეშდნენ. დაიბნენ. ტყვია ასცდა მურვანიძეს. მან ისარგებლა საერთო დაბნეულობით. გავარდა ოთახიდან და მიიმალა.

ასე დასცა ჩერგოლეიშვილმა იმ ორგანოს სახელი, რომლის წარმომადგენელიც თვითონ იყო.

ამისათვის ის სათანადო პასუხს აგებს სასამართლოს წინაშე.

გერ.

შემთხვევები

თავის მოწამვლა

გუშინწინ, ოჯახური უსიამოვნების ნიადაგზე მარგანეცის კალით თავი მოიწამლა ანა ტიმოთეს ასულმა კალბაკოვამ (მცხ. ფოთის ქ. № 44), რომელიც სიკვდილს გადაარჩინეს.

ამავე დღეს იოდით თავი მოიწამლა არეთა ივანეს ასულმა თვალთავაძემ (მცხ. ტყიბულის ქ. № 5), რომელსაც აღმოეჩინა საექიმო დახმარება.

თვითმკვლელობა

გუშინ დილით სანადირო თოფით თავი მოიკლა ანა სტეფანეს ასულმა სტეპენოვამ, (მცხ. პირველ სამილიციო უბანში). თვითმკვლელობის მიზეზი ხანგრძლივი ავადმყოფობაა.

მფლანგველები

დაპატიმრებულია თიანეთის მუშკოოპის ნოქრები: ტ. აბრამიშვილი და ი. ბერიკაშვილი, რომლებმაც გაფლანგეს სახაზინო 700 მანეთი.

ქურდობა ცეკავშირის საწყობში და მუშკოოპის მაღაზიაში

4 დეკემბერს, ნაშუაღამევს, მინის ჩამტვრევის საშუალებით გაქურდეს ცეკავშირის საწყობი, საიდანაც წაიღეს 200 წყვილი წინდები. —ამავე დღეს გაქურდეს მუშკოოპის მაღაზია № 26 (ნაფარეულის ქ. № 9). წაღებულ საქონლის რაოდენობა გამოურკვეველია.

ქურდობა

ნიკოლოზ ჩხამაძის ბინიდან (პლეხანოვის პროსპ. № 199) მოიპარეს 200 მანეთის ტანსაცმელი. — გაქურდეს ერმილე ჯღამაძის ბინა (ტრამვაელთა სახლი); წაიღეს 545 მანეთის ნივთები — აზიმ ბაბა-ოღლის (მცხ. გოგოლის ქ. № 60), მისმა ცოლმა ზინა ალიევამ მოპარა 700 მანეთის ძვირფასი ნივთები და მიიმალა. — მინის ჩამტვრევის საშუალებით გაქურდეს მარიამ სიხარულიძის ბინა (მალაკანთა ქ. № 50); წაიღეს 200 მანეთის ნივთები.

საკონსერვო ფაბრიკები

ამიერ-კავკასიის ს. მ. უ. საბჭომ მიიღო და დაამტკიცა საკონსერვო მრეწველობის ახალი 5-წლიანი გეგმა, რომელიც ითვალისწინებს 10 ახალი საკონსერვო ფაბრიკის აგებას მთელ ამიერ-კავკასიაში. ეს ფაბრიკები აგებულ უნდა იქნენ მომავალი ოთხი წლის განმავლობაში.

საქართველოში გადაწყვეტილია სამი ახალი საკონსერვო ფაბრიკის აგება—გორში, მუხრანში და ქუთაისში. აზერბეიჯანში აგებული იქნება—ხაჩმაზის, ლენქორანის, ბელოკანის და განჯის საკონსერვო ფაბრიკები. სომხეთში აგებენ —ერევნის, აშტარაკის და მეგრინის საკონსერვო ფაბრიკებს. მარტო საქართველოში ახალი საკონსერვო ფაბრიკების ასაგებათ 4 წლის განმავლობაში უნდა დაიხარჯოს 2.229.700 მანეთი, ხოლო სულ საკონსერვო მრეწველობისათვის მთელ ამიერ-კავკასიაში დაიხარჯება 10.714.700 მანეთი.

ახალ 5-წლიან გეგმაში უდიდესი ყურადღება ექცევა აგრეთვე საკონსერ. ფაბრიკების. საჭირო ნედლეულის ბაზის შექმნას. საკონსერვო ფაბრიკებისათვის საჭირო რაოდენობის ნედლეულის მოსამარაგებლათ გადაწყვეტილია მოწყობილ იქნეს ახალი საბჭოთა და კოლექტიური მეურნეობები. სულ მთელ ამიერ-კავკასიაში მეხილეობის საბჭოთა მეურნეობებისათვის გამოყოფილი იქნება 5.550 ჰექტარი მიწის ნაკვეთები. აქედან მარტო საქართველოში გამოყოფილი იქნება 1200 ჰექტარი.

რესპუბლიკანურ ს. მ. უ. საბჭოებს დაევალათ დაამუშაონ ღონისძიებები საკონსერვო მრეწველობის რაიონებში მებაღეობა-მებოსტნეობის კოლმეურნეობების მოსაწყობათ.

გარდა საკონსერვო ფაბრიკების აგებისა და საბჭოთა და კოლექტიური მეურნეობების მოწყობისა, ახალი 5-წლიანი გეგმით გათვალისწინებულია აგრეთვე მთელ რიგ ხილის სახმობი და საერთოდ საკონსერვო მრეწველობისათვის საჭირო დამატებითი წარმოებების აგება-მოწყობა.

ახალი 5-წლიანი გეგმის განხორციელება დაიწყება მიმდინარე საბიუჯეტო წელს.

ავტომობილის კატასტროფა

(დაწვრილებითი ცნობები)

ონი, 5 დეკემბერი. (ტელეგრაფით საკუთარი კორესპონდენტისაგან). 3 დეკემბერს ღამით, რაჭის გზაზე, ქუთაისიდან 114 კილომეტრზე ხრამში გადავარდა სამგზავრო ავტომობილი, რომელსაც მართავდა შოფერი **აფრასიძე**. ავტომობილი დაიმტვრა. ერთი ბავშვი იქვე მოკვდა. შოფერი და ხუთი მგზავრი მძიმედ არიან დასახიჩრებული; დაჭრილები ჩამოიყვანეს ონის საავადმყოფოში. ექიმებს იმედი აქვთ, რომ შესაძლებელი იქნება მათი გადარჩენა.

გუშინ, 4 დეკემბერს იმავე გზაზე კატასტროფა შეემთხვა მეორე ავტომობილს. საირმეს უღელტეხილზე ცეცხლი მოეკიდა მანქანას, რომელიც სავსე იყო მგზავრებით. მანქანა დაიწვა. მგზავრები გადარჩნენ.

გ. რიონიძე.

ოფიციალური განყოფილება

დადგენილება

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსი

შრომის დისციპლინის განმტკიცების შესახებ.

არასამუშაო დროს მუშებისათვის მომსახურეობის გაწევის წესის გასაუმჯობესებლად და დღეების გაცდენის შესამცირებლად, ა.-კ. ს.ფ.ს.რ. სახალხო კომისართა საბჭოს მიერ „სახელმწიფო საწარმოში შრომის დისციპლინის განმტკიცების შესახებ" 1929 წ. აპრილის 11-ის თარიღით გამოცემული დადგენილების (ა.-კ. ს.ფ.ს.რ. კან. კრებ. 1929 წ. მე-7 №-რი, მუხ. 65) საფუძველზე—საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. წინადადება მიეცეს ქვემოაღნიშნულ დაწესებულებათ და საწარმოთ განახორციელონ შემდეგი ღონისძიებანი:

ა) ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატს—მოაწყოს არასამუშაო დროს საექიმო-პროფილაქტიური დახმარება სამკურნალო დაწესებულებებში: სარაიონო ამბულატორიაში, პუნქტზე, დისპანსერში, კონსულტაციაში, დიეტურ სასადილოში, რენტგენის კაბინეტში და სხვ. იმ ანგარიშით, რომ არ გაუარესდეს საექიმო დახმარების თვისება და კვალიფიკაცია, არ გადიდდეს მომსახურე პერსონალის დატვირთვა და თანაც მუშებისათვის მომსახურეობის გაწევის დრო შეთანხმებულ იქნეს მათი მუშაობის საათებთან;

ბ) მუშათა ერთიან კოოპერატივს და ყველა სახელმწიფო და კოოპერატიულ სავაჭრო ორგანიზაციას—გააფართოოს მუშათა რაიონებში სავაჭრო წერტილები (მაღაზია, დახლი, ფარდული) და დააწესოს ვაჭრობის საათები იმ ანგარიშით, რომ უზრუნველყოფილ იქნეს მუშათა მოთხოვნილების დაკმაყოფილების შესაძლებლობა არასამუშაო დროს (მუშაობის დაწყებამდე, სადილისათვის მუშაობის შეწყვეტის დროს ან მუშაობის გათავების შემდეგ და დასვენების დღეს) და აგრეთვე გათვალისწინებულ იქნეს ცვლადი მუშაობა ამა თუ იმ საწარმოში;

გ) იუსტიციის სახალხო კომისარიატს—აწარმოოს არასამუშაო დროს გარჩევა შრომის, საბინაო და სხვ. საქმეებისა, სადაც მხარენი უმთავრესად მუშა-მოსამსახურენი არიან და აგრეთვე ისეთი საქმეებისა, როდესაც საჭიროა აღნიშნული კატეგორიის პირთა დაბარება მოწმედ, დაზარალებულ მხარედ, ექსპერტად და სხვ.

არასამუშაო დროსვე უნდა სწარმოებდეს გამომძიებლის და პროკურატურის მიერ ზემოაღნიშნულ პირთა დაბარება.

დ) შრომის სახალხო კომისარიატს—მოაწყოს არასამუშაო დროს საკონფლიქტო-შემფასებელი კომისიებისა და შრომის დაცვის კომისიების გადაწყვეტილებათა გამო აღძრულ საჩივართა გარჩევა, გამოკვლევის წარმოება, გადაწყვეტილებათა ასლებისა და ცნობების გაცემა აღნიშნული საქმეების გამო, იმ შრომის კონფლიქტების გარჩევა (სამედიატორო სასამართლოებისა და მომრიგებელი კამერების მიერ), რომელთა გადაწყვეტისათვის დაბარებულ უნდა იქნენ სამუშაოზე მყოფი მუშა-მოსამსახურენი და აგრეთვე აწარმოოს მუშა-მოსამსახურეთათვის დროებითი შრომის უუნარობის დაკარგულობის გამო და დამატებითი სახის დახმარების გაცემა იმ შემთხვევაში, როდესაც აღნიშნული დახმარების გაცემა უშუალოდ საწარმოში არ ხდება;

ე) ადგილობრივ აღმასრულებელ კომიტეტებს—მოაწყონ ადმინისტრატიულ ორგანოებში და კომუნალური მეურნეობის განყოფილებებში (საბინაო საქმეთა კომისიებში, მოქალაქობრივი მდგომარეობის აქტების ჩამწერ განყოფილებებში, საცხოვრებელი სივრცის ძიების კომისიებში და მილიციის ორგანოების მიერ ოკვლევის წარმოების საქმეში) არასამუშაო დროს განხილვა ისეთი საქმეებისა და საჩივრებისა, რომელთა გადაწყვეტაშიაც დაინტერესებულნი არიან მუშა-მოსამსახურენი;

ვ) განათლების სახალხო კომისარიატს დააწესოს მუშაობის დრო მუშათა ფაკულტეტებსა და სკოლებში მოსწავლეთა მიღების პერიოდში.

2. არასამუშაო დროს მუშაობის დაწესებისათვის დაცულ უნდა იქნეს შრომის კანონთა კოდექსით და ამ კოდექსის განსავითარებლად გამოცემული დადგენილებებით და ინსტრუქციების გათვალისწინებული წესები.

3. წინადადება მიეცეს ამა დადგენილებაში დასახელებულ დაწესებულებებს — საკითხი ამა თუ იმ დაწესებულებაში და სავაჭრო საწარმოში არასამუშაო დროს მუშაობის დაწესების შესახებ თვითეულ ცალკე შემთხვევაში შეუთანხმონ საქართველოს პროფესიონალურ კავშირთა საბჭოს.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მოვ. ალმ.
გ. ყურულიშვილი.
საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს საქმეთა მმართველი.
პ. მეგრელიშვილი.
1929 წ. ოქტომბრის 22.
თბილისი—სასახლე.

ტრანსპორტის ყოფილ მოსამსახურეთა ხელ ახალი აღრიცხვა

იმ მიზნით, რომ მოხდეს სრული გადარიცხვა მე-68 სპეციალობაზე იმ სამხედრო ვალდებულთა, რომლებიც წინათ მსახურობდნენ ტრანსპორტზე, ა. წ. 16 დეკემბრიდან 21 დეკემბრამდე ცხადდება დამატებითი ხელახალი აღრიცხვა 1893-1906 დაბადებულ მწკრივისა და უმცროს მეთაურ სამხედრო ვალდებულთა, რომლებიც წინეთ მუშაობდნენ რკინის გზაზე, გზატკეცილზე, ყამირის გზაზე და ამჟამად ცხოვრობენ ქალ. თბილისში, გარე-კახეთის და მცხეთის რაიონების ტერიტორიაზე.

მოქალაქენი, რომლებსაც ეხებათ ხელახალი აღრიცხვა, ვალდებულნი არიან გამოცხადდნენ: ქალაქის მცხოვრებნი—რაიონის მილიციის სამმართველოსთან არსებულ სამხედრო მაგიდაში, ხოლო სოფლად მცხოვრებნი—რაიონის აღმასკომში.

დაწვრილებითი ცნობები და მითითებანი, თუ როდის და სად უნდა გამოცხადდნენ ხელახალ აღრიცხვაზე სამხედრო ვალდებულნი, ნაჩვენებია ოლქის სამხედრო კომისარიატის მიერ ამის შესახებ სპეციალურად გამოცემულ განცხადებაში, რომლებიც გაკრულია მილიციის რაიონებში.

ყოველგვარი ცნობები ხელახალ აღრიცხვის შესახებ დაინტერესებულ პირთ შეუძლიათ მიიღონ ოლქის სამხედრო კომისარიატში და აგრეთვე სამილიციო უბნებში სამხედრო მაგიდების გამგეებთან.

თბილისის ოლქის სამხედრო კომისარიატი.

შეცდომის გასწორება

ჩვენი გაზეთის ა. წ. 3 დეკემბრის ნომერის ოფიციალურ განყოფილებაში საქ. მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის დადგენილება № 26582-ში შეცდომით დაბეჭდილია: „კვერნაზე, წავზე და მელაზე ნადირობა აკრძალულია 15 სექტემბრიდან 1-ლ ნოემბრამდე".

უნდა იყოს: **„15 აპრილიდან 1-ლ ნოემბრამდე".**

ნარევი

ლ. ნორმეს აღმოჩენა

ფრანგმა სამხედრო ქირურგმა **ლეონ ნორმემ** საფრანგეთის მეცნიერებათა აკადემიაში გააკეთა მოხსენება მის მიერ აღმოჩენილი პრეპარატის შესახებ, რომელიც ხელს უწყობს სისხლში წითელი ბურთულების გამრავლებას. ნორმეს პრეპარატის მოქმედება განსაცვიფრებელია: მისი შეშხაპუნება რამდენიმე საათში აორკეცებს წითელი ბურთულების რაოდენობას სისხლში. განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს ნორმეს პრეპარატს სისხლის დიდი რაოდენობის დაკარგვის შემთხვევებში—დაჭრის, ოპერაციების და სხვ. დროს. პრეპარატი წარმატებით გამოსცადეს ცხოველებზე და კლინიკაში.

რომელი ენა უფრო გამოსადეგია ტელეფონისათვის

იმის გამოსარკვევად, თუ რომელი ენა უფრო გამოსადეგია საერთაშორისო სატელეფონო კავშირისათვის, მოახდინეს მთელი რიგი ცდები, რომლებმაც ნათელჰყვეს, რომ ტელეფონით ლაპარაკის დროს უფრო ადვილი გასარჩევია იტალიური სიტყვები, შემდეგ—გერმანული, ინგლისური, ფრანგული. მეორე მხრივ, იმისათვის, რომ განსაზღვრული დროის განმავლობაში, რაც შეიძლება მეტი ითქვას, უფრო ხელსაყრელია ფრანგული ენა, შემდეგ ინგლისური, გერმანული და იტალიური.

შრომის ბირჟაში

მოთხოვნილება მუშა ხელზე

დღეს, 8 დეკემბერს, თბილისის [illegible] რიდან სამუშაოზე [illegible] შევრები:

შავ მუშათა სექციიდან: [illegible] შვილი, ივანე [illegible], [illegible] ანა სარქისოვა, ლეონტი ქაჯაია, ივანე ხუციშვილი, ბარბალე შაიძე, ბარბალე ქაჯაია, ევა გუდიკაშვილი, მარო გელაშვილი.

მშენებელ მუშათა სექციიდან: ამბროსი მურადიანი, ვართან საკიანი, დავით ბეგანოვი, სერგო ფირსოვი, აშოტ სანოიანი, გაიკ აირაპეტიანი, სერგო მეგრაბოვი, მაკარ აზარიანი, სიმონგოგინაშვილი, ალექსი ლამბაროვი, გეორგი ხმიადაშვილი, აზატ გრიგორიანი, ლევან არუთინოვი, დავით ქავჭანიძე, ბენიამინ ბაღდასაროვი, ვლადიმერ გოგიშვილი, აბრამ ნერსესოვი, ივლიანე ლომინაძე, არშალუს ტოროსიანი, არამ გრიგორიანი, ალექსი იაკუბოვი, მიხეილ ბაიდაშვილი, მიხეილ ბლიაძე, ვარლამ წეროძე, ალექსი ჯიოევი, ვანო თუთაროვი, აშოტ ვართანოვი, აკობ ლებედევი, პეტრე ტანიკაშვილი, გრიგოლ ოქოევი, არტაშეს მურაბოვი, ვასილ კუზმინი, არუთინ არუთინიანი, ივანე გამიევი, თამარ ჯანოევა, გალუსტ ტერ-კირტიჩიანი, არაქელ სარქისოვი, გიორგ გეორქიანი, გიორგი გაბოძე.

რკინისგზელთა სექციიდან: ნიკოლოზ ბერიაშვილი, ანტონ დემეტრაშვილი, კონსტანტინე ლალიაშვილი, ელენე მეტეხელი.

გონებრივ მუშაკთა სექციიდან: ვლადიმერ სხირტლაძე, ზაქარია პეტრიაშვილი, ივანე არუთინოვი, როზ გურევიჩი.

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

საქ. კომპარტიის (ბ) თბილისის ორგანიზაცია განმეორებით იწვევს ქვემოთ ჩამოთვლილ ამხანაგებს, გამოცხადდენ დღეს, 7 დეკემბერს, დღის 12 საათზე ს. კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტში ამხ. **როსტიაშვილთან** (ოთახი № 67).

ანტონ პავლესძე მიცკევიჩი (თბილისის ალმასკომის უჯრედი), ალექსი დიმიტრისძე ზახაროვი („ზაკსელსოიუზი"-ს უჯრედი), შალვა პლატონისძე მურავიოვი (ქალაქის რაიონის № 39 უჯრედიდან), იოსებ ანდრიასძე მამალაშვილი (ქალაქის რაიონის № 78 უჯრედი), ივანე სპირიდონისძე მარდალეიშვილი (გზათა სახალხო კომისარიატის რწმუნებულის სამმართველოს უჯრედი), ნიკოლოზ იოსებისძე კომაროვი (გზათა სახ. კომ. რწმუნებულის სამმართველო), ლეონ ოგანესისძე კოგჯოიანი (გზათა სახალხო კომისარიატის რწმუნებულის სამმართველო).

ა.-კ. რკ. გზების დეპოდან გამოძახებული არიან შემდეგი ამხანაგები: ბიქტორ შლაიძე, ვასილ ფომენკო, ნიკოლოზ სინჯიკაშვილი, ტიგრან ერმიშიანცი, დავით დავიდოვი, ნიკოლოზ სერგეევი, პავლე სოსტინი, ნიკოლოზ გრატიაშვილი, გრიგოლ ჩაპაშვილი, ვლადიმერ ვაშკილევიჩი (სალმშენებლო ტეხნიკური კანტორა).

ამხ. სტალინის სახელობის ორთქლმავლებისა და ვაგონების შემკეთებელ ქარხნიდან გამოძახებული არიან შემდეგი ამხანაგები: კარაპეტ მერაბიშვილი, გიორგი მანკულოვი, პეტრე თოფურიძე.

საქართველოს მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატიდან: ეპიფანე გოგოლაძე, ივანე გორდეზიანი, კონსტანტინე გოგოლაძე, სტანისლავ ვოშჩინსკი, ზაქარია პაატაშვილი, ნაკიფორე ხაჭაპურიძე, ვლადიმერ ლეჟავა და ივანე ერისთავი. გიორგი ალექსისძე მიქელაძე (ქალაქის რაიონის № 92 უჯრედიდან).

—:—

საქ. კომპარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტის საორგანიზაციო - საპროპაგანდო განყოფილება წინადადებას აძლევს ამხ. ცუცქირიძეს, სამი დღის ვადაში გამოცხადდეს ს. კ. პ. (ბ) ცეკას საგიტაციო - საპროპაგანდო განყოფილებაში.

—:—

დღეს, საღ. 6 საათზე ვ. ი. ლენინის სახელობის პოლიტეხნიკურ ინსტიტუტში შესდგება ს. კ. პ. (ბ) ბიურო კოლექტივის ალკკ კოლექტივის საერთო კრება უპარტიო სტუდენტებსთან, პროფესურასთან და პედაგოგიური პერსონალის მთელ შემადგენლობასთან ერთად.

დღის წესრიგში სდგას საქ. განათლების სახ. კომისრის ამხ. დ. კანდელაკის მოხსენება ინსტიტუტის რეფორმის შესახებ.

—:—

სახ. უნივ. აგრონომიული ფაკულტეტის ს კ. პ. (ბ) უჯრედის ბიურო აცხადებს, რომ დღეს საღ. 7 საათზე შესდგება აგრონომიული ფაკულტეტის კ. პ. (ბ) უჯრედის და ალკკ წევრების გაერთიანებული კრება.

—:—

სახ. უნივ. ალკკ ბიურო - კოლექტივი აცხადებს, რომ დღეს საღ. 7 საათზე შესდგება სოც. ეკ. ფაკულტეტის მე-3 და მე-4 კურსის ალკკ წევრთა კრება. დღის წესრიგში დასმულია უჯრედის ბიუროს გადარჩევა.

ა.-კ. რკ. გზების სატყეო განყოფილების, საჭილათა ხე-ტყის სახერხი ქარხნის მუშა-მოსამსახურენი გამოსთქვამენ ღრმა მწუხარებას დაუღალავი მშრომელის, ქარხნის ყოფ. გამგის

სიმონ ჯიოევის

ტრაღიკულათ გარდაცვალების გამო. 4591

სამუდამოთ გულმოკლული მშობლები: დავითი და ელენე შვილებით ქეთო, გოგა, ვახტანგი და სანდრო, ბიძა თედორე შენგელიები, დეიდა პაშა გეგიშიძისა აუწყებენ საზოგადოებას, რომ უდროოდ დაკარგულ

ნინო შენგელიას

ხსოვნის აღსანიშნავათ კვირას, 8 დეკემბერს, 12 საათზე, ქ. ქუთაისში, საფიჩხიის სასაფლაოზე გადახდილი იქნება სამოქალაქო პანაშვიდი. 4590

„საქართველოს ჩაი"-ს ზუგდიდის საცდელ სადგურის და ნარაზების საბჭოთა მამულის მუშა მოსამსახურენი ღრმა მწუხარებით აუწყებენ საზოგადოებას ამავე დაწესებულების თანამშრომლის

მიშა შოსტის

ტრაღიკულად დაღუპვას. დასაფლავება 7 დეკემბერს, შაბათს, ქალაქ სენაკში. ბ. 3468

გაუბედურებული მეუღლე პავლე დიმიტრის ძე ყუბანეიშვილი, შვილები: ანეტა, აგრაფინა, იოსებ და გიორგი, რძლები: ქინა და სონია, სიძე ბიქტორ როინიშვილი ღრმა მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ, ნაცნობთ და მეგობრებს ძვირფას

თებრონე დავითის ასული ყუბანეიშვილის

გარდაცვალებას. დაკრძალვა სოფ. ტობანიერში, კვირას 8 დეკემბერს. 4604

გულმოკლული შვილიშვილები: თინათინ, გოგუცა და გრიშა შავგულიძე, თამარ, მიშა და ოთარ როინიშვილები, ჩუტა, შოთა, ვენერა, ნათელა და ტიტე ყუბანეიშვილები იუწყებიან, რომ დაუვიწყარ

თებრონე დავითის ასულ ყუბანეიშვილის

დაკრძალვა მოხდება სოფ. ტობანიერში, კვირას, 8 დეკემბერს. 4604

ოპერისა და ბალეტის სახ. თეატრი 1929—30 წ. სეზონი

დღეს, 6 დეკემბერს, 2 აბონ. მე-4 წარმ. უკანასკ. მ. პ. მაქსაკოვას მონაწ. **კარმენ**
შაბათს, 7 დეკემბერს, აბონემენტის გარეშე აბონემენტების ციკლში არ შედის ალექსანდრე პიროგოვის მონაწილეობით **ტრილბი**
კვირა, 8 დეკემბერი, მე 12 აბონემ. 1-ლი წარმ. უკანასკნელად მ. პ. მაქსაკოვას მონაწილეობით **სამსონ და დალილა**

ყველა საბონემენტო წარმოდგენაზე ბილეთების ნაწილი დატოვებულია ხელზე გასასყიდათ. მე-5 შესატანის გადახდის უკანასკნელი ვადა ყველა აბონემენტზე 8 დეკემბრამდე ჩათვლით. გამოსყიდული ტალონებით ბილეთები გაიცემა რიგს გარეშე დღის 2 საათამდე. წარმოდგენის დასაწყისი საღამოს სრულ 8 საათზე.

ბ. 3463

ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრი

შეღავათიან ტალონებზე უკანასკნელი **შესატანის გადახდის ვადა გაგრძელებულია 10 დეკემბრამდე ჩათვლით,** რის შემდეგაც ტალონები გაუქმებული იქნება და არავითარი განცხადება ფულის დაბრუნების შესახებ არ მიიღება. ბ. 3462

რუსთაველის თეატრი
სეზონი 1929-1930 წ.
ბ. 3460

კვირას 8 დეკემბერს
სერია ბ მე-4 აბონემენტის მე-3 წარმოდგენა
პრემიერა **ყამირი** ს. იანოვსკი
დრ. 13 სურ. გადმოკ. ს. შანშიაშვილის მიერ.
დადგმა—**აკ. ვასაძის.**
მხატვარი—**ირ. გამრეკელი.**
მუსიკა—**გრ. კილაძის.**
დასაწყისი სრულ 8 საათზე

თეატრის დირექტორი, სამხატვრო ნაწილის გამგე და მთავარი რეჟისორი — **ალ. ახმეტელი.**

დარჩენ. ბილ. იყიდება თეატრ. სალარ. კავშ. წევრთათვის 40 პროც. დაკლ. ით. სტუდენტებისათვის —50 კ.

მელითონეთა კლუბი (პლეხანოვის პროსპექტი № 123)

ვ. ი. ლენინის სახელობის ს.ს.პ.ი.-ს სამეცნიერო-ტეხნიკური საზოგადოება
7 დეკემბერს
აწყობს ტეხნიკის მე-2 საღამოს

საღამოს პროგრამა: 1) ს.ტ.ს.-ს მუშაობა წარმოებაში ვ. ბერლინი, 2) ენერგეტიკის თანამედროვე მდგომარეობა. მომხ. ს.ს.პ.ი.-ს დოც. ა. ტერ-ხაჩატუროვი, ოპონენტები: აკადემიკოსი ლ. პისარჟევსკი, პროფ. ა. ბაბოვი, პროფ. ე. პეტკევიჩი და სხ. 3) სამეცნიერო კინო-ფილმი
დასაწყისი სრულ 6 საათზე. 4602

აპოლო	ცნობილი ფილმი **ინჟენერი ელაგინი** მონახოვის და ნიკულინის მონაწ.
სოლეი	**ლოუ-ლოუ** ლუიზა ბრუკსის მონაწილეობით.
მინიონი	ლია დეპუტი და ვ. კრაუსი სურათში **ეჭვიანობა**
პალასი	პრემიერა „უფა-ფილმ-ის ნაწარმოები **მულენ-რუჟ**
არფასტო	სეზონის საუკეთესო ფილმი **კაენი და არტემი** მ. გორკის ნაწარმ. მიხედვ.
დარვაზი	მხატვრული ფილმი **ფუმპე** ა. ი. ხეიფეცის გასტროლები

მალე: „რღვევა" 05

დღეს და ყოველდღე

კინო-პალასში
პრემიერა
„უფო"-ს ნაწარმოები
მულენ-რუჟ
პიერ ბენუას რომანის მიხედვით
მთავარ როლებში:
ოლგა ჩეხოვა, ივ. გრეი, ჟან ბრადენი
I სეანსის დასაწყ. - 6 ს. 15 წ.

კინო-მინიონში
ლია დეპუტი და ვერნერ კრაუსი
სურათში
ეჭვიანობა
I სეანსის დასაწყისი 5 საათ. 50 წ.
II—7—20, III—9, IV—10—40

მალე: „რღვევა" ბ. 3464

თბილისის ცირკი
სოც. უზრუნველყოფის სახ. კომისარიატთან არსებული სრ. საქ. ინვალიდთა დამხმარე კომიტეტ. ტელეფონი 8—94.

დღეს, პარასკევს, 6 დეკემბერს
გრანდიოზული საგასტროლო წარმოდგენა
3 დიდ განყოფილებად
ცნობილი ჩინელი ილიუზიონისტის ლი უ-ფუს მონაწილეობით
ჩამოვიდა და მონაწილეობას იღებს ცოცხალი, ყველასათვის საყვარელი **ჩარლი ჩაპლინი.**
აგრეთვე საცირკო ხელოვნების 12 საუკეთესო ნომერი. წარმოდგენის დასაწყისი საღ. 8 ნახ. საათზე.
ბ. 3467 2—1 დირექცია.

საქ. ფინსახკომის საუქციონო კამერა
12 დეკემბერს დილის 10 საათზე, ხაზინის ქ. № 3, (ყოფილი ხაზინის შენობაში)
საჯარო ვაჭრობით
გაყიდის შემდეგ უძრავ ქონებას (სახლებს)

1.	სახლი მდებარე	შერემეტევის ქ. № 26	კუთვნილი	ივანე ნიკოლოზის-ძე ეგოროვს შეფას.	800	მან.
2.	” ”	ალვანის ქ. № 3	”	სოფ. გასპარის ასულ პეტროსოვს	” 800	”
3.	” ”	ნიაღვრის შესახ. № 3	”	მჭედლიშვილებს	” 2 000	”
4.	” ”	რიყის ქ. № 49	”	მურადოვს და ბარხუდაროვს	” 3.000	”
5.	” ”	ქოროესის ქ. № 57	”	გიორგი თედორისძე ვაშაკიძეს	” 5.000	”
6.	” ”	ტრიბუნალის ქ. № 16	”	ასლან ალი ბაირამოვს	” 700	”
7.	” ”	ბაგრატიონის ქ. № 14	”	გრიგ. მალაქისძე მირიანაშვილს	” 3.000	”
8.	” ”	კამოს ქ. 93	”	სიმონ ანტონისძე მანუჩარიანს	” 20.000	”
9.	” ”	ბოტანიკური ჩიხი № 4	”	ვალი რიზა ოღლის	” 600	”
10.	” ”	ბეთლემის შესახ. № 17	”	გრიშან მუსან ოღლს	” 2.500	”
11.	” ”	სასოფლო შესახ. № 24	”	გრიგოლ იოსებისძე მჭედლიძეს	” 2.000	”
12.	” ”	ფოსტის ქ. № 15	”	მიკიჩ აკოფისძე მურადოვს	” 1.000	”
13.	” ”	კომუნალური ქ. № 34	”	გუსეინ მოხსულ ზადეს	” 2.000	”
14.	” ”	შუშის ქ. № 6	”	აივაზ კასუმ ოღლი	” 1.000	”

მსურველებს შეუძლიათ დაათვალიერონ აღნიშნულ მამულები წინასწარ, ყოველივე ცნობების მიღება შეიძლება საუქციონო კამერაში ყოველ დღეს დილის 9 საათ. 11 საათამდე. ბ. 3466

იუსტიციის სახალხო კომისარიატის შენობაში
შაბათს, 7 დეკემბერს, საღამოს 6 საათზე
იწვევა
დამცველ კოლეგიის წევრთა წმენდა
4508 2—1

სრ. საქ. ცაკთან არსებული ქალთა შრომისა და ყოფა-ცხოვრების გამაუმჯობესებელი კომისია
ამით აცხადებს, რომ კოლექტივ „სალამის" ლიკვიდაცია დამთავრდა

კოლექტივის დარჩენილი ქონების რეალიზაციით აღებული თანხები ლიკვიდაციის გამოწვეულ ხარჯების გამოკლებით იმყოფება შრომის სასამართლოს აღმასრულებელ მოქ. დანელიასთან, რომელსაც უნდა მიმართონ კოლექტივის ყოფილმა იმ თანამშრომლებმა, რომელთა პრეტენზიები ხელფასის შესახებ ნაცნობია შრომის სასამართლოს და ლიკვიდკომის მიერ. ბ. 3470

თბილისის სახ. უნივერ. აგრონომიული ფაკულტეტი

აცხადებს სტუდენტებისა და დაინტერესებულ ორგანიზაციათა საყურადღებოდ, რომ 1921, 1922, 1923, 1924, 1925 და 1926 წელს რვა სემესტრ მოსმენილი სტუდენტები: მეთონიძე ლუბა, ცაგარეიშვილი ლიდა, ჭანტურია აგრაფენა, სპარსიაშვილი დავით, გოცირიძე სერგო, ჩიმაკაძე იოსებ, ხაფავა ერასტი, აბაშიძე ვახტანგი, ოკუჯავა სერგო, კანდელაკი ნინო, კაჭარავა ამბაკო, მიქაშავიძე დომინიკა, მერგელაშვილი მელენტი, სტურუა გიორგი, ბეჟტაევი ვლადიმერი, ვილაბუევი ანდრია, ტერ-ხაზარიანი კარაპეტ, შენგელია ტერენტი, ხანდაზმულობის გამო მოკლებული არიან დარჩენილი გამოცდების ჩაბარების უფლებას.

რაც შეეხება 1927, 1928 და 1929 წელს რვა სემესტრ მოსმენილებს, ამათ დარჩენილი გამოცდების ჩაბარებისათვის მიეცათ შემდეგი უკანასკნელი ვადები: პირველებს 1930 წლის მარტის პირველამდე, მეორეებს - 1930 წლის ივნისის პირველამდე, და მესამეებს - 1930 წლის ოქტომბრის პირველამდე. აღნიშნული პირობების შეუსრულებლობა მოუსპობს სტუდენტს დარჩენილი გამოცდების ჩაბარების უფლებას და მათი გვარები გამოცხადდება გაზეთში. ბ. 3461

კასპის რაი-აღმასკომი
ამით აცხადებს, რომ კასპის რაიონის საბეითლო პუნქტში
ესაჭიროება ბეითალი ექიმი
პუნქტის გამგეთ და
ბეითალი ფერშალი მის თანაშემწეთ. პირველისათვის ხელფასი განსაზღვრულია 200 მან. და მეორესათვის 140 მან.
მსურველს ვთხოვთ გამოცხადდეს კასპის რაი-აღმასკომში. მისამართი: სადგ. კასპი.
ბ. 3469 კასპის რაი-აღმასკომი.

საქ. ფინსახკომის საუქციონო კამერა
აცხადებს, რომ ა. წ. 8 დეკემბერს დილით 10 საათზე ხაზინის ქ. № 3 (ყოფ. ხაზინის შენობაში) დანიშნულია
საჯარო ვაჭრობა
ფინსახკომისადმი დავალიანების ასანაზღაურებლად გაიყიდება პიანინო, როიალი, შიფონერკები, ბუფეტის შკაფები, მაგიდები და სხვა საოჯახო ნივთები. საჯარო ვაჭრობა იწარმოებს დილის 10 საათიდან საღამოს 10 საათამდე. მსურველებს შეუძლიანთ წინასწარ დაათვალიერონ ნივთები. ბ. 3465

ექიმები და სამკურნალო დაწესებულებები:

ი. პ. მჭედლიშვილი შინაგანი სნეულებანი. სპეციალ. კუჭის და ნაწლავების დაავადებათა გამოკვლევა და მათი მკურნალობა. ავადმყოფ. ღებულობს 5—6 ს. სანაპირო ქ. (ყოფ. ნაბერეჟნაია) № 7—ვერის ხიდთან. ელმშენი № 15—02. 25—13

ა. ვ. მიქაბერიძე პარიზში 1923 წ. დაამთავრა „სილამაზის ინსტიტუტი" მასაჟი სახის, კისრის, ხელების და იმის მკურნალობა. ელექტრ. ორთქლის ვანები და ახალი ელექტრო-აპარატები კანის სილამაზის დასაცავად. ძნელაძის ქუჩა (ყოფ. საპიტერის) 19. იღებს დილით 10-დან 4-მდე და საღამოს 5—8-დე. შესასვლელი ძნელაძის შესახვევიდან. 25—14

ტერ-ოვაკიმოვი სპეციალურად ექიმობს სქესობრივ ფუნქციონალურ მოშლილობას (სქესობრივი ნევრასთენია), პსიქოტერაპია. მიღება დილით 9 ნახ. 11 საათამდე, საღამოს 5—7 საათამდე. ა.-კ. ფედერაციის ქ. (ყოფ. ველიამი ნოვის) № 22. 25—1

ქვემოთ ჩამოთვლილი დოკუმენტები

(დაკარგული და მოპარული) ჩაითვალოს გაუქმებულათ.

— მბეჭდავთა კავშირის წიგნაკი ანდრო პარკაძეს სახელზე. 4586
— „ზაკტპო"-ს წიგნაკი № 1760 ნადია საყვარელიძეს სახელზე.
— პურის წიგნაკი (1 სულის) „ბ" სევერიან სპირიდონის-ძე ჩიქოვანის სახელზე. 4587
— დამზღვევ სალაროს წიგნაკი № 4592, გაცემული ქუთაისის დამზღვევ სალაროს მიერ მარიამ ჩიკვაიძეს სახელზე. 4592
— ქუთაისის სანოტარო კანტორაში პროტესტქმნილი (31 იანვარი 1929 წ. თარიღით რეესტრი № 255). თამასუქი ათასი მანეთის, გაცემული ნატალია არუთინის ასულის და კონსტანტინე გიორგის-ძე გალუსტოვების მიერ ქუთაისის კოლექტივების გაერთიანების სახელზე. ბ. 3445
— პურის წიგნაკი № 683 გალაქტიონ ნესტორის-ძე გიორგობიანის სახელზე. 4593
— პურის წიგნაკი გიორგი კობალაძის სახელზე. 4594
— მუშკოოპის წიგნაკი ბარნაბ კობალაძეს სახელზე.
— პურის წიგნაკი ლიტერი „ბ" გალაქტიონ ალექსის-ძე სულაძეს სახ.
— მოწმობა სოციალურ მდგომარეობის შესახებ, გაც. სოფ. ბახვის ალმასკომის მიერ, პეტრე მაქსიმე-ძე ჟღენტის სახელზე. 4597
— მუშკოოპის წიგნაკი № 49445 კირილე ხადარეიშვილის სახელზე. 4599
— საწევრო წიგნაკი № 68082, გაცემულ თბილისის მუშკოოპის მიერ, გიორგი თევდორეს ძე ბერძენიშვილის სახელზე. 4600 4603
— ინვალიდობის მოწმობა № 6030 ვასილ კანდელაკის სახელზე. 4606
— „ზაკტპო"-ს წიგნაკი № 2940 პარმენ ნებიერიძის სახელზე. 4605
— სამხედრო აღრიცხვის წიგნაკი ილია სპირიდონის-ძე ქელიძეს სახ. 4607
— მუშკოოპის წიგნაკი № 40999 კონსტანტინე კაპანაძის სახელზე.

ტირაჟი—43.[illegible]4
პოლიგრ. ტრესტის მე-ნ სტამბა, [illegible] № 68
მთავლიტი № 904